საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი
ეკონომიკის დეპარტამენტი

ირაკლი მესხი

უცხოური ინვესტიციები და შრომის ბაზრის ტრანსფორმაცია საქართველოში

(ეკონომიკის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომი)

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ეკონომიკის დოქტორი,
პროფესორი, ნ. წიკლაშვილი.

ბათუმი 2017

შინაარსი

		გვ.
შესავალი		**3**
თავი I. უცხოური ინვესტიციების თეორიულ-პრაქტიკული საფუძვლები		**9**
1.1.	უცხოური ინვესტიციების თეორიის გენეზისი, არსი და ფორმები	**9**
1.2.	უცხოური ინვესტიციების სტიმულირების ძირითადი მიმართულებები და ფორმები	**23**
1.3.	უცხოური ინვესტიციების განმსაზღვრელი ფაქტორები განვითარებად და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში	**47**
თავი II. შრომის ბაზრის სტრუქტურა და დინამიკა		**56**
2.1.	შრომის ბაზრის არსი, ელემენტები და ფუნქციონირების მექანიზმები	**56**
2.2.	შრომის ბაზრის რეგულირების ფორმები და პოლიტიკა ევროპის ქვეყნებში	**68**
2.3.	შრომის ბაზრის ფორმირების თავისებურებები საქართველოში	**80**
თავი III. ინვესტიციების გავლენა შრომის ბაზრის სტრუქტურაზე		**98**
3.1.	უცხოური ინვესტიციების დინამიკა და სტრუქტურა საქართველოში	**98**
3.2.	ინვესტიციები და შრომის ბაზრის ძირითადი ტენდენციები აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში	**117**
3.3.	ინვესტიციების გავლენა შრომითი პოტენციალის ჩამოყალიბებაზე	**130**
დასკვნები და რეკომენდაციები		**159**
გამოყენებული ლიტერატურა		**165**
დანართები		**180**

შესავალი

თემის აქტუალობა: უცხოური თუ ადგილობრივი ინვესტიციების განხორციელება ყოველთვის კავშირშია ახალი სამუშაო ადგილების შექმნასთან. იმისთვის, რომ ქვეყანაში მოხდეს გარკვეული სახის ინვესტირება, ამისათვის საჭიროა ქვეყნის მოქალაქეებმა შექმნან გარკვეული დანაზოგები და შემდგომ მოახდინონ სხვადასხვა სფეროში ინვესტირება, მაგრამ თუ ეს დანაზოგები არის მცირე ან საერთოდ არ არის, მაშინ აღნიშნული უკმარისობა უნდა შეივსოს უცხოური ინვესტიციებით, როგორც ხდება დღეს საქართველოში, რადგან ცოტაა კომპანიები, რომელთა შემოსავლებითაც შესაძლებელი იქნება ეკონომიკაში რეინვესტირება, ასევე მინიმალურია ან საერთოდ არ არის ადგილობრივი დანაზოგები, შესაბამისად ქვეყანა დამოკიდებულია უცხოურ ინვესტიციებზე და მუდმივად მისი ზრდის მოლოდინშია საზოგადოება.

უცხოური ინვესტიციების დონე გვიჩვენებს რამდენად სტაბილურია ქვეყანა, როგორია მისი ეკონომიკური პოლიტიკა, საინვესტიციო გარემო, ეკონომიკური ზრდის პერსპექტივა და ა.შ. საქართველოს დღეს განსაკუთრებით ჭირდება ინვესტიციების მოზიდვა, რაც განაპირობებს ისეთი პრობლემების გადაჭრას, როგორიცაა დასაქმება და შემოსავლების ზრდა, ახალი ტექნოლოგიების დანერგვა, საექსპორტო პოტენციალისა და ქვეყანაში სავალუტო შემოსავლების ზრდა, საერთაშორისო ეკონომიკურ სივრცეში ქვეყნის ინტეგრაცია და ა.შ.

საქართველოში საბაზრო ეკონომიკის ადეკვატური შრომის ბაზარი ჯერ კიდევ ფორმირების სტადიაშია და ამ პროცესში ბევრი პრობლემა და გამოწვევა არსებობს. ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დაჩქარება, ახალი სამუშაო ადგილების შექმნა და სიღარიბის დაძლევა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული დასაქმების სფეროში აქტიური სახელმწიფო პოლიტიკის გატარებაზე, რაც გულისხმობს შრომის ბაზრის ინფრასტრუქტურის განვითარების, სამუშაო ძალაზე მოთხოვნა-მიწოდების დაბალანსების, უმუშევართა პროფესიული სწავლებისა და დაბალკონკურენტუნარიანი სამუშაო ძალის დასაქმების ხელშეწყობის მხარდაჭერას. შრომის ბაზრის ინფრასტრუქტურის განვითარება ბიზნესის ეფექტიანობის გაზრდის ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორია, რამდენადაც

იგი ხელს უწყობს სამუშაო ძალაზე დამსაქმებელთა მოთხოვნების ოპერატიულად და ხარისხიანად დაკმაყოფილებას.

ქვეყანაში უცხოური ინვესტიციების შემოდინებისა და ეკონომიკური აქტიურობის ზრდის ფონზე ფიქსირდება დასაქმების ზრდისა და უმუშევრობის კლების ტენდენცია, თუმცა უმუშევრობა კვლავ სერიოზულ გამოწვევად რჩება. დასაქმების პრობლემების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორად კი სამუშაოს მაძიებელთა კვალიფიკაცია და პროფესიონალიზმი სახელდება.

საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტირებისათვის ხელსაყრელი პირობების, შრომის ბაზრის ინტენსიური დერეგულაციის, ბიზნესის განვითარების მხარდამჭერი ლიბერალური მარეგულირებელი ჩარჩოს არსებობის მიუხედავად მაინც არსებობს სამუშაო ადგილების დეფიციტი და დამსაქმებლები კვლავაც საუბრობენ იმაზე, რომ ვერ პოულობენ შექმნილი სამუშაო ადგილებისათვის საჭირო სპეციალობისა და კვალიფიკაციის მქონე თანამშრომლებს.

საქართველოში შრომის ბაზარზე ერთგვარ პარადოქსს აქვს ადგილი. რადგან, ერთი მხრივ, არსებობს მაღალი მოთხოვნა კვალიფიციურ სამუშაო ძალაზე, მეორე მხრივ კი, არსებობს ჭარბი სამუშაო ძალის მიწოდება, სადაც მთავარი პრობლემა კვლავ არასათანადო კვალიფიკაცია და არა მოთხოვნადი პროფესიებია.

საქართველო დღეს ცდილობს რაც შეიძლება მეტი უცხოური ინვესტიციების მოზიდვას, ქვეყანაში არსებული სასურველი საინვესტიციო გარემოს შექმნით და ასევე იაფი მუშახელის შეთავაზებით, თუმცა შეთავაზებულ იაფ მუშახელს ძირითადად არ შეუძლია ხარისხიანად მშენებლობა, მომსახურების გაწევა, რემონტი, გზების დაგება, ინოვაციური პროდუქტის შექმნა და ა.შ. ასევე ქვეყანაში პრობლემურია თანამედროვე ტექნოლოგიების სათანადო დონეზე ფლობა და ახალი ტექნოლოგიების შექმნა. ამიტომ მანამდე, სანამ ქვეყანაში სისტემურად არ შეიცლება მიდგომა და არ მოხდება კვალიფიცირებული კადრების შრომის ბაზარზე არსებული მოთხვნის შესაბამისად მომზადება და ინვესტორებისთვის მიწოდება, ვერ მოხერხდება უცხოური ინვესტიციების მნიშვნელოვანი ზრდის შემთხვევაშიც კი ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმების დონის მნიშვნელოვანი ცვლილება. ასევე გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ ჩვენს ირგვლივ ყველა ქვეყანა ცდილობს უცხოური კაპიტალის მოზიდვას, ამიტომ

ინვესტორს დიდი არჩევანი აქვს, შესაბმისად ამ მიმართულებით მაღალია კონკურენციაც.

რეალურად თუ დავაკვირდებით შრომის ბაზარზე მიმდინარე პროცესებს, დავინახავთ, რომ ისინი უკავშირდება ინვესტიციების დარგობრივი სტრუქტურის ცვლილებებს და აქედან გამომდინარე, სამუშაო ძალაზე ახალი მოთხოვნის ჩამოყალიბებას, ამიტომ, როდესაც სასწავლო პროგრამების დაგეგმვა ხორციელდება, გათვალისწინებული უნდა იქნას მომავალში მოთხოვნადი პროფესიები.

აღსანიშნავია ისიც, რომ მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის 2016-2017 წლის გლობალური კონკურენტუნარიანობის რეიტინგში საქართველოს პოზიცია 7 საფეხურით გაუმჯობესდა, მიუხედავად ამისა, საქართველოში ბიზნესის წარმოებისთვის ყველაზე პრობლემატურ ფაქტორებს შორის პირველი ადგილი უკავია არაკვალიფიციურ მუშახელს, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს საკითხის აქტუალურობას და განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებს.

თანამედროვე ეტაპზე მსოფლიო ეკონომიკაში, უცხოური ინვესტიციების შრომის ბაზარზე გავლენის შესწავლა და ანალიზი უდაოდ აქტუალურ პრობლემას წარმოადგენს.

სადისერტაციო ნაშრომის მიზანი: სადისერტაციო ნაშრომის კვლევის მიზანია ქვეყანაში შრომის ბაზრის ტრანსფორმაციაზე უცხოური ინვესტიციების გავლენის შესწავლა და შეფასება.

მიზნის მისაღწევად დასახულია შემდეგი ამოცანები:

- უცხოური ინვესტიციების განმსაზღვრელი ფაქტორებისა და სტიმულირების ძირითადი მიმართულებების გამოვლენა;
- შრომის ბაზრის სტრუქტურის, დინამიკისა და ფორმირების თავისებურებების შესწავლა უცხოეთის ქვეყნებსა და საქართველოში;
- უცხოური ინვესტიციების სტრუქტურის შესწავლა და შრომის ბაზრის სტრუქტურაზე მათი გავლენის შეფასება;
- ინვესტიციებისა და შრომის ბაზრის ძირითადი ტენდენციების გამოვლენა აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში;

- უცხორი ინვესტიციების გავლენის შეფასება ქვეყანაში შრომითი პოტენციალის ჩამოყალიბებაზე;
- რეკომენდაციების შემუშავება ქვეყნის საინვესტიციო გარემოს, შრომის ბაზრის ფუნქციონირების და სამუშაო ძალის კვალიფიკაციის გაუმჯობესებისთვის.

კვლევის საგანი: უცხოური ინვესტიციების გავლენა შრომის ბაზრის ტრანსფორმაციაზე საქართველოში.

კვლევის მეთოდოლოგიური და თეორიული საფუძვლები: კვლევის თეორიულ ბაზად გამოყენებულ იქნა ქართველ და უცხოელ მეცნიერთა ნაშრომები, საქართველოს შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს - შრომის ბაზრის მოთხოვნის კომპონენტის კვლელვა, ასევე სხვადასხვა ორგანიზაციების მიერ ჩატარებული კვლევები და ანგარიშები, ხოლო საინფორმაციო ბაზად გამოყენებულ იქნა საქართველოს სხვადასხვა კანონები, მთავრობის დადგენილებები და ბრძანებები, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის წელიწდეულები და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დასაქმების სააგენტოს მონაცემები.

პრობლემის შესწავლის მდგომარეობა: ქართულ ეკონომიკურ ლიტრატურაში ძირითადად შესწავლილია ინვესტიციების და შრომის ბაზრის როლი, სტრუქტურა და დინამიკა, მაგრამ ნაკლები ყურადღება ექცევა ინვესტიციების, როგორც შრომის ბაზრის ტრანსფორმაციის განმაპირობებელი ფაქტორის გამოვლენას.

უცხოური ინვესტიციებისა და შრომის ბაზრის როლის შესწავლას ემსახურება არა ერთი ცნობილი უცხოელი და ქართველი ეკონომისტის ნაშრომი, მსოფლიო ბანკის, შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის და მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის მიერ გამოცემული პუბლიკაციები და ა.შ. აღსანიშნავია ჯ. კეინზის, მ. ფრიდმანის ჯ. დანლოპის, ს. ნიკელის, მ. მაკდონალდის, რ.მ. სოლოუს, ჯ. დანინგის, რ. ვერნონის, ა. სულიმანის, ს. ჯენსენის, ვ. დენისიას, რ. კლუმპის და სხვათა ნაშრომები. ასევე უცხოურ ინვესტიციებსა და შრომის ბაზრთან დაკავშირებულ ეკონომიკურ პრობლემებზე გამოქვეყნებულია ქართველი მეცნიერებისა და მკვლევარების ლ. ქოქიაურის, ლ. ხურციას, ი. ყოლბაიას, ე. ბარათაშვილის, გ. ერქომაიშვილის, ქ. ჯღანჯღავას, ვ. ჭარაიას, ვ. მოსიაშვილის, რ. ცინარიძის, ნ. ფუტკარაძის, ე. კონჯარიას, ოქროცვარიძის, მ. შელიას, ნ. პაიჭაძის, ნ. ლაცაბიძის, ვ. ჭედიას, ე. მელაძის, მ. ტუხაშვილის, მ. ცარციძის, ნ.

ლაცაბიძის, მ. თორიას, ც. ანთაძის, ვ. მოსიაშვილის, ლ. თეთრაძის და სხვების ნაშრომები.

ქართულ ეკონომიკურ ლიტერატურაში ძირითადად შესწავლილია ინვესტიციების და შრომის ბაზრის როლი, სტრუქტურა და დინამიკა, მაგრამ ნაკლები ყურადღება ექცევა ინვესტიციების, როგორც შრომის ბაზრის ტრანსფორმაციის განმაპირობებელი ფაქტორის გამოვლენას, ამიტომ ვფიქრობთ, ამ მიმართულებით საჭიროა კვლევების გააქტიურება.

სადისერტაციო ნაშრომის მეცნიერული სიახლე:

- გაანალიზებული და შეფასებულია უცხოური ინვესტიციების ძირითადი თანამედროვე მიმართულებები საქართველოში მთლიანად და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში;
- შესწავლილია შრომის ბაზრის ფუნქციონირების მიმართულებები, გამოვლენილია მათი ნაკლოვანებები და დასახულია რეკომენდაციები მათი აღმოფხვრისათვის;
- გაანალიზებულია ინვესტიციების ზემოქმედება შრომის ბაზარსა და მის სტრუქტურაზე;
- გამოვლენილია ურთიერთდამოკიდებულება უცხოური ინვესტიციების დარგობრივ სტრუქტურას, დასაქმებასა და შრომის ანაზღაურებას შორის.

კვლევის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა: კვლევის ძირითადი დებულებები, შედეგები და რეკომენდაციები შეიძლება გამოყენებულ იქნას უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სასწავლო კურსების, ,,უცხოური ინვესტიციების“, ,,შრომის ბაზრის“, ,,უცხოური ინვესტიციებისა და დასაქმების ეფექტიანობის“ და ა.შ. მომზადებაში. ასევე, იგი მნიშვნელოვნად დაეხმარება სხვადასხვა სახელმწიფო უწყებებს უცხოური ინვესტიციების შედეგად შრომის ბაზრის ტრანსფორმაციის საკითხების შესწავლაში, მის სრულყოფასა და უცხოური ინვესტიციების დასაქმების კუთხით ეფექტიანობის გაზრდაში.

ნაშრომის აპრობაცია: სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი დებულებები, წინადადებები და რეკომენდაციები წარედგინა ეკონომიკის და ბიზნესის ფაკულტეტის ბიზნესის ადმინისტრირების და ეკონომიკის დეპარტამენტების გაერთიანებულ სხდომას. სა-

დისერტაციო ნაშრომის ძირითადი დებულებები ხუთი სტატიის სახით გამოქვეყნებულია საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციების მასალებში.

ნაშრომის მოცულობა და სტრუქტურა: ნაშრომი შესრულებულია 200 (ორასი) გვერდზე. შედგება შესავლის, სამი თავის, ცხრა ქვეთავის, დასკვნებისა და რეკომენდაციებისა და გამოყენებული ლიტერატურის სიისაგან. ნაშრომის ბოლოს მოცემულია დანართები.

თავი I. უცხოური ინვესტიციების თეორიულ-პრაქტიკული საფუძვლები

1.1. ინვესტიციების თეორიის გენეზისი, არსი და ფორმები

სიტყვა ინვესტიცია ლათინური წარმოშობისაა (investire - შემოსვა) და ნიშნავს კაპიტალის ხანგრძლივ დაბანდებას ეკონომიკის სხვადასხვა დარგის საწარმოებში. იგი იყოფა მოკლევადიან (კაპიტალის დაბანდება ერთ წლამდე ვადით), საშუალო (ერთიდან სამ წლამდე ვადით) და გრძელვადიან (სამ წელზე მეტი ვადით დაბანდება) ინვესტიციებად.

დროთა განმავლობაში, ,,ტერმინმა ინვესტიცია" უფრო ფართო მნიშვნელობა შეიძინა და მისი გამოყენება დაიწყო საქმიანობის სხვადასხვა სფეროში. დღევანდელი გაგებით კი ,,ინვესტიცია" მოგების მიღების მიზნით ფინანსური ან/და არაფინანსური აქტივების დაბანდებას აღნიშნავს **(ჭარაია 2015: 9).**

ეკონომიკურ ლიტერატურაში ასევე გვხვდება ინვესტიციების მრავალი განმარტება. კერძოდ, სამოქალაქო განათლების ლექსიკონის თანახმად ინვესტიცია გულისხმობს ნებისმიერი სახის ფულადი, ქონებრივი და ინტელექტუალური ფასეულობის ან უფლების გრძელვადიან დაბანდებას საკუთარ ან უცხო ქვეყანაში სამეწარმეო და სხვა ობიექტებში, რომელიც გამოიყენება შესაძლო მოგების ან სხვა სახის სარგებლის მიღების მიზნით.

საქართველოს კანონის ,,ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს შესახებ" მე-3 მუხლის თანახმად კი, ინვესტიცია არის სახელმწიფოს მიერ სხვადასხვა დარგის საწარმოში, საწარმოო-საინვესტიციო პროგრამებსა და პროექტებში კაპიტალის დაბანდება, რომლის ძირითადი მიზანია ქვეყნის სამრეწველო პოტენციალის მაქსიმალური ეფექტიანობით ამოქმედება და წარმოების განვითარების ხელშეწყობით უმუშევრობის დონის შემცირება **(საქართველოს 2015ა:).**

ინვესტიციები ერთობლივი მოთხოვნის კომპონენტია, რომელსაც ეკონომიკურ პოლიტიკაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა. ამის მიზეზს ერთი მხრივ, წარმოად-

გენს კონიუნქტურულ რყევებზე მათი განსაკუთრებული რეაქციის უნარი, მეორე მხრივ, ინვესტიციები ხელს უწყობს ეროვნულ ეკონომიკაში ძირითადი კაპიტალის (მთლიანი კაპიტალდაბანდება, კაპიტალის მთლიანი მიწოდება) ზრდას და ამით გავლენას ახდენენ ეკონომიკის გრძელვადიან განვითარებაზე (კლუმპი 2015: 156).

ინვესტიციების თეორიის გენეზისი უკავშირდება ეკონომიკური აზრის პრაქტიკულად ყველა სკოლისა და მიმდინარეობის მეცნიერულ პოსტულატებს.

ინვესტიციების არსისა და ეკონომიკურ პროცესში მათი როლის გააზრების პირველი მცდელობები, ანტიკური მკვლევარების - პლატონისა და არისტოტელეს სახელებს უკავშირდება. ინვესტიციების არსის თეორიული გააზრების მცდელობები, მართალია, არასრული და არასისტემური იყო, მაგრამ, ეკონომიკური აზრის შემდგომი ევოლუციის პროცესში, მათ სულ უფრო გაშლილი კონცეპტუალური განვითარება ჰპოვეს მომდევნო ეკონომისტების ნაშრომებში.

ინვესტიციების თეორიის ძირითადი პრინციპების პირვანდელი გაგება, უკავშირდება მერკანტილისტების სკოლის წარმომადგენლებს, რომელთა შორის ყველაზე შესამჩნევ როლს თამაშობდნენ თ. მენის, დ. იუმის, ჯ. ლოს, ჟ. კოლბერის, ლ. ზეკენდორფის, ი. ბეჰერის, ფ. გორნიგის თეორიული მიდგომები. ინვესტიციების თეორიის სფეროში მათი მეცნიერული მსოფლმხედველობის წამყვანი პრინციპები განსაზღვრავდნენ, უპირველეს ყოვლისა, საინვესტიციო რესურსების ფორმირების წყაროებს. კაპიტალისა და ფულის ცნების აღრევით, ისინი ფულს განიხილავდნენ საინვესტიციო რესურსების ისეთ განსაკუთრებულ წყაროდ, რომელიც სავაჭრო და საწარმოო საქმიანობის მოცულობის გადიდებას უზრუნველყოფდა. მერკანტილისტებმა პირველებმა დაასაბუთეს იმ პირობების სახელმწიფოებრივად რეგულირების აუცილებლობა, რომლებიც საინვესტიციო რესურსების ჩამოყალიბებას და ქვეყანაში უცხოური ინვესტიციების შემოდინებას უზრუნველყოფენ. მათი მეცნიერული მსოფლმხედველობის შესაბამისად, ფულის მოდინების უზრუნველსაყოფად, სახელმწიფოს აქტიური პროტექციონისტური პოლიტიკა უნდა გაეტარებინა საერთაშორისო ვაჭრობის დარგში და მიეღწია თავისი სავაჭრო ბალანსის დადებითი სალდოსათვის. ფულის დაგროვების ზრდა, მისი ღირებულების იმავდროულად შემცირებისას, მათი აზრით, მეწარმეთა საინვესტიციო საქმიანობის წახალისების მთავარი ფაქტორი იყო, რომ და ეკონომიკის ყველაზე უფრო მნიშვნელოვან

სტრუქტურაწარმომქმნელ დარგებში პირდაპირი სახელმწიფო ინვესტიციების სტიმულირებას განაპირობებდა.

ინვესტიციების თეორიის გარკვეული განვითარება უკავშირდება ფიზიოკრატების ეკონომიკური სკოლის წარმომადგენლებს ფ. კენეს, ჟ. ტიურგოს, გ. რივიერას, თ. სიენსს. საინვესტიციო რესურსების ჩამოყალიბების წყაროებისა და ინვესტირების ობიექტების მიმართ მათი მიდგომა აქცენტირებული იყო ძირითადად მიწათმოქმედებაზე და არა ვაჭრობაზე (მერკანტილისტებისგან განსხვავებით). სახელმწიფოსა და ცალკეული მეწარმეების პრიორიტეტულ საინვესტიციო პოლიტიკად მათ მიაჩნდათ სახსრების დაბანდება ეკონომიკის სასოფლო-სამეურნეო სექტორის განვითარებაში. ფიზიოკრატებმა პირველებმა დაუდეს სათავე ინვესტირებული კაპიტალის დაყოფას ძირითად და საბრუნავ კაპიტალად (ამ უკანასკნელს ისინი სხვადასხვაგვარ ავანსებად განიხილავდნენ). გარდა ამისა, ინვესტიციების მათეული თეორიის შესაბამისად, საინვესტიციო რესურსების ძირითადი ნაწილის შემქმნელი სასოფლო-სამეურნეო სექტორის ეფექტიანად განვითარებისათვის, სახელმწიფოს ერთიანი გადასახადი უნდა დაეწესებინა მიწის გამოყენებაზე (რენტის მიუხედავად). ბოლოს, ამ სკოლის წარმომადგენლები აიძულებდნენ სახელმწიფოს, უარი ეთქვა პროტექციონისტული სავაჭრო და საინვესტიციო პოლიტიკის განხორციელებაზე

კლასიკური პოლიტიკური ეკონომიკის წარმომადგენლებმა, პირველ რიგში კი ა. სმითმა, და დ. რიკარდომ, აგრეთვე, ჯ. მილმა, ჟ.ბ. სეიმ, ჯ. ლოდერდეილმა, დ. იუმ, თ. მალთუსმა, ნ. სენიორმა სერიოზულად გააღრმავეს ინვესტიციების არსის კვლევა მისი ყველა ასპექტის მიმართულებით და პირველად ჩამოაყალიბეს საზოგადოების საინვესტიციო მოდელის პარამეტრები. ინვესტიციების განხილვის არე მათ გააფართოვეს ჯერ სამრეწველო წარმოების, შემდეგ კი არასაწარმოო სფეროებით. ამ სკოლის ეკონომისტებმა პირველად გამიჯნეს მკვეთრად ფულისა და კაპიტალის ცნებები, განსაზღვრეს კაპიტალის დაგროვების როლი საინვესტიციო რესურსების ფორმირებაში, განიხილეს საკრედიტო ფულის როლი ინვესტიციების განვითარებაში. ამ სკოლის ფარგლებში დამტკიცდა ინვესტირებული კაპიტალის შემოსავლიანობის ნორმის შემცირების პროცესის ობიექტურობა მისი გამოყენების მოცულობის გადიდების პარალელურად, გამოვლინდა ინვესტიციების მოცულობის გადიდებასა და ქვეყნის ეკონომიკურ ზრდას

(მთლიანი ეროვნული პროდუქტის მატებას) შორის ურთიერთკავშირის მექანიზმი, განისაზღვრა არასაწარმოო სახელმწიფო ინვესტიციების სფერო და შეიქმნა ქვეყნის ეკონომიკის მასშტაბებით საინვესტიციო რესურსების განაწილების ოპტიმიზაციის სქემა, საფუძველი ჩაეყარა ინვესტიციების საერთაშორისო მიგრაციის კვლევას **(ქოქიაური 2006: 20).**

ეკონომიკის კლასიკოსების წარმოდგენით, კაპიტალის ბაზარზე რეალური სარგებელი (სარგებლის განაკვეთის რეალური დონე) დანაზოგებსა და ინვესტიციებს შორის წონასწორობის დამყარებას უწყობს ხელს. კეინზიანური თეორიის თანახმად, აღნიშნული პროცესი ბევრად კომპლექსურია. მაშინ, როდესაც დანაზოგი დამოკიდებულია შემოსავალზე, ინვესტიციები მიმართულია პროცენტზე, რომელზეც გავლენას ახდენენ რეალური ეკონომიკური და მონეტარული განვითარების პროცესები **(კლუმპი 2015: 156).**

კლასიკური პოლიტეკონომიის წარმომადგენლების მიერ ჩამოყალიბებული საინვესტიციო მოდელის ძირითადი ნიშნები საფუძვლად მიიღო ყველა შემდგომმა მკვლევარმა.

ინვესტიციების თეორიის კვლევას მარქსისტული ეკონომიკური მოძღვრების სისტემაშიც დიდი ადგილი აქვს დათმობილი, მაგრამ ამ კვლევის მრავალი დასკვნა შემდგომ დროინდელი ეკონომისტების მძაფრი კრიტიკის საგნად იქცა. კ. მარქსის მტკიცებით, ინვესტიციებზე არსებული მოთხოვნა შენარჩუნდება და დაგროვილი კაპიტალი სრული მოცულობით ინვესტირდება მანამ, ვიდრე დაბანდებული სახსრები თუნდაც მინიმალურ მოგებას მაინც მოიტანს. ამასთან, მისი აზრით, საინვესტიციო მოგების ვარიაციები პრაქტიკულად გავლენას არ ახდენენ საინვესტიციო პროცესის ინტენსივობაზე, რადგან მოგებაზე გამოდევნება, მისი ნებისმიერი მოცულობის შემთხვევაში, კაპიტალისტის თვითმიზნად გვევლინება და იგი თავის კაპიტალს აბანდებს პრესტიჟის მოსაზრებიდან გამომდინარე, მისი სოციალური სტატუსის ძალით. მარქსმა საინვესტიციო აქტივობის მთავარ რეგულატორად წინ წამოსწია მოგება, რითაც უგულებელყო საინვესტიციო პროცესზე სხვა ფაქტორების, მათ შორის სასესხო პროცენტის განაკვეთის, გავლენა.

ინვესტიციების თეორიის განვითარებაში მნიშვნელოვანი პროგრესი უკავშირდება მარჟინალისტების, კერძოდ კი ს. ჯევონსის, კ. მენგერის, ე. ბემ ბავერკის, ფ. ვიზერის, ლ.

ვალრასის და ჯ. კლარკის გამოკვლევებს. მარჟინალისტები თავიანთ გამოკვლევებში ძირითად ყურადღებას აქცევდნენ მიკროეკონომიკურ ინვესტიციურ ანალიზს. ეკონომიკური ანალიზის ზღვრული მეთოდის გამოყენებით, მარჟინალისტებმა გამოავლინეს საინვესტიციო რესურსებისა და ინვესტიციური საქონლის მოთხოვნასა და მიწოდებაზე მოქმედი უმნიშვნელოვანესი ფაქტორების სისტემა, რაოდენობრივად განსაზღვრეს წარმოების სხვა ფაქტორებთან ინვესტირებული კაპიტალის ურთიერთმოქმედების ფორმები, შემოიტანეს ინვესტიციური საქონლის ზღვრული სარგებლიანობისა და ინვესტირებული კაპიტალის ზღვრული ნაყოფიერების ცნებები, დაამუშავეს საწარმოების საინვესტიციო პროცესის მთელი რიგი ისეთი მოდელები, რომლებიც საშუალებას გვაძლევენ, ფართოდ გამოვიყენოთ მათეული ინვესტიციების თეორიის დასკვნები, ცალკეული ინვესტორების სამეურნეო პრაქტიკაში **(საქართველოს 2006:20).**

მარჟინალისტების თეორიაში განსაკუთრებული როლი ეკუთვნის საინვესტიციო რესურსებსა და ინვესტიციურ საქონელზე ფასწარმოქმნის პრობლემების კვლევას, კაპიტალის დაგროვებისა და მისი ინვესტირების პროცესზე ფასების გავლენის შესწავლას. მარჟინალისტებმა პირველებმა დაამუშავეს ინვესტორის ახლანდელი და მომავალი დოვლათის ღირებულების შეფასების მექანიზმი, ინვესტიციური მოგების ნორმის გამოყენების საფუძველზე.

ეკონომიკური აზრის ნეოკლასიკური მიმართულების (მის პიონერად ა. მარშალს მიიჩნევდნენ) წარმომადგენლებმა მოახდინეს კლასიკური და მარჟინალისტური ინვესტიციური თეორიების სინთეზი. ნეოკლასიკოსების მიდგომებმა, რომლებმაც ამ ორი სკოლის მიღწევები გააერთიანეს, ხელი შეუწყვეს ინვესტიციური თეორიის ცალკეული დებულებების არსებით განვითარებას ინვესტიციების ბაზრის ფუნქციონირების მექანიზმის სფეროში, ინვესტიციური საქონლის მოთხოვნისა და მიწოდების საფუძველზე საბოლოო ფასების ჩამოყალიბების საკითხში.

ნეოკლასიკური მიმართულების ეკონომისტთა გამოკვლევებს უკავშირდება ფირმის ინვესტიციური ქცევის თეორიის საფუძვლების პირველი სისტემატიზებული აღწერა.

ამასთან, მარჟინალისტების მსგავსად, ვერც ეკონომიკური აზრის ნეოკლასიკური მიმართულების წარმომადგენლებმა შეძლეს არსებითად შეეცვალათ მაკროეკონომიკუ-

რი ინვესტიციური თეორია და ისინი, ძირითადად, ინვესტიციური პროცესების უპირატესად მაკროეკონომიკური ანალიზის ჩატარებით შემოიფარგლნენ.

ინვესტიციების მაკროეკონომიკურ თეორიაში კარდინალური შემობრუნება მოახდინეს ეკონომიკური აზრის კეინზური მიმართულების წარმომადგენლებმა ჯ. კეინზმა და მისმა მრავალრიცხოვანმა მიმდევრებმა. მათი კვლევების დასკვნებმა რევოლუციური ცვლილებები შეიტანეს ინვესტიციების მანამდელ დოქტრინებში და საზოგადოების ინვესტიციურ მოდელში. კეინზელობის პარადიგმა ემყარება დასკვნებს საზოგადოების ეკონომიკური განვითარების ძირითადი პარამეტრების სახელმწიფოებრივი რეგულირების აუცილებლობის შესახებ, ინვესტიციების მოზიდვის პირობების აქტიურად ფორმირების საჭიროების შესახებ ეკონომიკური ზრდის უზრუნველსაყოფად. კეინზელობის პრინციპულად ახალი ინვესტიციური თეორია, რომელიც მთლიანობაში არ ცვლის საბაზრო თვითრეგულირების პრინციპებს, მთავარ აქცენტს აკეთებდა საინვესტიციო პროცესის რეგულირებაზე აქტიური და მიზანმიმართული ფისკალური და საკრედიტო პოლიტიკის ხარჯზე. საინვესტიციო საქმიანობა, თავის მხრივ, ის უმნიშვნელოვანესი მექანიზმი უნდა გამხდარიყო, რომელიც გავლენას იქონიებდა მთლიანი ეროვნული პროდუქტის ზომაზე, მოსახლეობის დასაქმების ხასიათსა და ინფლაციის დონეზე. ჯ. კეინზმა ერთ-ერთმა პირველმა გამოიკვლია უმნიშვნელოვანესი მაკროეკონომიკური მაჩვენებლები: ეროვნულ შემოსავალს, მოხმარებასა და დაზოგვას, კაპიტალის დაგროვებასა და ინვესტიციებს, ინვესტიციებსა და უმუშევრობას შორის ურთიერთკავშირების სისტემა. მათზე ზემოქმედებით სახელმწიფოს შეეძლო ბაზრის პირობებში სოციალურ-ეკონომიკური სისტემის წონასწორობის უზრუნველყოფა. ამ გამოკვლევების პროცესში მან მეცნიერებაში დაამკვიდრა მოხმარებისა და დაზოგვისაკენ ზღვრული მიდრეკილების, ინვესტირებისაკენ მიდრეკილების, ლიკვიდობის უპირატესობის, ინვესტიციური მულტიპლიკატორის ცნებები და სხვა.

საინვესტიციო აქტივობის ერთ-ერთ პირობად ჯ. კეინზს მიაჩნდა ეფექტიანი მოთხოვნის ჩამოყალიბება და განიხილავდა მის ორ სახესხვაობას: სამომხმარებლოსა და ინვესტიციურს. ამასთან, მან გამოავლინა მოთხოვნისა და ინვესტიციების მაჩვენებლების ერთმანეთზე, როგორც პირდაპირი, ისე უკუზემოქმედების, არსებობა. საინვესტიციო პროცესების სტიმულირების კეინზური მოდელი მოიცავდა, ასევე, საბიუჯეტო

ხარჯების ფორმირების მეთოდებს, მეურნე სუბიექტების სახელმწიფოებრივ დაკრედიტებას, დაბეგვრის სისტემასა და სხვა მაკროეკონომიკურ ინსტრუმენტებს.

კეინზური თეორიის დადებითი წვლილი უკავშირდება ინვესტიციების მაკროეკონომიკური ანალიზის საფუძვლების შემდგომ განვითარებასაც. ჯ. კეინზმა გვიჩვენა, რომ ფირმების ინვესტიციურ ქცევას მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავენ ისეთი ფაქტორები, როგორიცაა: დაგროვების დონე, ინვესტიციური მოგების დონე და კრედიტების ბაზარზე არსებული პროცენტის ნორმა. ამასთან, ინვესტიციების კეინზური თეორია ითვალისწინებდა ფირმების ინვესტიციური ქცევის ქმედითი სახელმწიფოებრივი რეგულირებისა და კონტროლის აუცილებლობას **(Keynes 1936: 32-38).**

კეინზის მიხედვით, ინვესტიციების გადიდება იწვეს დასაქმების ზრდას, მასთან ერთად ზრდის შემოსავალს და მოხმარებას, შესაბამისად აფართოებს წარმოებას. ამ დამოკიდებულებას იგი უწოდებს მულტიპლიკატორს, ხოლო შედეგად მიღებულ ეფექტს მულტიპლიკაციურს **(მოსიაშვილი 2014: 121).**

ინვესტიციების თეორიაზე, კერძოდ კი ინვესტიციური ნაკადების მოცულობათა რეგულირების მექანიზმზე, გარკვეული გავლენა იქონია ეკონომიკური აზრის მონეტარისტული მიმართულების მეცნიერულმა დებულებებმა, რომლის ყველაზე უფრო თვალსაჩინო წარმომადგენელია მ. ფრიდმანი. საინვესტიციო პროცესებსა და მათი რეგულირების მექანიზმებს მონეტარისტები განიხილავდნენ მხოლოდ და მხოლოდ სახელმწიფოს ფულად-საკრედიტო პოლიტიკის და ქვეყანაში ფულის მიმოქცევის პრიზმაში. მიმოქცევაში მყოფი ფულის რაოდენობა, მონეტარისტების ინვესტიციური თეორიის შესაბამისად, არსებითად მოქმედებს საინვესტიციო რესურსებისა და ინვესტიციური საქონლის ფასებზე, კაპიტალის, როგორც საინვესტიციო რესურსების დაგროვების ტემპებზე და ცალკეულ მეურნე სუბიექტების საინვესტიციო აქტივობაზე. მათი შეხედულებით, ქვეყანაში ეკონომიკის და კერძოდ, საინვესტიციო პროცესების სახელმწიფოებრივი რეგულირების მთელი სისტემა თავმოყრილი უნდა იყოს ფულის მიმოქცევის პარამეტრების ფულის მასის მოცულობის, მისი მიმოქცევის სიჩქარის, საკრედიტო და ფულის ემისიის, ინფლაციის ტემპების და ა.შ. რეგულირებაზე.

ინვესტიციების თეორიების ჩამოყალიბებაში გარკვეული ადგილი უჭირავთ ინსტიტუციონალიზმის წარმომადგენლებს, კერძოდ, თ. ვებლენს, ა. შპიტჰოფს, ჯ. კომონსს,

ვ. მიტჩელს, დ. ბიუკენენს და სხვა თანამედროვე მკვლევრებს. მათი მიდგომების თავისებურებაა საინვესტიციო პროცესების ანალიზის ის მეთოდოლოგია, რომელიც სცილდება წმინდა ეკონომიკური პრობლემებისა და მეთოდების ფარგლებს და არსებითადაა შევსებული პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური, ტექნოლოგიური, სამართლებრივი და სხვა პრობლემებით. ამავე დროს, ინსტიტუციონალიზმი ეყრდნობა არა ინვესტიციური ანალიზის ერთიან პრინციპებსა და მეთოდოლოგიას, არამედ იყენებს იმ სხვადასხვა სამეცნიერო დისციპლინების მიდგომებს, რომლებიც არსებითად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან.

ნეოკლასიკური, კეიზიანური, მონეტარისტული და ინსტიტუციონალური ეკონომიკური მიმართულებები განზოგადებულია და პრაქტიკულადაა კონკრეტიზებული ინვესტიციების თეორიის თანამედროვე სინთეზში. ჩამოთვლილი ეკონომიკური მიმართულებების თანამედროვე წარმომადგენლებს შორის გამართულმა პოლემიკამ შესაძლებელი გახადა მათ მიერ შემოთავაზებული ინვესტიციური თეორიების როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მხარეების გამოვლენა, ყოველ მათგანში მოცემული ფასეულისა და რაციონალურის ამორჩევა და ურთიერთშემავსებელი ახალი საინვესტიციო მოდელების ფორმირება **(ქოქიაური 2006: 20).**

ეკონომიკურ ლიტერატურაში ცნება - „ინვესტიციები“ სხვადასხვა მნიშვნელობით გამოიყენება: სამომხმარებლო ინვესტიციები; ინვესტიციები ბიზნესში (ეკონომიკური ინვესტიციები); ინვესტიციები ფასიან ქაღალდებში (საფინანსო ინვესტიციები).

სამომხმარებლო ინვესტიციები - ნიშნავს ხანგრძლივი მოხმარების საქონლის ან უძრავი ქონების შეძენას. ფინანსური თვალსაზრისით ამ შემთხვევაში არ არსებობს შემოსავალი დაბანდებულ კაპიტალზე და ბუნებრივია არც ეს უკანასკნელი იზრდება. დაბანდებული სახსრები (ხანგრძლივი მოხმარების საქონელი ან უძრავი ქონება) თავისი არსით წარმოადგენს ფულად დანაზოგებს და არა მათ ინვესტირებას.

ინვესტიციები ბიზნესში - ნიშნავს საწარმოო პროცესების ორგანიზებას მოგების მიღების მიზნით, ე.ი. ამ დროს ხდება წარმოების ფაქტორების (ძირითადი და საბრუნავი კაპიტალი და სამუშაო ძალა) შეძენა და სამეწარმეო საქმიანობის განხორციელება. ეკონომიკური ინვესტირება რეალურ აქტივებში სახსრების დაბანდებაა მოგების მიღების

მიზნით, რომელიც დაკავშირებულია საქონლისა და მომსახურების წარმოებასთან „ნორმალური“ რისკის პირობებში.

საფინანსო ინვესტიციები - ნიშნავს აქტივების შეძენას ფასიანი ქაღალდების სახით მოგების მიღების მიზნით, ამ სახის ინვესტიციებისათვის „ნორმალური“ რისკის პირობებში. ეკონომიკური ინვესტიციებისაგან განსხვავებით საფინანსო ინვესტიციები არ საჭიროებს ახალი საწარმოო სიმძლავრეების შექმნას და მათი გამოყენების კონტროლს **(ბარათაშვილი...2009: 1.2).**

ამა თუ იმ ქვეყანაში ინვესტირების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემადგენელი ნაწილია გადასახადების გადახდის მინიმიზაციის სურვილი. ამიტომ სხვა თანაბარი ხარჯების პირობებში ფირმები თავიანთი ოპერაციების განხორციელების ბაზად ისეთ ქვეყნებს ირჩევენ, სადაც საგადასახადო განაკვეთები მინიმალურია. გარდა ამისა, ფირმები იყენებენ ,,ტრანსფერული ფასების" მექანიზმს, რათა თავიანთი განცხადებული მოგება დაბალგადასახადიან ქვეყნებში გადაიტანონ.

ინვესტიციები დაბანდების სახეობის მიხედვით იყოფა: ფინანსურ დაბანდებად და ინვესტიციებად არაფინანსურ აქტივებში; დაბანდების წყაროების მიხედვით - საკუთარ და ნასესხებად, საკუთრების ფორმის მიხედვით ინვესტიციები ოთხ კატეგორიად იყოფა: კერძო, სახელმწიფო, უცხოური და შერეული.

კერძო - საოჯახო მეურნეობების ან/და კერძო პირის მიერ განხორციელებული ინვესტიცია, სახელმწიფო - ქვეყნის მთავრობის მიერ განხორციელებული ინვესტიცია, როგორადაც შეიძლება ჩაითვალოს მაგ. ინფრასტრუქტურის მშენებლობა, უცხოური - ქვეყნის გარედან შემოსული ინვესტიციების ნაირსახეობა, რომელიც, შესაძლებელია, განხორციელდეს როგორც უცხო ქვეყნის მთავრობების, ასევე მოქალაქეებისა და ორგანიზაციების მიერ და ბოლოს შერეული - კერძო, სახელმწიფო და უცხოური ინვესტიციების ერთობლიობა **(ჭარაია 2015: 11-12).**

კაპიტალი, ისევე, როგორც შრომა და საქონელი, მოძრაობს ქვეყნებს შორის. ამ გადაადგილების უპირველესი მიზანია მოგების მიღება. კაპიტალის საერთაშორისო მოძრაობაში ერთი მეორეს უპირისპირდებიან კრედიტორები და დებიტორები. კაპიტალის მესაკუთრეები (კრედიტორები) გადასცემენ მსესხებლებს (დებიტორებს) ან საზღვარგა-

რეთულ ფილიალებს ფულს, რომელიც იცვლება ვალდებულებასა და აქციებში, რომელიც მომავალში უზრუნველყოფს კრედიტორების მომგებიან საქმიანობას.

ადგილობრივი ინვესტიციებისგან განსხვავებით, უფრო დიდ ყურადღებასა და დაინტერესებას მთავრობები ძირითადად უცხოური ინვესტიციების მიმართ იჩენენ, რომელიც თავის მხრივ, ორ ნაწილად იყოფა: პირდაპირ და პორტფელურ ინვესტიციებად.

პორტფელური ინვესტიციებია - კაპიტალის დაბანდება საზღვარგარეთული საწარმოების აქციებში (საკონტროლო პაკეტის შეძენის გარეშე), ობლიგაციებში უცხოური სახელმწიფოების სხვა ფასიან ქაღალდებში, საერთაშორისო სავალუტო, საკრედიტო ორგანიზაციებში **(კონჯარია 2012: 26).**

სახელმწიფო, ანუ ოფიციალური ინვესტიცია უპირველესად პორტფელური ინვესტირებაა როგორც მოკლევადიანი (1-წლამდე), ისე ხანგრძლივი პერიოდისათვის.

პორტფელური ინვესტიციები, როგორც წესი, საფინანსო შუამავლობის დახმარებით ხორციელდება, მათ შორის: კომერციული და საინვესტიციო ბანკები, კერძო ან/და სახელმწიფო საინვესტიციო კომპანიები, ფონდები და მრავალი სხვა.

პორტფელურ ინვესტიციებს ხშირად ,,ცხელ ფულსაც" უწოდებენ და მოკლევადიანი ხასიათიდან გამომდინარე, კაპიტალის არასტაბილურ ნაკადებთან აიგივებენ, რადგანაც იგი რეციპიენტი ქვეყნის ეკონომიკაში არასტაბილურობის პირველი ნიშნის გამოჩენისთანავე დაუყონებლივ ტოვებს ეკონომიკას.

პირდაპირ ინვესტიციებს - მიეკუთვნება კაპიტალის დაბანდებები, რომლებიც უზრუნველყოფენ ინვესტორის კონტროლს საზღვარგარეთის ქვეყნების საწარმოებზე (კომპანიებზე). ისინი იძლევიან მართვაში საწარმოთა მონაწილეობის უფლებას. პრაქტიკაში გამოიყენება პირდაპირი ინვესტიციების სხვადასხვა განმარტება საერთაშორისო სავალუტო ფონდის (სსფ) განმარტებით, ინვესტიციები ითვლება პირდაპირად, თუ უცხოელ ინვესტორს აქვს საწარმოს აქციების 25%-ზე მეტი, ამერიკის შეერთებული შტატების სტატისტიკის მიხედვით, საჭიროა სააქციო კაპიტალის არანაკლებ 10% **(კონჯარია 2012: 26).**

პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს განსაკუთრებული ადგილი უკავია ქვეყნის ეკონომიკურ და სოციალურ-პოლიტიკურ ცხოვრებაში, რადგან დიდწილად სწორედ ისინი

განაპირობებენ ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას გრძელვადიან ასპექტში. განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ქვეყნის ეკონომიკური სიძლიერე და საბანკო სისტემა კვლავ არ არის ჩამოყალიბებული ისეთ დონეზე, რომ შეძლოს ეკონომიკის სტაბილურად და იაფი სესხებით მომარაგება **(ჭარაია 2015: 10-11).**

პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს არეგულირებენ საერთაშორისო და ეროვნულ დონეებზე. საერთასშორისო დონეზე მათი რეგულირების ძირითადი ფორმაა საერთაშორისო საინვესტიციო შეთანხმებები. ისინი შეიძლება იყოს ორმხრივი ან მრავალმხრივი, რომელთა მონაწილეები არიან მთავრობები და ზოგჯერ საერთაშორისო ეკონომიკური ორგანიზაციებიც. ყველაზე მეტი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს ორმხრივ შეთანხმებებს, რომელთა მთავარი ელემენტებია ორმხრივი თანამშრომლობის ფორმები და ინვესტიციების დაცვის მექანიზმები. ამ უკანასკნელს წამყვანი ადგილი უჭირავს შეთანხმებებში, რადგან სწორედ მასშია მოცემული სახსრების გადაგზავნის საშუალებები, არაკომერციული რისკების საწინააღმდეგო გარანტიები და შესაძლო უთანხმოებათა მოგვარების წესი.

ორმხრივი ხელშეკრულებების გაფორმება საგრძნობლად გააქტიურდა 1990-იან წლებში. ამ პერიოდში მათმა რაოდენობამ 2000-ს მიაღწია **(World Investment Report 2000:)**.

თავდაპირველად მათი მონაწილეები, უფრო მეტად, განვითარებული ქვეყნები იყვნენ, მაგრამ ამ ქვეყნებში საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესებასთან და ბარიერების გაუქმებასთან ერთად ამის აქტუალობამ თანდათან იკლო. სამაგიეროდ ორმხრივმა ხელშეკრულებებმა იმატა განვითარებად სამყაროში - ერთმანეთს შორის და განვითარებულ ქვეყნებთან. ამასთან, თვითონ განვითარებადი ქვეყნების ერთი ნაწილი ყველაზე ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებში კაპიტალის ექსპორტიორად იქცა.

ინვესტიციები ორმაგ როლს ასრულებს მაკროეკონომიკაში. ერთის მხრივ, ინვესტიციებზე გაწეული ხარჯები არის ხარჯების დიდი და ცვალებადი კომპონენტი, ამიტომ ინვესტიციების მკვეთრი ცვლილებები დიდ გავლენას ახდენს ერთობლივ მოთხოვნაზე. ეს კი, თავის მხრივ, ზემოქმედებს წარმოების მოცულობაზე და დასაქმებაზე. მეორეს მხრივ, ინვესტიციები გულისხმობს კაპიტალის დაგროვებას. შენობების, მანქანა-მოწყობილობების გამრავლება იწვევს ეროვნული წარმოების პოტენციალის ზრდას და

ხელს უწყობს ეკონომიკურ განვითარებას გრძელვადიან პერიოდში. ასე რომ ინვესტირება თამაშობს ორმაგ როლს:

ა) ერთობლივ მოთხოვნაზე ზემოქმედების მეშვეობით გავლენას ახდენს წარმოების მოცულობაზე, მოკლევადიან პერიოდში.

ბ) ზემოქმედებს რა კაპიტალწარმოქმნაზე, ე.ი. ეკონომიკის პოტენციალსა და ერთობლივ მიწოდებაზე, ინვესტირება გავლენას ახდენს გრძელვადიან ეკონომიკურ ზრდაზე **(ლეიაშვილი 2003: 317).**

დაბანდების მიმართულების მხრივ განასხვავებენ ინვესტიციებს:

1. ფიზიკურ კაპიტალში, კერძოდ, მოწყობილობების, მანქანების, შენობებისა და ინფრასტრუქტურის სახით;
2. ფიქტიურ კაპიტალში, რომელიც გამოხატულია ფასიან ქაღალდებსა და არამატერიალურ აქტივებში (სავაჭრო მარკა, პატენტები, ლიცენზიები და ა.შ.);
3. ადამიანურ კაპიტალში (საწარმოს თანამშრომელთა მომზადება, პერსონალის განვითარება, თანამშრომელთა ცხოვრების ხარისხის ამაღლება);
4. ტექნოლოგიური კაპიტალი, სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო დაფინანსების ფორმით **(ოქროცვარიძე...2010: 2.1).**

მაგრამ ყველა მათგანს საბოლოო ჯამში ახასიათებს შემდეგი ნიშნები:

1. ინვესტიციები, როგორც წესი, გულისხმობენ მნიშვნელოვან ფინანსურ დანახარჯებს;
2. უკუგება ინვესტიციისაგან შეიძლება მიღებულ იქნას რამდენიმე წლის შემდეგ;
3. ინვესტირებისას არსებობს რისკისა და გაურკვევლობის ელემენტები;
4. ინვესტიციები, რომლებიც განიხილება, როგორც კაპიტალური დაბანდებები, გულისხმობენ ძირითადი კაპიტალის შეძენას, საწარმოო შესაძლებლობების გაფართოებას, ან ნებისმიერ სხვა დანარჩენს, რომლებიც მიმართულია ეფექტიანობის ზრდისაკენ.

რადგან კაპიტალური დოვლათი მოიხმარება მრავალი წლის განმავლობაში, ამიტომ საინვესტიციო გადაწყვეტილებები დამოკიდებულია:

ა) ახალი ინვესტიციებით წარმოებული პროდუქციის მოთხოვნაზე;

ბ) საპროცენტო განაკვეთებსა და გადასახადებზე, რომლებიც განაპირობებენ ინვესტირების ხარჯებს;

გ) მეწარმეთა მოლოდინებზე ეკონომიკის საერთო მდგომარეობის შესახებ **(ლეიაშვილი 2003: 318).**

ბოლო 20-25 წლის მანძილზე მრავალი განვითარებადი ქვეყანა დაადგა უცხოური ინვესტიციების რეგულირების რეჟიმების შერბილების გზას, რითაც ცდილობს პირდაპირი ინვესტიციების აქტიურად მოზიდვას მსოფლიო ბაზრებზე კონკურენციის გამწვავების პირობებში.

მრავალი ქვეყნის მთავრობას შემუშავებული აქვს თავიანთ მეურნეობებში უცხოელი ინვესტორების შემოსვლის პირობები, რომლებიც შემდეგ კატეგორიებად შეიძლება დაიყოს:

1. მოთხოვნები ეროვნულ ბაზარზე გაყიდვათა მთლიან მოცულობაში უცხოური კომპანიების ექსპორტის მაქსიმალური ხვედრითი წილის მიმართ;
2. ვალდებულებები ადგილობრივი სამუშაო ძალის გამოყენებასთან დაკავშირებით;
3. მიმღებ ქვეყანაში შექმნილი ფირმების კაპიტალში უცხოური კომპანიების მაქსიმალური და მინიმალური ხვედრითი წილების დაწესება;
4. მოთხოვნები ტექნოლოგიოების გადაცემაზე;
5. კომპანიის ვალდებულებები მიმღებ ქვეყანაში კვლევებისა და საცდელი სამუშაოების ჩატარებაზე.

საგულისხმოა, რომ განვითარებული ქვეყნებიც კი მთლიანად არ აუქმებენ უცხოელი მეწარმეებისთვის დაწესებულ შეზღუდვებს. კერძოდ, აქ ჯერ კიდევ ინარჩუნებენ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შეზღუდვას გარკვეულ დარგებსა და სფეროებში, ეროვნული კომპანიების კაპიტალში უცხოელი ინვესტორების წილის შეზღუდვებს და ორმხრივობის მოთხოვნებს. ეს ერთგვარად, სიფრთხილის ზომებია უცხოური კაპიტალის ,,შემოტევისაგან'' თავის დასაცავად, რის აუცილებლობას ძლიერი ქვეყნებიც კი კარგად გრძნობენ. ამიტომ კანონების მიუხედავად, რომლებიც საინვესტიციო რეჟიმის ლიბერალიზებას ითვალისწინებენ, უმრავლესი ქვეყნების პრაქტიკაში შენარჩუნებულია უცხოელი ინვესტორების საქმიანობის შეზღუდვა. მათ შორის არიან აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპის ქვეყნები (უნგრეთი - ავტოსაგზაო და სამდინარო ტრანსპორტი; ლიტვა და უკრაინა წამლების წარმოება); მექსიკა - ნავთობის მოპოვება და

გადამუშავება, ელექტრო მომარაგება და სხვა; ირანი - მომსახურების სფერო, საბანკო სექტორი **(ბერკაცაშვილი 2006: 11-12).**

მიგვაჩნია, რომ განსაკუთრებულ ყურადღებას უნდა ვაქცევდეთ უცხოელ ინვესტორთა საქმიანობასთან დაკავშირებულ შესაძლო უარყოფით შედეგებსაც, მათ შორის ე.წ. ,,განდევნის ეფექტს''. როგორც ცნობილია, მას ორი ფორმა აქვს. ჯერ ერთი, კონკურენტული უპირატესობების მქონე უცხოურ კორპორაციებს შეუძლიათ ეროვნული კომპანიების შევიწროვება საქონლის ბაზრებზე. მეორე, ეს კორპორაციები თვითონ ,,ითრევენ'' ეროვნულ ბაზრებზე არსებული რესურსების, მათ შორის - ფინანსების, საგრძნობ ნაწილს და შესაბამისად ამოსავალი ყოველთვის უნდა იყოს ეროვნული ინტერესების დაცვა.

1.2. უცხოური ინვესტიციების სტიმულირების ძირითადი მიმართულებები და ფორმები

მსოფლიო განვითარების თანამედროვე ეტაპზე არსებული ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, განვითარებად ქვეყნებში ინვესტიციური საქმიანობის წახალისება, ხელშეწყობა და მისი განხორციელება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანაა.

ბოლო ათწლეულში განვითარებადმა ქვეყნებმა განახოციელეს საინვესტიციო რეჟიმების მასიური ლიბერალიზაცია მეტი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის მიზნით, რადგან იგი განიხილება როგორც ეკონომიკური განვითარების, მოდერნიზაციის, შემოსავლის ზრდის და დასაქმების ხელშემწყობი ფაქტორი (OECD 2012:).

საინვესტიციო გარემოს შექმნა თავისთავად გულისხმობს თანმიმდევრული ინვესტიციური პოლიტიკის შემუშავებას და სახელმწიფოებრივი რეგულირების მექანიზმის ამოქმედებას, მისაღები საგადასახადო რეჟიმისა და საკანონმდებლო სისტემის არსებობას, ადმინისტრაციული ბარიერებისა და შეზღუდვების შემცირებას, სამართლიანი კონკურენციის პირობების და ბიზნესის განვითარების ხელშემწყობი ინფრასტრუქტურის შექმნას.

საინვესტიციო გარემო არის ფაქტორების ერთობლიობა, რომელიც დამახასიათებელია მოცემული ქვეყნისათვის და განსაზღვრავს შესაძლებლობებს და სტიმულებს, რათა ფირმებმა გააფართოვონ საქმიანობის მასშტაბები, განახორციელონ ინვესტიციები, შექმნან ახალი სამუშაო ადგილები და აქტიური მონაწილეობა მიიღონ გლობალურ კონკურენციაში. ხელსაყრელი ინვესტიციური კლიმატი სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკურ-სამართლებრივი ურთიერთობის ფართო სიტემაა, რომელთა შემადგენელი ფაქტორები შეიძლება შემდეგნაირად დავაჯგუფოთ: პოლიტიკური, რაც ინვესტირების პოლიტიკურ რისკებთან არის დაკავშირებული; სამართლებრივი, რომელშიც ასახულია საკუთრებითი ურთიერთობა და ეკონომიკური, რომელიც მოიცავს ეროვნული ეკონომიკის მდგომარეობის მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებს (ფუტკარაძე 2013: 165-166).

ქვეყნის ეკონომიკის სტაბილური განვითარების უზრუნველყოფა საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესებით, ექსპორტის სტიმულირების მეშვეობით მიზანშეწონილია იმდენად, რამდენადაც:

- იმპორტის ჩანაცვლება უცხოური ვალუტის ეკონომიას ახდენს, ხოლო ექსპორტის ჩანაცვლება მას გამოიმუშავებს;
- ნებისმიერი საქონლის შიდა ბაზარი მსოფლიო ბაზარზე მცირეა, რომელიც იძლევა მასშტაბის დიდ ეკონომიას, ცოდნის განახლების შესაძლებლობას და ჯანსაღ კონკურენციას;
- ექსპორტით ჩანაცვლება მოიზიდავს უფრო მეტ ინვესტიციას იმპორტის პროტექციონისტულ ჩანაცვლებასთან შედარებით;
- უფრო ეფექტურად გამოიყენება შიდა რესურსები (აღარ არსებობს ჭარბი რესურსების უდიერი მოხმარების სტიმულირება);
- მსუბუქდება საგარეო ვალის უღელი, უმჯობესდება მისი მომსახურების მაჩვენებლები და იზრდება საგარეო სესხების შესაძლებლობანი.

უცხოური კაპიტალის შემოდინების სტიმულირების მეთოდების არსი მდგომარეობს იმაში, რომ ამ ინვესტიციებით გამოწვეული საერთო შემოსავალი ინვესტორის შემოსავალზე დიდია. თუ უცხოური ინვესტიციები ზრდიან ეროვნული ეკონომიკის მწარმოებლურობას, მაშინ ნამეტი პროდუქცია ნაწილდება შემდეგ სუბიექტებზე:

1. ინვესტორზე, რომელიც იღებს თავის წილ შემოსავალს დივიდენდების, მოგების ანარიცხების, ლიზინგის ან სხვა სახით;
2. დაქირავებულ პერსონალზე (სამუშაო ძალა), რომელიც იღებს საკუთარი შრომის საფასურს;
3. სასაქონლო ბაზრის გაჯერება, მრავალფეროვანი არჩევანის საშუალებას აძლევს მომხმარებლებს, რომელთაც შეუძლიათ საქონელი შეიძინონ უკეთეს ფასად და უკეთესი პირობებით. აქედან გამომდინარე, მოგებას იღებს ყველა მომხმარებელი;
4. წარმოების გაფართოება, დაქირავებულ პერსონალზე ხელფასის გაცემა საგადასახადო შემოსავლების ზრდის საფუძველზე იწვევს სახელმწიფო ხაზინის შევსებას **(ხურცია 2005: 84).**

სტიმულირების პოლიტიკის ძირითად მიზანს წარმოადგენს ინვესტიციური ნაკადების მიმართულების, სიდიდისა და ხასიათის განსაზღვრა. უცხოური კაპიტალის მოზიდვის სტიმულირებას საფუძვლად უდევს პრივატიზაციის პროგრამები, რომლებიც ხორციელდებოდა ქვეყნების სხვადასხვა ჯგუფებში. პრივატიზაციასა და პირდაპირი

უცხოური ინვესტიციების შემოდინებას შორის არსებობს პირდაპირპროპორციული დამოკიდებულება, კერძოდ:

1. უცხოელი ინვესტორის მიერ პრივატიზაცია შეიძლება გამოყენებულ იქნეს, როგორც გასაღების ბაზრების გაფართოების საშუალება, მაშინ, როცა სახელმწიფო საკუთრება ინარჩუნებს მონოპოლიურ უფლებას გასაღებაზე სახელმწიფო კომპანიებისათვის;
2. როგორც უცხოელი, ასევე ადგილობრივი მეწარმისათვის პრივატიზაცია წარმოადგენს ერთ-ერთ მაკროეკონომიკურ ფაქტორს, რომელიც ხელსაყრელი საინვესტიციო კლიმატის საფუძველია.

განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებში 80-იანი წლების ბოლოსა და 90-იანი წლების დასაწყისში ინტენსიურად მიმდინარეობდა პრივატიზაციის პროცესი, რომელსაც საფუძვლად ედო სახელმწიფო საწამოების ფუნქციონირების დაბალი ეფექტიანობა. სწორედ ამან განაპირობა სახელმწიფო საწარმოების კერძო სექტორის საკუთრებაში გადაცემის პროგრამების შემუშავების აუცილებლობა.

90-იანი წლების შუა პერიოდიდან შეინიშნება ერთგვარი ცვლილებები მიმღები ქვეყნების პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის სახელმწიფო პოლიტიკაში. ამასთან დაკავშირებით, შეიძლება გამოვყოთ მოცემული პოლიტიკის სამი ძირითადი მიმართულება:

1. **მიმღები ქვეყნის იმიჯის ამაღლება ხორციელდება სარეკლამო ინფორმაციის გავრცელების საფუძველზე, რომელიც მოცემულ ქვეყანას, მის პოტენციურ შესაძლებლობას, მოიზიდოს პირდაპირი უცხოური ინვესტიციები და ა. შ. ახასიათებს.** ამისათვის გამოიყენება მასობრივი ინფორმაციის საშუალებები, სპეციალური გამოცემები, ტარდება დისკუსიები და სპეციალური შეხვედრები. ყოველივე ეს უზრუნველყოფს ინვესტირების პირობების ინფორმაციულ გაშუქებას. ეს მიმართულება საჭიროებს მნიშვნელოვან სახსრებს და როგორც წესი, ხორციელდება სახელმწიფო დონეზე. ხშირად ამისათვის სახელმწიფო ფინანსური საშუალებები არ არის საკმარისი. ასეთ დროს პრიორიტეტი ენიჭება ამა თუ იმ ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისათვის ყველაზე უფრო მნიშვნელოვან ცალკეულ დარგებს;
2. **სახელმწიფოს მიერ უცხოელი ინვესტორებისათვის მომსახურების კომპლექსური პაკეტის გადაცემა, რომელიც ხელს უწყობს მათ ინვესტიციურ საქმიანობას.** ძირითადად

ესენი კონსულტაციური მომსახურების ხასიათს ატარებენ, რომლებიც უადვილებენ უცხოელ ინვესტორს რეგისტრაციისა და საგადასახადო კონტროლის სხვადასხვა ბიუროკრატიული ეტაპების გავლას. ბუნებრივია, რომ ამგვარ პოლიტიკას, უწინარეს ყოვლისა, საფუძვლად უდევს მიმღები ქვეყნის ეროვნული ინტერესები. აღნიშნული მიმართულება, პირველ მიმართულებასთან ერთად, როგორც წესი, განვითარებადი ქვეყნებისთვისაა დამახასიათებელი, სადაც ადმინისტრაციული ფორმალობები და ადეკვატური ინფორმაციის არარსებობა წარმოადგენს უცხოელ ინვესტორთათვის მნიშვნელოვან ფაქტორს;

3. **უცხოელი და ადგილობრივი მეწარმეებისათვის ფინანსური, ფისკალური და სხვა შეღავათების მიცემა.** საგულისხმოა, რომ ფინანსურ შეღავათებზე ძირითადად განვითარებული ქვეყნები არიან ორიენტირებულნი. მიმღები ქვეყნის ეკონომიკის ცალკეული დარგების რეგიონული განვითარების სტიმულირების მიზნით, ფინანსური სუბსიდიები მიეცემათ რეგიონებს, ქალაქებს ან რაიონებს. სუბსიდირების ძირითადი მოთხოვნაა, ფინანსური შეღავათების გამჭვირვალობისა და ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, სახსრების დაბრუნების უზრუნველყოფა.

სახელმწიფოს აგრეთვე შეუძლია განახორციელოს ინვესტიციური დაბანდებების დაფინანსება წილობრივი მონაწილეობის საფუძველზე და სესხზე გარანტიის უზრუნველყოფით. ფინანსური შეღავათები საჭიროებენ მნიშვნელოვან ფულად დანახარჯებს, მაშასადამე - დამატებითი ფონდების შექმნას. ამიტომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ეს ფორმა ძირითადად განვითარებულ ქვეყნებში გამოიყენება და იშვიათად მიმართავენ მას განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნები.

თანამედროვე პირობებში, უცხოური ინვესტიციების შემოდინების სტიმულირების ძირითად მიმართულებას წარმოადგენს სხვადსხვა სახის შეღავათების დაწესება. ქვეყანაში შემუშავებული სხვადასხვა საშეღავათო რეჟიმების დაწესების დროს, როგორც უცხოელი, ასევე ადგილობრივი ინვესტორი სარგებლობს შეღავათების მიღების ერთნაირი უფლებით. ამასთან, მეწარმეებს შეღავათები უწესდებათ შემდეგი პირობების შესრულებისას:

1. მოსახლეობის დასაქმების ზრდის ხელშეწყობა;
2. მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობა;

3. მიმღებ ქვეყანაში სამეცნიერო-კვლევითი და ორგანიზაციულ-საკონსტრუქტორო სამუშაოების განხორციელება;
4. რეგიონული პოლიტიკის განხორციელების ხელშეწყობა;
5. ექსპორტის გაფართოების ხელშეწყობა.

ვაჭრობისა და განვითარების შესახებ გაეროს კონფერენციაზე, დარგობრივ ჭრილში შემუშავებულია ინვესტიციების სტიმულირების საშუალებათა კლასიფიკაცია, რომელიც მოიცავს სამი ჯგუფის სტიმულებს: ფისკალურ, ფინანსურ და სხვა შეღავათებს.

ცხრილი №1

№	**ფისკალური შეღავათები:**
1	კორპორაციის მოგების გადასახის განაკვეთის შემცირება;
2	საგადასახადო არდადეგები;
3	ამორტიზაციის ანარიცხების თანხის გაზრდა;
4	ინვესტიციებისა და რეინვესტირების შეღავათები;
5	სოციალურ ფონდებში შენატანების შეღავათები;
6	საექსპორტო ბაჟის შემცირება;
7	ექსპორტიდან შემოსავლების პრეფერენციული დაბეგრვა;
8	საექსპორტო საქონლის წარმოებისას ადგილობრივი ნედლეულის გამოყენებისთვის, საგადასახადო კრედიტები;
9	ექსპორტზე ორიენტირებული წარმოების დაბეგრვის შემცირება.
	ფინანსური შეღავათები:
1	კაპიტალური ხარჯების დასაფარად პირდაპირი სუფსიდიები;
2	სესხის მისაღებად გარანტიების გაცემა;
3	გარანტირებული სესხების გაცემა ექსპორტზე ორიენტირებულ წარმოებაზე;
4	მაღალი კომერციული რისკის მქონე ინვესტიციებში სახელმწიფო კაპიტალის მონაწილეობა;
5	ზოგიერთი რისკის შემთხვევაში, საშეღავათო სესხების სახელმწიფო დაზღვევა (ვალუტის კურსის ცვლილება, დევალვაცია და ა.შ.).
	სხვა შეღავათები:
1	საინვესტიციო პროექტების შექმნის, ან ინფრასტრუქტურის რეკონსტრუქციის ხარჯების სუბსიდირება;
2	პრეფერენციული სახელმწიფო ხელშეკრულებების გაფორმება;
3	უცხოური კონკურენციისგან დაცვა;
4	სპეციალური პროგრამები, რომლებიც ეხმარება უცხოური კრედიტების მიღების დროს და ა.შ.

წყარო: Государственное стимулирование инвестиционных процессов на макро-уровне - ცხრილი შედგენილია ავტორის მიერ.

განვითარებულ ქვეყნებში უპირატესად იყენებენ უცხოური ინვესტიციების სტიმულირების ფინანსური შეღავათების ფორმას. კერძოდ, დაჩქარებული ამორტიზაცია, კორპორაციული გადასახადის განაკვეთის შემცირება. ხოლო განვითარებად ქვეყნებში-საგადასახადო სტიმულების ფორმას. კერძოდ, საგადასახადო არდადეგები, რომელთა მოქმედების ვადა შეიძლება 1-5 წელს, ხანდახან 10-25 წელს აღწევდეს. სტიმულირების კიდევ ერთი ფორმაა საბაჟო განაკვეთების შემცირება, რომლებიც წესდება 5-10 წლით, ზოგიერთი პროექტისათვის 15-23 წლით.

გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებში გამოიყენება სტიმულირების შემდეგი მეთოდები: კორპორაციულ შემოსავალზე სტანდარტული საგადასახადო განაკვეთის დონის შემცირება; საგადასახადო არდადეგების გატარება; ბაჟის შეღავათიანი განაკვეთები გამოყენებულ ნედლეულზე ან მოწყობილობებზე, ზოგიერთ ქვეყანაში გამოიყენება ეგრეთ წოდებული საგადასახადო სტაბილიზაციის სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს საგადასახადო განაკვეთების სტაბილურობას დადგენილი ვადის განმავლობაში. ამგვარი სისტემა მოქმედებს ამა თუ იმ ქვეყანაში ფინანსური და სამართლებრივი არასტაბილურობის დროს.

ყველაზე უფრო ფართოდ გავრცელებულ საგადასახადო შეღავათებს მიეკუთვნებიან: საგადასახადო არდადეგები; საინვესტიციო ფასდაკლება; საგადასახადო კრედიტი; დაჩქარებული ამორტიზაცია; ინვესტიციური სუბსიდიები; ირიბი დაბეგვრის შეღავათები, კერძოდ, საბაჟო გადასახადის განაკვეთის დაწევა.

საგადასახადო არდადეგები გულისხმობს რამდენიმე წლის მანძილზე გადასახადიდან განთავისუფლებას პირველი მოგების გამოცხადების მომენტიდან. სხვადასხვა ქვეყანაში საგადასახადო არდადეგების პირობები და ვადები არაერთგვაროვანია. როგორც წესი, მათი ხანგრძლივობა 2 დან 10 წლამდე ვადით განისაზღვრება. მაგალითად, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში საგადასახადო არდადეგების რეჟიმით შეუძლიათ ისარგებლონ მხოლოდ იმ სამრეწველო კომპანიებმა, რომელთაც გააჩნიათ სახელმწიფო ლიცენზია და რომლებიც აკმაყოფილებენ შესაბამისად შემუშავებულ კრიტერიუმებს **(ქოქიაური 2006: 20).**

ხშირად სახელმწიფო და ადგილობრივი ხელისუფლებები ერთდროულად იყენებენ საგადასახადო არდადეგებისა და საგადასახადო განაკვეთების დაწევის სისტემას.

კორეის რესპუბლიკის ახალი კანონმდებლობის შესაბამისად, საგადასახადო არდადეგ-ბის ხანგრძლივობა შეადგენს 8-10 წელიწადს. ამასთან, საგადასახადო შეღავათის 8 წლის მინიჭების შემთხვევაში, შეღავათი განისაზღვრება შემდეგნაირად: პირველი ხუთი წლის მანძილზე ფირმა მთლიანად თავისუფლდება კორპორაციული მოგების გადასახა-დისაგან, შემდგომი სამი წლის მანძილზე ფირმა იხდის მოქმედი კორპორაციული გადა-სახადის 50%-ს. აღნიშნული შეღავათი ვრცელდება არა მარტო კორპორაციული გადასა-ხადის, არამედ გადასახადების სხვა სახეების მიმართ, კერძოდ, ინდივიდუალურ საშე-მოსავლო გადასახადზე, დივიდენდებიდან გადასახადზე.

ინვესტიციური ფასადაკლება და საგადასახადო კრედიტი საგადასახადო არდადე-გებთან შედარებით, ფლობენ უპირატესობებს, ვინაიდან, წარმოადგენენ უფრო ქმედით ინსტრუმენტებს ამა თუ იმ ფორმით კაპიტალის მოზიდვისათვის. შემოსავლები მათი გამოყენებისას ატარებენ უფრო ტრანსპარენტულ ხასიათს, მათი გაკონტროლება უფრო ადვილია.

ყველაზე უფრო მარტივი და ეფექტიანია საგადასახადო კრედიტის ფორმა. თუ სა-გადასახადო კრედიტის თანხა განსაზღვრულია, მაშინ იგი გადაირიცხება სპეციალურ საგადასახადო ანგარიშზე. კომპანია, რომელიც მიიღებს ამგვარ შეღავათს, ჩაითვლება ჩვეულებრივ გადამხდელად, მაშასადამე, დაექვემდებარება დაბეგვრის ყველა მოქმედ პირობასა და წესს. ერთადერთი განმასხვავებელი ნიშანი ასეთი კომპანიისა იმაშია, რომ შემოსავლების დაბეგვრის პასუხისმგებლობა უზრუნველყოფილი იქნება იმ კრე-დიტების ხარჯზე, რომლებიც ბრუნდება საგადასახადო ანგარიშიდან მანამ, სანამ ბა-ლანსის სალდო ნულს არ გაუტოლდება. ამის შემდეგ საგადასახადო ანგარიში იხურება განსაზღვრული პერიოდით, ხოლო გამოუყენებელი საგადასახადო კრედიტის თანხები შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს. თუ ცნობილია საგადასახადო კრედიტის თანხები, რომლებიც შეეთავაზებათ პრიორიტეტულ საწარმოებს, მაშინ შეიძლება ჩართულნი იყვ-ნენ ბალანსში, როგორც საგადასახადო გასავლები და დაექვემდებარონ იგივე შემოწმე-ბას, როგორსაც გასავლების სხვა ფორმები. ეს განსაზღვრავს ტრანსპარენტულობის მა-ღალ ხარისხს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, საგადასახადო კრედიტი მოგების გადასა-ხადიდან კომპანიის ინვესტიციური ხარჯების ნაწილის გამოქვითვაა, შესაძლოა, იმ პი-

რობით, რომ ეს კრედიტი გამოყენებული იქნება შემდგომი კაპიტალდაბანდებებისათ-ვის.

საინვესტიციო ფასდაკლებების სისტემა და დაბალი საგადასახადო განაკვეთების ფორმით გამოყენება საგადასახადო კრედიტის პრაქტიკის ანალოგიურია და მას გააჩნია ადეკვატური ეფექტი. ერთადერთი არსებითი განსხვავება შემდეგში მდგომარეობს: თუ კორპორაციულ გადასახადს რამდენიმე განაკვეთი აქვს, მაშინ საჭიროა ინვესტიციური ფასდაკლებების რაოდენობა განისაზღვროს აბსოლიტურ გამოსახულებაში და არა იმ სა-გადასახადო განაკვეთის ფორმით, რომლითაც დგინდება ფასდაკლება. წინააღმდეგ შემთხვევაში, დასაწესებელი საგადასახადო კრედიტის თანხა არ იქნება დამოკიდებული საგადასახადო განაკვეთზე.

საგადასახადო ფასდაკლების მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ სინგაპურის პრაქტიკა, სადაც პრიორიტეტული ფირმები ღებულობენ შეღავათებს საქმიანობის გა-ფართოებისა და განვითარებისათვის, კორპორაციული გადასახადის 13%-მდე შემცირე-ბის ხარჯზე 10 წლის მანძილზე და ამ პერიოდის გახანგრძლივების შესაძლებლობით. სინგაპურის პრაქტიკის კიდევ ერთი მაგალითია ინვესტორის განთავისუფლება შემო-სავლების დაბეგვრისაგან პროპორციული თანხით, არა უმეტეს 50%-სა საწარმოო მოწ-ყობილობებში ახალ კაპიტალდაბანდებათა სიდიდისა **(ლიბერალური 2012: 16).**

საინვესტიციო ფასადაკლებების კიდევ ერთი ნაირსახეობაა კორპორაციული გადა-სახადის შემცირება იმ სხვაობის ნახევრით, რომელიც დაფიქსირდება მიმდინარე წელს სამეცნიერო კვლევით და ორგანიზაციულ საკონსტრუქტორო სამუშაოებზე დანახარ-ჯებსა და წინა ორი წლის მანძილზე სამეცნიერო გამოკვლევების საშუალო დანახარჯებს შორის. მაგალითად, ესპანეთში მოქმედებს მუდმივი საგადასახადო კრედიტი 20%-ის ზომით, მეწარმეთა სამეცნიერო კვლევით და ორგანიზაციულ საკონსტრუქტორო სამუ-შაოებზე.

სტიმულების კიდევ ერთ ფორმას წარმოადგენს დაჩქარებული ამორტიზაცია. ეს არის ოპერაცია, რომლის დროსაც მოგების ნაწილი ხვდება საწარმოო დანახარჯებში და თავისუფლდება გადასახადისაგან. მაგალითად, გერმანიაში საწარმოო ნაგებობების ამორტიზაციის ყოველწლიური ნორმები შეადგენს 10%-ს საქმიანობის პირველი ოთხი წლის მანძილზე, 5%-ს შემდგომი სამი წლის და 2,5%-ს შემდეგი 18 წლის მანძილზე. გან-

საკუთრებით შეღავათიანი ნორმები მოქმედებენ ეკონომიკის ცალკეული სექტორების ძირითადი აქტივების მიმართ (თვითმფრინავები, საცხოვრებელი ფონდები, მცირე და საშუალო საწარმოების ძირითადი ფონდები, ჰოსპიტლები).

საგადასახადო სტიმულების სხვა ფორმებთან შედარებით, უცხოური ინვესტიციების მოზიდვის თვალსაზრისით, დაჩქარებულ ამორტიზაციას გააჩნია ორი უპირატესობა:

1. უფრო იაფი ჯდება, ვიდრე შემოსავლები, რომლებზეც ადრე უარი ითქვა და რაც ნაწილობრივ იფარებოდა აქტივების მოქმედების ღირებულებით;
2. თუ დაჩქარებული ამორტიზაციის ნორმები წესდება დროებით, მაშინ მან შეიძლება მოკლევადიან პერიოდში სტიმული მისცეს კაპიტალდაბანდებებს, ვინაიდან ინვესტორები დააბანდებენ კაპიტალს იმ მოტივით, რომ მომავალში მიიღონ ეფექტი.

ინვესტიციური ფასდაკლებებისა და საგადასახადო კრედიტის ერთ-ერთი ნაირსახეობაა ინვესტიციური სუბსიდიები. თუმცა მათი მიცემა ერთობ პრობლემატურია, ვინაიდან ახასიათებთ რისკის ფაქტორი საბიუჯეტო შემოსულობების თვალსაზრისით. ინვესტიციური სუბსიდიები მოიცავენ საბიუჯეტო გასავლებს, უმთავრესად საგადასახადო განაკვეთების შემცირების ფორმით. მაგალითად, სინგაპურში სუბსიდირება გამოიყენება ინოვაციების განვითარებაზე გაწეული პირდაპირი დანახარჯების 30-50%-ით დაფარვის მიზნით.

არაპირდაპირი გადასახადების სტიმულირება ხორციელდება კაპიტალტევადი საქონლისა და ნედლეულის დღგ-ს დაბეგვრის გამორიცხვის ფორმით, აგრეთვე უბაჟო შემოტანის სისტემის შემოღებით. შეღავათები არაპირისპირ გადასახადებთან მიმართებაში გამოიყენება ექსპორტის სტიმულირებისათვის და სამართლებრივი თვალსაზრისით ითვლება ყველაზე მისაღებად.

ზემოაღნიშნული სტიმულის სხვა ფორმაა საბაჟო გადასახადის განაკვეთების ლიკვიდაცია ან შემცირება. მაგალითად, ავსტრიაში ინვესტორთათვის მოქმედებს იმ საქონლის უბაჟო იმპორტის რეჟიმი, რომელიც ქვეყანაში არ იწრმოება, აგრეთვე ბაჟის, აქციისა და იმპორტული საქონლის გაყიდვიდან სხვა გადასახადების დაბრუნება, თუ იმპორტი გამიზნულია გადამუშავებისა და რეექსპორტისათვის.

უცხოური ინვესტიციების მოზიდვის მეორე და მესამე ჯგუფს შეადგენენ ფინანსური და სხვა შეღავათები. ჩვენ მათგან მხოლოდ რამდენიმეს განვიხილავთ, რომლებიც ყველაზე ხშირად გვხვდება ამა თუ იმ ქვეყანაში.

განვითარებად ქვეყნებში ფართო გავრცელება ჰპოვა დასახული მიზნების შესასრულებლად ინვესტიციების მოზიდვის ხელშეწყობის პროგრამების შემუშავებამ. განვიხილოთ ორი ქვეყნის - მექსიკისა და კორეის რესპუბლიკის პრაქტიკა, რომლებიც მიეკუთვნებიან ახალი ინდუსტრიული ეკონომიკის ქვეყნების ჯგუფს.

მექსიკაში მოქმედებს ინვესტიციების მოზიდვის სტიმულირების ორი პროგრამა: საექსპორტოდ განკუთვნილი პროდუქციის საწარმოებლად იმპორტირებული საქონლის დროებითი ხელშეწყობა და ექსპორტზე ორიენტირებული კომპანიის ხელშეწყობა.

პირველი პროგრამა საბოლოო მიზნად ისახავს ექსპორტის სტიმულირებას პროდუქციის იმპორტირების დროებითი სტიმულირების საფუძველზე. იმპორტულ პროდუქციაში იგულისხმება საექსპორტო პროდუქციის დასამზადებლად აუცილებელი ნედლეული და მასალები. ამგვარი საქონლის შეტანა მექსიკაში ხდება ბაჟის გადახდის გარეშე. შეღავათები შეიძლება მიიღონ კომპანიებმა, რომლებიც დარეგისტრირებულნი არიან მექსიკის ტერიტორიაზე და აწარმოებენ საქონელს, რომელიც პირდაპირ ან ირიბად გაიტანება საზღვარგარეთ; აგრეთვე საგარეო ვაჭრობაზე ორიენტირებული ფირმები, რომლებიც მოქმედებენ მოცემული პროგრამის ფარგლებში.

მეორე პროგრამა მოქმედებს ექსპორტზე ორიენტირებულ კომპანიებთან მიმართებაში, აგრეთვე ფიზიკური პირების მიმართ, რომლებიც აწარმოებენ საქონელს და ახორციელებენ ექსპორტს წელიწადში არანაკლებ 2 მილიონი დოლარის მოცულობით; ასევე ფირმების მიმართ, რომლებიც აწარმოებენ საქონელს და ახორციელებენ არაპირდაპირ ექსპორტს, რომელიც გაყიდვების მთლიანი მოცულობის 50%-ის ექვივალენტურია. ზემოჩამოთვლილი კომპანიები თუ აკმაყოფილებენ ყველა კრიტერიუმს, ღებულობენ კომერციული ინფორმაციების ეროვნული სისტემის განკარგვის უფლებას.

არანაკლებ ინტერესს იწვევს სამხრეთ კორეის გამოცდილება, სადაც 1998 წელს შეიმუშავეს უცხოური ინვესტიციების ფორმირების ზონების პროგრამა. პროგრამის მიზანია, ხელი შეუწყოს მსხვილი საინვესტიციო პროექტების განხორციელებას, სადაც ლო-

მის წილი უცხოურ კაპიტალზე, ძირითადად, პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებზე მოდის.

კანონმდებლობის შესაბამისად, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მხრდაჭერა და სტიმულირება ხორციელდება ადგილობრივ ხელისუფლებასა და უცხოელ ინვესტორებს შორის მოლაპარაკების სტადიაზე. პროგრამის რეალიზაციის კრიტერიუმს წარმოადგენს კაპიტალდაბანდებების მოცულობა და შესაქმნელი სამუშაო ადგილების რაოდენობა. პრიორიტეტით სარგებლობენ სამრეწველო კომპანიები, აგრეთვე ფირმები, რომლებიც საქმიანობენ მომსახურების სფეროში და ფირმები, რომლებიც მოწინავე ტექნოლოგიებს ნერგავენ, რაც ხელს შეუწყობს ეროვნული ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ზრდას საერთაშორისო ბაზარზე **(ყოლბაია 2006: 20).**

მთლიანობაში, შეღავათები, ძირითადად საგადასახადო, ატარებენ ინდივიდუალურ ხასიათს. მათი გამოყენება დამოკიდებულია საექსპორტო სპეციალიზაციის ან დარგის ხასიათზე. დარგობრივ ჭრილში პრიორიტეტულად ითვლება მეცნიერება და ტექნოტევადი დარგები.

ცხადია, რომ ინვესტიციური სტიმულების ეფექტიანობა ხშირად დავის საგანი ხდება. უცხოელი ინვესტორის გადაწყვეტილება კაპიტალის დაბანდების შესახებ დამოკიდებულია მთელ რიგ ფაქტორზე, რომელთა შორის შეიძლება ითქვას, რომ საგადასახადო შეღავათები არ არის უმთავრესი ფაქტორი. გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ბუნებრივი რესურსების არსებობას, პოლიტიკურ და ეკონომიკურ სტაბილურობას, ადმინისტაციული და სამართლებრივი სისტემის ტრანსპარენტულობას, მხარდაჭერის ინსტიტუტების - საბანკო, სატრანსპორტო და ინფრასტრუქტურის სხვა სფეროების ადეკვატურობას, კაპიტალის გადაგზავნის თავისუფლებას, სამუშაო ძალის კვალიფიკაციისა და ღირებულების დონეს. თუ ეს ფაქტორები ხელსაყრელია და ქვეყნის საგადასახადო სისტემა შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს, მაშინ ამ შემთხვევაში საგადასახადო სტიმულებმა შეიძლება ითამაშოს ყველაზე უფრო ეფექტიანი როლი კაპიტალის დაბანდებაზე საინვესტიციო გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

საგადასახადო შეღავათები სადავო საკითხია იმ თვალსაზრისითაც, რომ ისინი შეიძლება სრულებით არ აინტერესებდეს ინვესტორს. მაგრამ საგადასახადო შეღავათები მნიშვნელოვანია მიმღები ქვეყნის ეროვნული ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილისათვის,

ვინაიდან, ნებისმიერი შემოსავალი, რომელიც მიიღება მიმღებ ქვეყანაში დაბეგვრის შედეგად, განისაზღვრება სწორედ საგადასახადო ბაზის მოცულობით.

სახელმწიფოს მხრიდან ინვესტიციების წახალისება წარმოქმნის ინვესტორთა ქცევების სხვადასხვა დეტერმინანტებს. იგი გავლენას ახდენს მოგების მოლოდინებზე, რეფინანსირების ხარჯებსა და მოთხოვნის მოლოდინებზე ან ხელს უწყობს კლასტერის ჩამოყალიბებას.

ინვესტიციების დადებითი გარე ეფექტების და მათთან დაკავშირებული ინოვაციების გამოყენების მიზნით, ხშირად, მონათესავე დარგებში მოღვაწე მეწარმეები რეგიონულ კლასტერებში ერთიანდებიან. გეოგრაფიული სიახლოვე დამატებით იძლევა კომპლემენტარული საწარმოო ფაქტორების უკეთესი გამოყენების საშუალებას, მაგალითად, სპეციალიზებული სამუშაო ძალების საერთო რესურსებთან ხელმისაწვდომობის სახით. შესაბამისი რეგიონული ინფრასტრუქტურის აგების გზით, რომელიც საკომუნიკაციო საშუალებებსა და საგანმანათლებლო დაწესებულებებს მოიცავს, სახელმწიფოს მხრიდან წახალისებას შეუძლია გავლენა მოახდინოს მსგავსი გაერთიანებების ჩამოყალიბებაზე და ამით ხელი შეუწყოს კერძო ინვესტორთა მზაობას **(კლუმპი 2015:156-162).**

ბევრ ქვეყანაში, მათ შორის რეგიონშიც, უცხოელი ინვესტორებისათვის არსებობს ინვესტიციების წახალისების სპეციალური სისტემები და საგადასახადო შეღავათები, რაც მიმზიდველს ხდის ინვესტირებისათვის ამ ქვეყნებს.

საქართველოს მეზობელ და პოსტსოციალისტურ ქვეყნებში კი მოქმედებს შემდეგი შეღავათიანი რეჟიმები და ე.წ. საინვესტიციო სტიმულები:

ლიტვა - ლიტვაში არსებობს თავისუფალი ეკონომიკური ზონები. სადაც დარეგისტრირებული კომპანიები, რომლებშიც უცხოელი ინვესტორის წილი საწესდებო კაპიტალის 30%-ს მაინც შეადგენს და 1.000.000 აშშ დოლარს აღემატება, ხუთი წლის განმავლობაში თავისუფლდება მოგების გადასახადისაგან, ხოლო შემდეგი ათი წლის განმავლობაში იხდის ამ გადასახადის მხოლოდ 50%.

ბულგარეთი - კომპანიები რომლებიც ინვესტიციებს აბანდებენ ბულგარეთის იმ რეგიონებში სადაც განსაკუთრებით მაღალია უმუშევრობის დონე თავისუფლდებიან მოგების გადასახადისაგან. 5.000.000 ევროზე მეტი მოცულობის მქონე საინვესტიციო პროექტები აღჭურვილობის იმპორტირებისას თავისუფლდებიან დღგ-ს გადასახადისა-

გან. მოქმედებს თავისუფალი ეკონომიკური ზონები ბურგასის პორტში და საერთაშორისო აეროპორტში.

სლოვენია - უცხოელი ინვესტორი, ძირითად საშუალებებსა და გრძელვადიანი არამატერიალურ საშუალებებში ინვესტირებისას უფლებამოსილია შეამციროს საგადასახადო ბაზა განხორციელებული ინვესტიციის 20%-ით.

პოლონეთი - პოლონეთში არსებობს 14 სპეციალური ეკონომიკური ზონა, სადაც მოქმედებს შემდეგი შეღავათები: ინვესტორი უფლებამოსილია შეამციროს საგადასახადო ბაზა განხორციელებული ინვესტიციის 50%-მდე, ხოლო მცირე და საშუალო საწარმოებისათვის აღნიშნული შეღავათი 65%-მდე იზრდება.

თურქეთი - თურქეთში მოქმედებს ინვესტიციების წახალისების გენერალური პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს შემდეგ შეღავათებს: 1) თავისუფლდება საბაჟო გადასახადისაგან; 2) თავისუფლდება დღგ-საგან ძირითადი საშუალებების იმპორტირებისას და ადგილობრივად შესყიდვისას; 3) ბიუჯეტიდან კრედიტის გამოყოფა. მოქმედებს თავისუფალი ეკონომიკური ზონები ტრაპზონის, სამსუნისა და რიზეს პორტებში.

სომხეთი - კომპანიები, სადაც უცხოური ინვესტიციები აღემატება 855.000 აშშ დოლარს სარგებლობენ შემდეგი შეღავათებით: ინვესტიციის განხორციელებიდან ორი წლის განმავლობაში კომპანია თავისუფლდება მოგების გადასახადიდან; ხოლო შემდეგი 2-7 წლის განმავლობაში (ინვესტიციის განხორციელების თარიღიდან გამომდინარე) იხდის მოგების გადასახადის 50%-ს.

ყაზახეთი - უცხოელი ინვესტორებისათვის მოქმედებს შემდეგი საგადასახადო შეღავათები: 1) ქონების გადასახადიდან გათავისუფლება; 2) მიწის გადასახადიდან გათავისუფლება; 3) ინვესტორს უფლება აქვს შეამციროს საინვესტიციო პროექტის ფარგლებში შეძენილი მატერიალური აქტივების ღირებულება; 4) ძირითადი საშუალებების იმპორტირებისას საბაჟო გადასახადიდან განთავისუფლება **(საბაძე 2016: 12-13).**

უზბეკეთი - მოგების გადასახადისაგან განთავისუფლება ხდება 7 წლით, იმ შემთხვევაში, თუ უცხოური ინვესტიციები ხორცილედება სახელმწიფო საინვესტიციო პროგრამით გათვალისწინებულ პროექტებზე; ახალ შექმნილი საწარმოები გარდა (სავაჭრო, საშუამავლო და მომსახურების სფეროებისა), რეგისტრაციის პირველ წელს იხდის მოგების გადასახადის 25%-ს, მეორე წელს 50%-ს, მესამე წელს დადგენილი განაკვეთით. ასე-

ვე ამავე რეჟიმში არიან მოქცეული საწარმოები, რომლებიც იქმნება მაღალმთიან რეგიონებსა და სოფლებში; კომპანია მოგების გადასახადის 50%-იან შეღავათს ღებულობს, თუ მის მიერ წარმოებული საქონელ/მომსახურების არანაკლებ 30%-ის ექსპორტირება ხდება; ახლად შექმნილი საწარმოები თავისუფლდებიან ქონების გადასახადისაგან, რეგისტრაციიდან 2 წლის განმავლობაში; ასევე საწარმოსთვის ქონების გადასახადის 50%-ით შემცირება ხდება, თუ მის მიერ წარმოებული საქონელ/მომსახურების არანაკლებ 30% გადის ექსპორტზე **(Рахманинов 2014: 15).**

როცა საუბარია ინვესტიციების მოზიდვასა და მათთვის სხვადასხვა შეღავათების მიცემაზე, ასევე მნიშვნელოვანია ვისაუბროთ ესპანეთზე, სადაც ესპანეთის ბასკებს გარკვეული ეკონომიკური ავტონომია გააჩნიათ და მის ჩარჩოებში საკუთარ, ესპანეთის სახელმწიფოსაგან განსხვავებულ ეკონომიკურ პოლიტიკასაც ატარებენ. კერძოდ ბასკებს სრულიად სხვაგვარი პოლიტიკა აქვთ უცხოური ინვესტიციების მოზიდვის სფეროშიც, მაგალითად თუ კორპორაციული გადასახადი ესპამნეთში საშუალოდ 35% წელიწადში, ანალოგიური მაჩვენებელი ბასკეთში შეადგენს 32,5%-ს. ამავე დროს, ბასკეთში დაწესებულია ე.წ. ოთხწლიანი ,,საგადასახადო არდადეგები“ უცხოელი ინვესტორებისათვის. კერძოდ უცხოური კომპანიები ბასკეთში მუშაობის პირველ წელს იხდიან გადასახადების 25%-ს, მეორე წელს 50%-ს, მესამე წელს 75%-ს, მეოთხე წელს 99%-ს და მხოლოდ მუშაობის მეოთხე წელს უთანაბრდებიან ამ მხრივ სხვა კომპანიაბს. ასეთი საგადასახადო პოლიტიკის შედეგია, რომ უცხოური ინვესტიციები ბასკეთში მაღალი ტემპით იზრდება **(გრიშიკაშვილი 2005: 131).**

გერმანიაში არსებობს ინვესტიციებისათვის ხელშეწყობის მასშტაბური და დიფერენცირებული სისტემა, რომელიც პირველ რიგში, მიმართულია რეგიონული განვითარების თვალსაზრისით არსებული განსხვავებების გათანაბრებისაკენ.

გერმანიაში ერთობლივ კერძო ინვესტიციებზე ეკონომიკურ-პოლიტიკური გავლენის გარდა, რომელიც კონიუქტურული მართვის პრიორიტეტულ საშუალებას წარმოადგენს, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ინვესტიციების სელექციური წახალისება რეგიონული სტრუქტურული პოლიტიკის ფარგლებში.

გერმანიის რეგიონული პოლიტიკის განსაკუთრებულ მიზანს წარმოადგენს სტრუქტურულად სუსტ რეგიონებში წარმოებისა და დასაქმების შესაძლებლობების

გაუმჯობესება კერძო ინვესტიციების მიზანმიმართული ხელშეწყობის გზით. ამასთან, წამახალისებელი ღონისძიებები მოიცავენ პირდაპირ საინვესტიციო დანამატებსა და სუბსიდიებს, რომელთა დასაშვები ზედა ზღვარი საინვესტიციო ხარჯების 25%-ს შეადგენს, დოტაციებს სესხზე მომსახურებაზე, სპეციალურ კრედიტებსა და ინვესტიციის დასაფინანსებლად საჭირო სესხებს, ასევე გადასახადებისაგან გათავისუფლებას, განსაკუთრებით საზღვრისპირა რეგიონებში ინვესტიციების განხორციელებისას ამორტიზაციასთან დაკავშირებული პროცედურების გამარტივებას.

რეგიონული მოთხოვნის განვითარებაზე ზემოქმედებისათვის გამოიყენება ადგილმდებარეობის მიხედვით დიფერენცირებული სახელმწიფო შეკვეთების გაცემა. რეგიონული მოთხოვნის ზრდა, სხვათა შორის, გამომდინარეობს ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებული სახელმწიფო ღონისძიებებიდან, რომლებიც ხელს უწყობენ დიდი რაოდენობით გრძელვადიანი სამუშაო ადგილების შექმნას, მაგალითად, სახელმწიფო უწყებების გადატანის, საავადმყოფოების მშენებლობისა ან ახალი უნივერსიტეტების დაარსების სახით **(კლუმპი 2015: 156,164,165).**

ინვესტიციების მოზიდვის საქმეში დიდ როლს თამაშობს ქვეყანაში არსებული კანონმდებლობა, ადგილობრივი ინფრასტრუქტურა, ცხოვრების დონე, როგორ არის სამუშაო ძალის მომზადების დონე და კომპეტენცია.

აღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით, უცხოეთის შესაბამისი სამსახურები ადგენენ მსოფლიოს ყველა ქვეყნის და მათ შორის, გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნების პოლიტიკურსა თუ ეკონომიკურ რეიტინგს, რომელსაც უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებენ უცხოელი ინვესტორები და ითვალისწინებენ ინვესტიციებისათვის მიმართულების მიცემის დროს **(გრიშიკაშვილი 2005: 134).**

უცხოური ინვესტიციების ამათუიმ სფეროში მოზიდვის კუთხით, ძალიან მნიშვნელოვანია ქვეყანაში მოქმედი ინვესტიციების სფეროს მარეგულირებელი ორგანოების გამართული და შეუფერხებელი მუშაობა.

სხვადასხვა ქვეყნებში ინვესტიციების სფეროს რეგულირებას ახორციელებს ეროვნული ბანკი, ინვესტიციების მარეგულირებელი სამსახური, ფასიანი ქაღალდების კომისია და ფინანსური ზედამხედველობის სამსახური.

ჩეხეთსა და სლოვენიაში ინვესტიციების სფეროს ზედამხედველობასა და რეგულირებას ახორციელებს ეროვნული ბანკი (Act on collective investment of the Czech Republic).

საფრანგეთში, ავსტრიაში, ხორვატიასა და ლიტვაში, როგორც საინვესტიციო სფეროს, აგრეთვე სადაზღვევო ინდუსტრიის, საპენსიო ფონდებისა და ფასიანი ქაღალდების ბაზრის რეგულირება ხდება სახელმწიფო მარეგულირებელი ორგანოს - ფინანსური ზედამხედველობის სამსახურის მიერ (Austrian, France's Croatian and Lithuanian Financial Market Authority).

რუმინეთსა და კვიპროსში ინვესტიციების სფეროს რეგულირება ხდება ფასიანი ქაღალდების კომისიის მიერ (Regarding Financial Investment Services of Romania and Cyprus).

ბულგარეთში, სლოვაკეთში, ლატვიაში, მონტენეგროში, ბოსნია-ჰერცეგოვინასა და აზერბაიჯანში, როგორც საქართველოში, ინვესტიციების სფეროს რეგულირებას უწევს ინვესტიციების მარეგულირებელი სამსახური (სააგენტო და კომისია), რომელიც ანგარიშვალდებულია აღმასრულებელ ხელისუფლებასთან.

ბულგარეთში - საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესებისა და უცხოური ინვესტიციების მოზიდვის მიზნით, „ინვესტიციების ხელშეწყობის სააგენტო" (Investment Promotion Agency), დახმარებას უწევს ეკონომიკის, ენერგეტიკისა და ტურიზმის სამინისტროს სახელმწიფო პოლიტიკის გასატარებლად ინვესტიციების სფეროში (Investment Promotion Act of Bulgaria).

სლოვაკეთში - ,,ინვესტიციებისა და ვაჭრობის განვითარების სააგენტოს" (Investment and Trade Development Agency), მთავარი მიზანია მაქსიმალურად გამოიყენოს ყველა შესაძლებლობა, რათა ქვეყანაში მოიზიდოს უფრო მეტი უცხოური ინვესტიციები და ხელი შეუწყოს რეზიდენტი კომპანიების კონკურენტუნარიანობის ამაღლებას საერთაშორისო ბაზარზე გასასვლელად, აგრეთვე ხელისუფლებასთან ერთად გადაჭრას მცირე და საშუალო საწარმოების არსებული პრობლემები ინვესტიციების მოზიდვაში (Slovak Investment and Trade Development Agency).

ლატვიაში - „ინვესტიციებისა და განვითარების სააგენტოს" (Investment and Development Agency), მთავარი მიზანია ქვეყანაში არსებული საინვესტიციო გარემოს ხელ-

შეწყობა და გაუმჯობესება, უცხოური ინვესტიციების მოზიდვა და ქვეყნის საწარმოების კონკურენტუნარიანობის ამაღლება და ექსპორტის ზრდა საერთაშორისო ბაზარზე (Latvian Investment and Development Agency).

მონტენეგროში - საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესების მიზნით მინისტრთა კაბინეტი ქმნის „უცხოური ინვესტიციების ხელშეწყობის სააგენტოს“ (Foreign Investment Promotion Agency), რომელსაც აქვს იურიდიული პირის სტატუსი (Foreign Investment Law of Montenegro).

ბოსნია-ჰერცეგოვინაში - „უცხოური ინვესტიციების ხელშეწყობის სააგენტო“ (Foreign Investment Promotion Agency), არის დამოუკიდებელი ადმინისტრაციული ორგანიზაცია, რომელსაც ქმნის მინისტრთა კაბინეტი. სააგენტო წარმოადგენს იურიდიული სტატუსის მქონე ორგანიზაციას (Law on establishes the Foreign Investment Promotion Agency of BiH).

აზერბაიჯანში - ინვესტიციების ხელშეწყობის მიზნით, შექმნილია აზერბაიჯანის საინვესტიციო კომპანია (Azerbaijan Investment Company), რომლის ძირითადი მიზანია ხელი შეუწყოს ქვეყანაში უცხოური ინვესტიციების მოზიდვასა და აღნიშნული სფეროს განვითარებას (Edict of The President of The Republic of Azerbaijan on Additional Measures to Promote Investment Activity).

აღნიშნულ ქვეყნებში საინვესტიციო სააგენტოებს კანონმდებლობით აკისრიათ შემდეგი ფუნქციების შესრულება: საინფორმაციო მომსახურებას უწევს უცხოელ ინვესტორებს ქვეყანაში არსებული საინვესტიციო გარემოს შესახებ; ხელს უწყობს ქვეყანაში კონკურენტული საინვესტიციო და ბიზნეს გარემოს შექმნას უცხოელი ინვესტორებისათვის; ახორციელებს საზღვარგარეთის ქვეყნების საინვესტიციო შესაძლებლობების მარკეტინგს, რეკლამირებასა და სხვა.

რაც შეეხება საქართველოს საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესებისა და უცხოური ინვესტიციების მოზიდვის მიზნით, შექმნილია საჯარო სამართლის იურიდიული პირი ,,საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტო“, რომლის ძირითადი მიზნებია საქართველოში საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესების ხელშეწყობა და ინვესტიციების მხარდაჭერა.

სააგენტოს ფუნქციები და საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია:

ა) საქართველოში საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესების მიზნით საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოების მიერ სოციალურ-ეკონომიკურ საკითხებზე წარმოებული კვლევების შესახებ ინფორმაციის შეგროვება და აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოებისთვის კვლევების ჩატარების შესახებ ინფორმაციის მიწოდება, ბიზნესისა და საინვესტიციო საკითხებზე კვლევების წარმოება და შესაბამისი საინფორმაციო ბანკის შექმნა;

ბ) საქართველოში საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესებისა და ინვესტიციების განხორციელების ხელშეწყობის მიზნით საქართველოს მთავრობისა და აღმასრულებელი ხელისუფლების სხვა ორგანოებისათვის რეკომენდაციების წარდგენა;

გ) საქართველოში ინვესტიციების განხორციელებით დაინტერესებული პირის სათანადო ინფორმაციითა და საკონსულტაციო-სარეკომენდაციო მომსახურებით უზრუნველყოფა;

დ) საერთაშორისო მასშტაბით საქართველოს საინვესტიციო გარემოს ცნობადობის ამაღლების ხელშეწყობა;

ე) საქართველოში ინვესტიციების, მათ შორის, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების, მოზიდვის ხელშეწყობა;

ვ) ინვესტორის წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელება;

ზ) ინვესტიციების განხორციელებასთან დაკავშირებული საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოების საქმიანობის მონიტორინგი;

თ) საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებული სხვა უფლებამოსილებების განხორციელება **(საქართველოს 2015ა:).**

საქართველოში მოქმედებს საქართველოს კანონი ,,ინვესტიციების სახელმწიფო მხარდაჭერის შესახებ“, რომლის მიზნებია ინვესტიციების განხორციელების ხელშეწყობა ინვესტიციების დაბანდებისა და სამეწარმეო საქმიანობისათვის აუცილებელი პროცედურების გაუმჯობესებით და დამატებითი სამართლებრივი რეჟიმის შექმნით. აღნიშნული კანონი ვრცელდება ნებისმიერ უცხოურ და ადგილობრივ ინვესტიციაზე, რომელსაც დააბანდებენ და გამოიყენებენ საქართველოს ტერიტორიაზე. ამ კანონით დგინ-

დება სპეციალური ნორმები და დამატებითი ხელშემწყობი ღონისძიებები განსაკუთრებული მნიშვნელობის ინვესტიციების წახალისებისათვის.

ინვესტიციების სახელმწიფო მხარდაჭერის სფეროში საქართველოს მთავრობის წარმომადგენელი არის საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტო (შემდგომში – სააგენტო). სააგენტო უწევს ინვესტორს მომსახურებას საინვესტიციო საქმიანობისათვის საჭირო ყველა ლიცენზიის, ნებართვის აღებაში ან სხვა წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელებაში. ამ მიზნით ინვესტორსა და სააგენტოს შორის იდება ხელშეკრულება, რომელიც განსაზღვრავს წარმომადგენლობის ფარგლებს. სააგენტო აღნიშნულ უფლებამოსილებებს ახორციელებს ანაზღაურებად საწყისებზე, გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის ინვესტიციების განხორციელების შემთხვევისა. სააგენტოს განსაზღვრული წარმომადგენლობითი უფლებამოსილება არზღუდავს ინვესტორს, ადმინისტრაციულ ორგანოებთან ურთიერთობა განახორციელოს უშუალოდ ან სხვა წარმომადგენლის მეშვეობით.

ინვესტორს, რომელიც გეგმავს, განახორციელოს ინვესტიცია, რომლის საერთო რაოდენობა აღემატება 8 მილიონ ლარს ან რომელიც ფუნქციონალური და სტრატეგიული თვალსაზრისით მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს ქვეყნის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარებაზე, უფლება აქვს, საქართველოს მთავრობისაგან მოითხოვოს თავის მიერ განსახორციელებელი ინვესტიციისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობის ინვესტიციის სტატუსის მინიჭება. ასევე, საქართველოს მთავრობა უფლებამოსილია, განსაკუთრებული მნიშვნელობის ინვესტიციის სტატუსი მიანიჭოს მაღალმთიან რეგიონებში განხორციელებულ ინვესტიციას, რომლის საერთო რაოდენობა აღემატება 2 მილიონ ლარს ან რომელიც ფუნქციონალური და სტრატეგიული თვალსაზრისით დადებით ზეგავლენას ახდენს ადგილობრივი ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარებაზე.

საქართველოს ტერიტორიაზე როგორც უცხოური, ისე ადგილობრივი ინვესტიციების განხორციელების სამართლებრივ საფუძვლებსა და მათი დაცვის გარანტიებს იძლევა, საქართველოს კანონი ,,საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობისა და გარანტიების შესახებ“ (საქართველოს 1996:).

ასევე, ინვესტიციების მხარდაჭერისა და მოზიდვის მიზნით, შექმნილია საინვესტიციო პოლიტიკისა და ინვესტიციების ხელშეწყობის დეპარტამენტი **(საქართველოს 2015დ:).**

აღნიშნული დეპარტამენტის ფუნქციები დიდად არ განსხვავდება, საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს ფუნქციებისგან და მიმაჩნია, რომ გაუმართლებელია დამატებით მსგავსი დეპარტამენტის შექმნა და მისი შენახვაზე გარკვეული ხარჯების გაწევა.

უმჯობესია, საინვესტიციო სააგენტომ გააძლიეროს მუშაობა ინვესტიციების მხარდაჭერისა და მოზიდვის კუთხით.

2015 წელს მიღებულ იქნა საქართველოს კანონი მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ, რომლის მიზანია მაღალმთიანი რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური პროგრესის სტიმულირებისათვის შეღავათების განსაზღვრა, რომლებიც უზრუნველყოფს მაღალმთიან რეგიონებში მცხოვრებ პირთა კეთილდღეობას, ცხოვრების დონის ამაღლებას, დასაქმების ხელშეწყობას, სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

აღნიშნული კანონით მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირები სარგებლობენ როგორც სხვადასხვა სახის სოციალური შეღავათებით, ასევე საშემოსავლო და ქონების გადასახადთან დაკავშირებით საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილი საგადასახადო შეღავათებით. მეწარმე სუბიექტი, რომელსაც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მინიჭებული აქვს მაღალმთიანი დასახლების საწარმოს სტატუსი, საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრული ვადითა და წესით თავისუფლდება გადასახადებისაგან **(საქართველოს 2010ბ:).**

საქართველოს კანონში მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ გათვალისწინებულმა სხვადასხვა სახის სოციალურმა, თუ საგადასახადო შეღავათებმა, რეალურად უნდა გაზარდოს მაღალმთიან რეგიონებში დასაქმება, თუმცა უმუშევრობის დათვლის საქართველოში არსებული არაადეკვატური მეთოდიდან გამომდინარე, სოფლად მცხოვრები ადამიანი დასაქმებულად ითვლება, თუ მას აქვს 0,75 ჰექტარი მიწის ნაკვეთი. შესაბამისად, აღნიშნული საგადასახადო შეღავათებით წახალისებული წარ-

მოების განვითრების შედეგად რეალურად დასაქმების ზრდამ, რაც თავისთავად კარგი იქნება, შესაძლოა დასაქმების სტატისტიკა დიდად ვერც კი შეცვალოს.

ამიტომ მიმაჩნია, საქართველოში უმუშევრობის დათვლის მეთოდოლოგია უნდა შეიცვალოს.

ასევე, 2013 წელს მიღებულ იქნა კანონი „საინვესტიციო ფონდების შესახებ“, რომლის რეგულირების სფეროს მიეკუთვნება საინვესტიციო ფონდის ნაირსახეობების განმარტება, შექმნის მიზნები და საქმიანობის განსაზღვრა. კანონის მიხედით არსებობს: საპაიო საინვესტიციო ფონდი (ღია, ინტერვალური, დახურული); გათვითცნობიერებულ (გამოცდილ) ინვესტორთა საინვესტიციო ფონდი; სააქციო საინვესტიციო ფონდი და სხვ., რომლებიც რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით. საინვესტიციო ფონდს ეკრძალება სამეწარმეო საქმიანობა, მას არ შეიძლება ჰქონდეს სხვა ქონება, გარდა ფულისა, ფულთან გათანაბრებული აქტივებისა და ფინანსური ინსტრუმენტებისა **(ერქომაიშვილი 2016: 43).**

ბოლო წლებში საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის მიზნით ინვესტორთა სტიმულირებისათვის საგადასახადო კოდექსში შემოღებულ იქნა ორი სპეციალური სტატუსი: საერთაშორისო საწარმო და უცხოური კომპანიის ფილიალი, მნიშვნელოვნად შემცირდა საგადასახადო ტვირთი, ადგილი ჰქონდა აგრესიულ პრივატიზაციას, განხორციელდა საბაჟო რეფორმა, გაუქმდა უამრავი ლიცენზია და ნებართვა და მნიშვნელოვნად შემცირდა სხვადასხვა ტიპის რეგულაციები. ასევე უცხოური ინვესტიციების შემოდინების ზრდისათვის საქართველოს მთავრობამ მიიღო სპეციალური კანონი ,,თავისუფალი ინდუსტრიული ზონების შესახებ“, რომლის მიზანია ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა, მრეწველობის კონკურენტუნარიანობის გაძლიერება, უცხოური პირდაპირი ინვესტიციების მოზიდვა და ტექნოლოგიების შემოსვლა საქართველოში. თავისუფალი ინდუსტრიული ზონები შეიქმნა თითქმის ყველა დიდ ქალაქში: ფოთში, ქუთაისსა და თბილისში (საქართველოს 2007:). ასევე 2010 წელს მიღებულ იქნა საქართველოს კანონი ,,თავისუფალი ტურისტული ზონების განვითარების ხელშეწყობის შესახებ“, რომლის მიზანია საქართველოში ტურიზმის განვითარება და მეწარმეობის ხელშეწყობა, რისთვისაც ეს კანონი ადგენს პირობებს თავისუფალ ტურისტულ ზო-

ნებში სასტუმროების მშენებლობისა და ფუნქციონირებისათვის, ასევე საგადასახადო და სხვა შეღავათებს **(საქართველოს 2010:).**

საქართველოს აქვს მოქნილი კანონმდებლობა, რომელიც ხელს უწყობს საქმიანი გარემოს გაუმჯობესებას და ჯანსაღი საინვესტიციო კლიმატის შენარჩუნებას. თავისუფალი ინდუსტრიული ზონა განსაზღვრულია იმისათვის, რომ შეიქმნას ისეთი საგადასახადო, სამართლებრივი და ადმინისტრაციული გარემო, რათა მოიჯარე კომპანიებმა, მსოფლიო ბაზრებზე, შეძლონ წარმატებული კონკურენციის გაწევა.

საქართველოს თავისუფალი ინდუსტრიული ზონები ხასიათდება შემდეგი უპირატესობებით: საგადასახადო შეღავათები; გამარტივებული პროცედურები; გადახდების განხორციელება შეიძლება ნებისმიერ ვალუტაში; გათავისუფლებულია ლიცენზიების/ნებართვების უმრავლესობის მიღების ვალდებულებისგან; ადგილობრივი თვითმმართველი ორგანოების დამოუკიდებლობა **(თავისუფალი 2016:).**

ინვესტიციების სტიმულირების საგადასახადო შეღავათები განსაკუთრებით აუცილებლობას იძენს გლობალიზაციის პერიოდში. არსებული რეალობიდან გამომდინარე ინვესტიციებისთვის მნიშვნელოვანია გარკვეული საგადასახადო პრეფერენციების მიღება, თუმცა მიგვაჩნია, რომ მსგავს საგადასახადო შეღავათებს შესაძლებელია მოყვეს არასასურველი შედეგი ინვესტიციების არაეფექტურად განხორციელების შემთხვევაში, რამდენადაც ამ დროს სახელმწიფო კარგავს შემოსავლის მნიშვნელოვან ნაწილს, ფულადი რესურსების სახით.

ძირითად პრეფერენციებად ხშირ შემთხვევაში განიხილება საგადასახადო წნეხის შემსუბუქება, გადასახადებისგან განთავისუფლება და მიზნობრივი საგადასახადო შეღავათების შეთავაზება.

საგადასახადო სტიმულირების ინსტრუმენტების არაეფექტური გამოყენების მიზეზებში გარკვევა აუცილებლად მიგვაჩნია რადგან, არ შეიძლება სტიმულირების ერთიდაიგივე მეთოდი გამოყენებულ იქნას ყველა შემთხვევაში. ინვესტიციების დარგობრივი, თუ ტერიტორიული სპეციფიკიდან გამომდინარე, სტიმულირების ამათუიმ ფორმის გამოყენების ეფექტიანობა უნდა განისაზღვროს არსებული პირობებიდან გამომიდინარე, გადასახადის გადამხდელის მზადყოფნაზე მიმართოს დამატებით მიღებული ფი-

ნანსური რესურსები, ინოვაციურ თუ სახელმწიფოს მიერ განსაზღვრულ სფეროში ან განსაზღვრული მიზნებით.

საგადასახადო წნეხის შემსუბუქება და გადასახადებისგან განთავისუფლება, გადასახადის გადამხდელს კი აძლევს მნიშვნელოვან დამატებით ფინანსურ რესურსებს, მაგრამ მნიშვნელოვანია, რომ ისინი მიმართული იყოს წარმოების მოდერნიზაციისა და ტექნოლოგიების განახლებაზე. სამწუხაროდ სახელმწიფო იყენებს რა საგადასახადო სტიმულირების ზემოთ აღნიშნულ ფორმებს, არ ფლობს ფინანსური რესურსების მიზანმიმართული გამოყენების გარანტიას. როგორც მსოფლიო გამოცდილება გვიჩვენებს, ყველაზე კანონმორჩილი გადასახადის გადამხდელებიც კი, ეკონომიკური განვითარების მიზნებისთვის ხარჯავენ გამოთავისუფლებული ფინანსური რესურსების მხოლოდ 1/3-ს.

ვფიქრობთ, საგადასახადო სტიმულირების ინსტრუმენტების უფრო ეფექტური გამოყენებისთვის, სახელმწიფომ მიზანმიმართულად უნდა გაუღვიძოს მეწარმე სუბიექტებს სურვილი, რომ მეწარმეებმა მოახდინონ წარმოების განახლება/მოდერნიზაცია და არა უბრალოდ შექმნას ეკონომიკური პირობები და შესაძლებლობები, მათ მიერ საინვესტიციო საქმიანობის განხორციელებისთვის.

გამართლებულია თითოეულ შემთხვევაში, საგადასახადო შეღავათების გამოყენებისას, განხორციელდეს მისი ეფექტიანობის ანალიზი.

სამეცნიერო ლიტერატურაში გვხვდება მიზნობრივი საგადასახადო შეღავათები, დიფერენცირებული პროდუქციის სასიცოცხლო ციკლის სტადიებიდან გამომდინარე და რეკომენდირებულია, ეს შეღავათები მინიჭებული იქნას, ძირითადად ინოვაციური პროდუქტების შემუშავებისა და დანერგვის ეტაპზე.

აღნიშნული გამართლებულად მიგვაჩნია რადგან, ინოვაციური პროდუქტის შემუშავებისა და დანერგვის სტადიები, კომერციული, ფინანსური თუ ტექნოლოგიური რისკების შემცველია. წარმოების დაწყების ეტაპისთვის დამახასითებელია, აგრეთვე დაბალი რენტაბელობა, ამრიგად მეწარმე სუბიექტებს ამ ეტაპზე განსაკუთრებით ჭირდებათ საგადასახადო შეღავათები.

ზემოთაღნიშნული საგადასახადო, ფინანსური თუ სხვა შეღავათები ამა თუ იმ ქვეყნის ეკონომიკაზე გარკვეულ პოზიტიურ ზეგავლენას ახდენენ. თუმცა, მიუხედავად

ამისა, ქვეყანაში, უცხოური ინვესტიციების სტიმულირების პროცესში, პრიორიტეტული მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს არა რომელიმე ცალკეულ მასტიმულირებელ ფორმას, არამედ ქვეყანაში ხელსაყრელი საინვესტიციო გარემოს ფორმირებას, რომელიც მრავალ პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ და სოციოკულტურულ ფაქტორზეა დამოკიდებული.

1.3. უცხოური ინვესტიციების განმსაზღვრელი ფაქტორები განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში

ქვეყანაში არსებული პირობები, რომლებიც გავლენას ახდენს კაპიტალის მოზიდვაზე, ყალიბდება სხვადასხვა ფაქტორების მოქმედების საფუძველზე და თავის თავში აერთიანებს: იდეოლოგიას, პოლიტიკას, ეკონომიკურ მდგომარეობას, კულტურას, სოციალურ-პოლიტიკურ სტაბილურობას და სხვადასხვა საკითხებს, რომელთაც აფასებს ინვესტორი კაპიტალდაბანდების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას, რომლებიც საშუალებას აძლევენ მას გააკეთოს გარკვეული დასკვნები მოსალოდნელი რისკის შესახებ. მნიშვნელოვან გავლენას ქვეყნის საინვესტიციო გარემოზე ახდენს აგრეთვე სახელმწიფო პოლიტიკა კაპიტალდაბანდებებთან მიმართებაში, ქვეყნის მონაწილეობა იმ საერთაშორისო ხელშეკრულებებში, რომლებიც არეგულირებენ მოცემულ საკითხს და ამ ხელშეკრულებების პირობების დაცვის ტრადიციები, სახელმწიფოს მმართველობითი ორგანოების ფუნქციონირების სტაბილურობა და ერთგვაროვნება, ეკონომიკაში მათი ჩარევის დონე და მეთოდები, სახელმწიფო აპარატის მოქმედების ეფექტურობა, ეკონომიკური პოლიტიკის გატარების თანმიმდევრობა და ა.შ. **(ჭედია 2005:13).**

უცხოური ინვესტიციები გლობალიზაციის პროცესის მამოძრავებელი ძალა და თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკის განვითარების განმსაზღვრელი ელემენტია. XX საუკუნის 90-იანი წლებიდან უცხოური ინვესტიციების სწრაფი ზრდა განვითარებად ქვეყნებში ნათელს ხდის იმ გარემოებას, რომ ტრანს ეროვნული კომპანიები (ტეკ-ები) აღნიშნულ ქვეყნებს უცხოური ინვესტიციებისთვის მომგებიან ადგილად განიხილავენ. უცხოურ ინვესტიციათა ნაკადები განაპირობებს მიმღები ქვეყნის კეთილდღეობის ზრდას ტექნოლოგიათა გადაცემით, სამუშაო ადგილების შექმნით, ექსპორტის მოცულობის გადიდებით, სახელმწიფო შემოსავლების გაუმჯობესებით. აღნიშნულ ფაქტორთა კომბინაციით იქმნება ძლიერი საგარეო ფაქტორი, რაც ხელს შეუწყობს ადგილობრივი ეკონომიკის ზრდისა და განვითარების პერსპექტივას. მასპინძელი ქვეყნების კონკურენტუნარიანობის გაუმჯობესება შესაძლებელია ინვესტიციათა დაბანდებით ადამიანურ კაპიტალში, სპეციალური პროფესიული ტრენინგები ზრდის დასაქმებულთა კვალიფიკაციას და სამუშაო ძალის შესაძლებლობას, შექმნას და მართოს ახალი ტექნოლო-

გიები. კაპიტალის დაბანდება ადამიანურ რესურსებში ხელს უწყობს მომავლის მრეწველობის დარგების განვითარებას, როგორიცაა, მაგალითად: ინფორმაციული ტექნოლოგიები და ბიოტექნოლოგია. აღნიშნული დარგები კი, თავის მხრივ, მოითხოვს უფრო მაღალკვალიფიციური სამუშაო ძალის არსებობას. კვალიფიციური ადამიანური კაპიტალის შექმნის შესაძლებლობა მნიშვნელოვანი ფაქტორია ტრანსეროვნული კომპანიებისთვის გადაიტანონ ელექტრონული მსოფლიო კლასის მაღალტექნოლოგიური ქარხნების ფილიალები სხვადასხვა ქვეყნებში **(UNCTAD 2000:164).**

პროდუქციის სასიცოცხლო ციკლის თეორია, რომელიც შემუშავებულია 1966 წელს, ამერიკელი პროფესორის რაიმონდ ვერნონის მიერ, გამოიყენებოდა გარკვეული ტიპის უცხოური ინვესტიციების ასახსნელად, რომლებიც განახორციელეს ამერიკულმა კომპანიებმა დასავლეთ ევროპულ საწარმოებში, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ.

ეს თეორია ემყარება დებულებას, რომ ნებისმიერი საქონლის მიერ ბუნებრივი სასიცოცხლო ციკლი შედგება ოთხი თანმიმდევრული სტადიისაგან: ინოვაციის, ზრდის, სიმწიფის და კლების ფაზებისაგან **(Vernon 1966: 190-207).**

რ. ვერნონის პროდუქციის სასიცოცხლო ციკლის თეორიამ ახსნა ტეკ-ების საქმიანობის გადატანა საზღვარგარეთ. ვერნონის თანახმად, პირველი სტადიის დროს ამერიკულმა ტრანსნაციონალურმა კომპანიებმა შექმნეს ახალი ინოვაციური პროდუქტი, რომელიც თავდაპირველად იწარმოებოდა და იყიდება ადგილობრივ ბაზარზე. მოთხოვნის ზრდასთან ერთად ხდებოდა ადგილობრივი ბაზრის გაჯერება, ასევე საქონლის სტანდარტიზება და ექსპორტირება საზღვარგარეთ. ფირმები იწყებენ ფილიალების გახსნას სხვა ქვეყნებში, სადაც წარმოების ხარჯები შედარებით დაბალია. როდესაც კონკურენცია მეტოქე ფირმების მხრიდან ინტენსიურია, საქონელი აღწევს სიმწიფეს. აქედან გამომდინარე, უცხოური ინვესტიციები წარმოადგენს პროდუქციის სასიცოცხლო ციკლის ფაზას, რომელიც თან სდევს პროდუქციის სიმწიფის ეტაპს. უცხოური ინვესტიციების ინტერნაციონალიზაციის თეორიის თანახმად, მომგებიანობის გასაზრდელად ზოგიერთი ბიზნესგარიგება უნდა განხორციელდეს ფირმის ფარგლებში და არა ფირმებს შორის, სწორედ ეს მიზეზი განაპირობებს ტეკ-ების არსებობას. აღნიშნული თეორია ტეკ-ების წარმოების ინტერნაციონალიზაციას არასრულყოფილი ბაზრების არსებობით ხსნის **(Denisia 2010: 106).**

ჯ. დანინგმა განავითარა უცხოური ინვესტიციების ეკლექტიკური თეორია, რომელიც ეფუძნება ფირმის საკუთრების და მიმღები ქვეყნის გეოგრაფიული მდებარეობის უპირატესობას, ასევე, ინტერნაციონალიზაციის პირობებს. ჯ. დანინგის ეკლექტიკური თეორია მიზნად ისახავს ცალკეული „საუკეთესო“ ელემენტების გაერთიანებას, რომლებიც აღებული იყო სამი სხვადასხვა თეორიისგან პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შესახებ, ტრანსნაციონალიზაციის ყოველმხრივი ახსნისათვის **(Denisia 2010: 107-108).**

დანინგის მიერ შემოთავაზებული და საერთშორისოდ აღიარებული ეკლექტიკური პარადიგმა, რომელსაც სხვაგვარად OLI-ს პარადიგმასაც უწოდებენ, სამი ფაქტორისაგან შედგება: ადგილმდებარეობის; მფლობელობის და ინტერნაციონალიზაციის უპირატესობები. პარადიგმის თანახმად, კომპანიას უნდა ამოძრავებდეს მოტივი, განახორციელოს ინვესტიცია ახალ ბაზარზე და არ შემოიფარგლოს თავისი პროდუქციის ექსპორტით და ეს მოტივი, რა თქმა უნდა, მოგების მაქსიმიზაციაა **(Dunning 2008:175-201).**

ადგილმდებარეობის უპირატესობა გულისხმობს, რომ კომპანიას მაქსიმალური მოგების მისაღებად, ახალ ბაზრებზე გასვლა ესაჭიროება. ანუ კომპანიას აქვს ის რესურსი, რითაც ის ,,დაიპყრობს“ უცხოურ ბაზარს და იქნება იქ კონკურენტუნარიანი. ამავდროულად, ახალ ბაზარზე გასვლა მოცემულ კომპანიას შესაძლოა აინტერესებდეს არა აუცილებლად იმ ბაზრის ათვისების, არამედ ზედმეტი დანახარჯების თავიდან აცილების მიზნითაც, რისი ძირითადი განმსაზღვრელიც, როგორც წესი, იაფი სამუშაო ძალაა.

მფლობელობის უპირატესობა შეიძლება, ორ ნაწილად დაიყოს: 1. არამატერიალური აქტივების მფლობელობის უპირატესობა (მაგ.: თანამედროვე ტექნოლოგიები და ა.შ.) და 2. კომპლემენტარული აქტივების მფლობელობით მიღწეული უპირატესობა, რომელიც ხელს უწყობს ტრანს სასაზღვრო აქტიურობებს (მაგ.: მარკეტინგული და მენეჯერული უნარები).

ინტერნაციონალიზაციის უპირატესობა, რომელიც დანინგის მიერ პირველად წარმოდგენილ იქნა 1975 წელს, ხსნის ფირმის იმ შესაძლებლობებს, რომელიც დაკავშირებულია მფლობელობის უპირატესობისა და ახალ ბაზარზე ხელსაყრელი პირობების მიღწევის კომბინაციასთან. თუ ფირმას წინა ორ უპირატესობასთან ერთად აქვს ინტერნაციონალიზაციის უპირატესობაც, ეს იმას ნიშნავს, რომ ორგანიზაცია დიდი ალბათობით სწორედ პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს განახორციელებს **(ჭარაია 2015: 31-33).**

უცხოური ინვესტიციები ხელს უწყობს მასპინძელი ქვეყნების ეროვნული ეკონომიკის ეფექტიან ინტეგრაციას გლობალურ ეკონომიკაში. აქედან გამომდინარე, მეტად მნიშვნელოვანია მიმღებ ქვეყნებში უცხოური ინვესტიციების ძირითადი განმსაზღვრელი ფაქტორების განსაზღვრა. უცხოურ ინვესტიციათა განმსაზღვრელი დეტერმინანტები ძირითადად ორ ჯგუფად იყოფა: მიწოდების და მოთხოვნის ფაქტორებად. საკუთრებისა და ინტერნაციონალიზაციის უპირატესობა განიხილება, როგორც უცხოური ინვესტიციების მიწოდების დეტერმინანტები, ეს უკანასკნელი მოიცავს მასშტაბის ეკონომიას, პროდუქციის სასიცოცხლო ციკლს, არამატერიალურ აქტივებს და ინტერნაციონალიზაციას, მაშინ როდესაც მასპინძელი ქვეყნების ადგილმდებარეობის უპირატესობა, მოიზიდოს მეტი უცხოური ინვესტიციების ნაკადები, წარმოადგენს მოთხოვნის დეტერმინანტს (Oman 2010: 480).

ზოგადად მოთხოვნის დეტერმინანტები კლასიფიცირდება 3 კატეგორიად:

1. უცხოური ინვესტიციების საერთო პოლიტიკის სტრუქტურა;
2. ეკონომიკური დეტერმინანტები;
3. ბიზნესის ხელშეწყობა.

1. საერთო პოლიტიკის სტრუქტურა - მოიცავს ისეთ არაერთგვაროვან ელემენტებს, როგორიცაა ეკონომიკურ-პოლიტიკური სტაბილურობა და გახსნილობა. გარდა ამისა, რეგულაციებს, რომელიც არეგულირებს ტეკ-ების შესვლასა და საქმიანობას მიმღებ ქვეყნებში. აღნიშნული ელემენტები მნიშვნელოვანი მახასიათებლები და უცხოური ინვესტიციების მასტიმულირებელი ფაქტორებია, თუმცა არასაკმარისი. მაგალითად, XX საუკუნის 80-იანი წლების შუა პერიოდიდან, განვითარებად ქვეყნებში განხორციელდა უცხოური ინვესტიციების პოლიტიკის ლიბერალიზაცია, გარდა ამისა 90-იანი წლებიდან რიგმა განვითარებადმა ქვეყნებმა ხელი მოაწერეს უცხოური ინვესტიციების ლიბერალურ დამოკიდებულებას და მათ სამართლებრივ დაცვას, თუმცა, მიუხედავად ამისა, განვითარებად ქვეყნებში ინვესტიციათა მოცულობა არ გაზრდილა. ტეკ-ები განიხილავენ ინვესტიციათა რეჟიმის შემსუბუქებას, როგორც გლობალიზაციის პროცესის ბუნებრივ შედეგს. გარდა ამისა, განვითარებადი ქვეყნებისათვის მეტად მნივნელოვანია სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საწარმოების პრივატიზება.

2. ეკონომიკური დეტერმინანტები - უცხოური ინვესტიციების ეკონომიკურ დეტერმინანტებს საფუძვლად უდევს უცხოური ინვესტიციების განხორციელების პროცესში ინვესტორთა მოტივაცია.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოტივაცია დანინგის მიხედვით, ინვესტორების და ადგილობრივი ეკონომიკის შესაძლებლობებიდან გამომდინარე, პირობითად, შეიძლება ოთხ ჯგუფად დავყოთ:

პირველი ჯგუფი - აერთიანებს ინვესტორ კომპანიებს, რომლებიც უცხოეთში ახდენენ ინვესტირებას იმ მიზნით, რომ მიიღონ მათთვის განსაკუთრებული მნიშვნელობის რესურსები რეალურზე უფრო დაბალი ღირებულებით, ვიდრე საკუთარ ქვეყანაში (რესურსების მაძიებელნი).

მეორე ჯგუფს - წარმოადგენენ საწარმოები, რომლებიც ინვესტირებას ახორციელებენ რომელიმე კონკრეტულ ქვეყანაში ან რეგიონში, რათა უზრუნველყონ საქონლის ან მომსახურების მიწოდება ამ ქვეყნის ან მეზობელი სახელმწიფოების (რეგიონების) ბაზრებზე (ბაზრის მაძიებლები).

მესამე ჯგუფს - პირობითად, შეიძლება ეფექტიანობის მაძიებელნი ვუწოდოთ. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების საშუალებით კომპანიის ეფექტიანობის ამაღლება გულისხმობს რესურსების ისეთ განაწილებას, როცა მაქსიმალური უკუგება მიიღწევა. ინვესტორთა აღნიშნული ჯგუფი ძირითადად ახორციელებს ინვესტირებას ქვეყნებში, სადაც ეფექტიანი ინსტიტუციური ინფრასტრუქტურა, სტაბილური პოლიტიკური და ეკონომიკური სიტუაციაა.

მეოთხე ჯგუფს - მიეკუთვნება ტრანსეროვნული კორპორაციები. ისინი ცდილობენ აითვისონ ისეთი აქტივები, რომლებიც ხელს უწყობენ მათი გრძელვადიანი სტრატეგიული (სტრატეგიული აქტივების მაძიებლები) მიზნების მიღწევასა და კონკურენტუნარიანობის შენარჩუნებას **(ბარათაშვილი...2009: 1.3).**

ეფექტიანობაზე ორიენტირებული უცხოური ინვესტიციები მოტივირებულია, შექმნას და გააძლიეროს არსებული კონკურენტუნარიანი გარემო რეციპიენტ ქვეყნებში მოქმედი ფირმებისთვის. შესაბამისად, კონკურენცია უცხოური ინვესტიციების მოსაზიდად ეფუძნება მასპინძელ ქვეყნებში ინფრასტრუქტურის და მომსახურების არსებულ დონეს, ბიზნესის წარმოების სიმარტივეს და კვალიფიციური კადრების ხელმისაწვდო-

მობას. ყოველივე აღნიშნული განაპირობებს გამოწვევებს განვითარებად ქვეყნებში, რაც მოიცავს ადამიანური კაპიტალის ფორმირებას, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამის ბიზნესმომსახურებას როგორიცაა, მაგალითად, ეფექტიანი კომუნიკაციები და სისტემების განაწილება **(ჯღანჯღავა 2012: 63).**

დანინგის მიხედვით, იმ ტიპის ინვესტიციები, რომლებიც ამა თუ იმ მიზეზით ვერ ერგებიან ზემოთ ჩამოთვლილ დაყოფას, შესაძლებელია, შემდეგ ქვეჯგუფებში გაერთიანდნენ:

თავის დაღწევის ინვესტიცია - სადაც იგულისხმება არა იმ ტიპის ინვესტიცია, რომელიც გარკვეული სიძნელეების გამო გარბის ქვეყნიდან (საომარი მდგომარეობა, მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა და ა.შ.), არამედ იმ ტიპის ინვესტიცია, რომელიც ინვესტორი მხარისათვის გარკვეული შეღავათების მიმცემად მოიაზრება.

მხარდამჭერი ინვესტიცია - სერვისსა და ვაჭრობაში ხშირია შემთხვევები, როდესაც საერთაშორისო ორგანიზაცია უცხო ბაზარზე შეუსვლელად იძენს მისთვის სასურველ პროდუქტს და ახდენს მის იმპორტირებას, ასეთი ტიპის ოპერაციების შესრულების დროს ხშირია შემთხვევები, როდესაც საერთაშორისო ორგანიზაციას ესაჭიროება საზღვარგარეთ თავისი წარმომადგენლობა, რომელიც გააკონტორლებს მისთვის საინტერესო მიმართულებებს და სწორედ ამ დროს საქმეში ერთვება ინვესტიცია, რომელსაც დანინგის მიხედვით, მხარდამჭერი ინვესტიცია ეწოდება.

პასიური ინვესტიცია - აქტიური ინვესტიციისაგან განსხვავებით, სადაც ინვესტორი თანხას აბანდებს ეკონომიკაში, რათა მართოს გარკვეული ბიზნესი ან/და სფერო. პასიური ინვესტიცია მოიაზრება, როგორც ინვესტიცია უშუალო მართვის სადავეების გარეშე. ასეთი ტიპის ინვესტიციად შეიძლება ჩაითვალოს განვითარებად ქვეყნებში მზარდი მაჩვენებლების მქონე ისეთ სექტორში, როგორიცაა, მაგალითად, საბინაო სექტორი, ანუ ინვესტიცია განიხილება, როგორც უძრავ ქონებაში სახსრების დაბანდება, მომავალში მისი საფასურის გაზრდის იმედად **(Dunning 2008a: 2).**

უპირატესობები, რომელიც უცხოურ კომპანიას აქვს უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ნაკლოვანებები, რომელიც მათ შეიძლება ქონდეთ, საუბარია შემდეგ მიმართულებებზე: **კაპიტალი** - უცხოურ კომპანიებს უფრო დიდი ოდენობის ან/და უფრო იაფი სახსრების მოზიდვის უნარი გააჩნიათ, ვიდრე მათ შედარებით მომცრო, ადგილობრივ კონ-

კურენტებს, **მენეჯმენტი** - ეფექტიანი მენეჯმენტის ხარჯზე გამართლებული რისკების, თუ მომგებიანი გამოწვევების სწორი განსაზღვრის უფრო მაღალი ალბათობა; **ტექნოლოგიები** - დიდ კომპანიებს შესაძლებლობა აქვთ, მეცნიერული ცოდნა თანამედროვე ტექნოლოგიებად აქციონ და ამის ხარჯზე სხვებზე ძლიერები იყვნენ; **მარკეტინგი** - კვლევების, საზოგადოებასთან ურთიერთობის, დისტრიბუციის და რეკლამირების მეტი გამოცდილება; **ნედლეულთან წვდომა** - გასღების ბაზრების კონტროლიდან მიღებული პრივილეგია; **მასშტაბის ეკონომია** - ფინანსები და გამოცდილება იძლევა მასშტაბის ეკონომიის შესაძლებლობას, რომელიც მიღწეულია მცირე კომპანიებისათვის; **მოლაპარაკებები და პოლიტიკური ძალა** - შესაძლებლობა, მიიღონ სასურველი პირობები ადგილობრივი მთავრობებისგან **(ჭარაია 2015: 26-28).**

3. ბიზნესის ხელშეწყობა - რეციპიენტი ქვეყნის ბიზნესის გამარტივების ხელშემწყობი პროცედურებით ძირითადად ინვესტიციათა მოზიდვის სააგენტოები საქმიანობენ. აღნიშნული სააგენტოების მომსახურება მოიცავს კონსულტაციის გაწევას, აჩქარებს ინვესტიციათა ნებართვის მიღებისა და განხორციელების პროცესს. მასპინძელი ქვეყნის მთავრობები ახორციელებენ აქტიურ პოლიტიკას არა მარტო ინვესტიციათა ლიბერალიზაციის, არამედ ბიზნესის გამარტივების კუთხითაც, აძლევენ საგადასახადო შეღავათებს და გარდა ამისა, გამოყოფენ სუბსიდიებს, რითაც კონკურენციას უწევენ სხვა კონკურენტ ქვეყნებს, რომლებიც აქტიურად ცდილობენ უცხოური ინვესტიციების მოზიდვას. სუბსიდიების გაცემით მთავრობა დისკრიმინაციას უწევს ადგილობრივ ინვესტორებს, რომლებიც არ სარგებლობენ აღნიშნული სტიმულებით. უცხოელ ინვესტორთა საინვესტიციო გადაწყვეტილებები მოიცავს ორ ძირითად ეტაპს:

პირველ ეტაპზე ხდება ქვეყნის ადგილმდებარეობის განსაზღვრა და რეგიონში პოტენციური კანდიდატების შერჩევა, ხოლო მეორე ეტაპზე კი უცხოელი ინვესტორის საბოლოო გადაწყვეტილებაზე ზეგავლენას ახდენს საგადასახადო და ფისკალური წახალისება **(Oman 2010a: 73).**

უცხოური ინვესტიციების განმსაზღვრელი მაკრო დონის დეტერმინანტები მოიცავს ნებისმიერი მასპინძელი ქვეყნის გარემო პირობებს, რომელიც ზეგავლენას ახდენს უცხოურ ინვესტიციათა ნაკადებზე, აღნიშნული დეტერმინანტებია: ბაზრის მასშტაბი და პოტენციალი, ბუნებრივი რესურსები, მასპინძელი ქვეყნის გახსნილობა და ორმხ-

რივი სავაჭრო გამოცდილება, მაკროეკონომიკური ფაქტორები, ფისკალური დეფიციტი და შრომის ხარჯები (ჯღანჯღავა 2012: 63).

სულიმანმა და მოლიკმა გამოიკვლიეს უცხოური ინვესტიციების ნაკადები განვითარებად ქვეყნებში და დაასკვნეს, რომ უცხოური ინვესტიციების მცირე ნაკადები აფრიკის ქვეყნებში განპირობებულია დაბალი კვალიფიკაციის მუშახელის არსებობით. ავტორებმა აღნიშნეს, რომ ადამიანური კაპიტალი წარმოადგენს უცხოური ინვესტიციების განმსაზღვრელ დეტერმინანტს (Suliman... 2009: 51).

განვითარებული ქვეყნებიდან განვითარებად ქვეყნებში უცხოური ინვესტიციების გადატანაზე გავლენას ახდენს გეოგრაფიული სიახლოვე. მაგალითად, მაშინ, როდესაც იაპონური კომპანიები ხსნიან ფილიალებს ჩინეთსა და აზიის ახალ ინდუსტრიულ ქვეყნებში, დასავლეთ ევროპის მოწინავე ფირმებს, როგორც წესი, კომპანიის ფილიალები გადააქვთ აღმოსავლეთ ევროპაში (IFC and FIAS 1997: 5).

მაგალითად, ავსტრიამ უცხოური ინვესტიციების დიდი წილი დააბანდა ცენტრალური ევროპის ქვეყნებში, ხოლო ესპანეთი გეოგრაფიული სიშორის გამო გახდა ეგრეთწოდებული "მძიმე" ინვესტორი ლათინური ამერიკის ქვეყნებისთვის.

ინსტიტუციური ფაქტორებიც უცხოური ინვესტიციების საქმიანობის მნიშვნელოვანი განმსაზღვრელი დეტერმინანტებია, განსაკუთრებით განვითარებად ქვეყნებში: ა) პოლიტიკური არასტაბილურობა მიუთითებს მასპინძელ ქვეყანაში შესაძლო ძალადობაზე, სამოქალაქო ომის საშიშროებაზე ან უბრალოდ სუსტი მთავრობის არსებობაზე, რაც შეაფერხებს უცხოური ინვესტიციათა ნაკადებს; ბ) ქვეყნები განვითარებული დემოკრატიითა და პოლიტიკური პასუხისმგებლობით უზრუნველყოფენ საიმედო საკანონმდებლო ბაზას და შესაბამისად ასტიმულირებენ ქვეყანაში უცხოური ინვესტიციების შემოდინებას, გ) აქტივების სუსტი სამართლებრივი დაცვა ფირმებს უქმნის აქტივების ჩამორთმევის საშიშროებას, რის შედეგადაც ნაკლებად მოსალოდნელია განხორციელდეს ინვესტირება, დ) კარგად ფუნქციონირებადი ბაზრებისთვის აუცილებელი ინსტიტუტების დაბალი დონე ზრდის ბიზნესის წარმოების დანახარჯებს, რაც საბოლოო ჯამში ამცირებს უპი-ების აქტივობას.

განვითარებად ქვეყნებში უცხოური ინვესტიციების ორიენტაციამ გადაინაცვლა რესურსებსა და ბაზრებზე ორიენტირებულიდან ეფექტიანობაზე ორიენტირებულისკენ.

ც. ჯენსენმა ხაზი გაუსვა ეფექტიანი უპე-ბის პოლიტიკის გატარების მნიშვნელობას, რომელიც დამახასიათებელია ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების გარდამავალი პერიოდის სხვადასხვა ეტაპებისათვის. გარდამავალი პერიოდის საწყის ეტაპზე ყველაზე მნიშვნელოვანი დეტერმინანტი, რომელიც განსაზღვრავს ქვეყნის მიმზიდველობას უცხოელი ინვესტორებისთვის, ლიბერალიზაცია და ეკონომიკის სტაბილიზაციაა. კერძოდ, საწყის ეტაპზე უცხოელი ინვესტორების მიერ აღქმული რისკი გაცილებით მაღალია, ამიტომ უცხოური ინვესტიციების შემოსვლა მეტწილად დამოკიდებულია არსებულ ზოგად გარდამავალ გარემოზე (Jensen 2006: 889).

გარდა ზემოაღნიშნული ფაქტორებისა, არსებობს უცხოური ინვესტიციების განმსაზღვრელი სხვა დეტერმინანტები, როგორიცაა: მიმღები ქვეყნის იმიჯი, ხელმისაწვდომობა საინვესტიციო ფონდებზე, მართვა, ადამიანური კაპიტალის განვითარება, ურბანიზაცია, თანამიმდევრული და სტაბილური მაკროეკონომიკური და დარგობრივი პოლიტიკა და ა.შ.

თანამედროვე მსოფლიოში გლობალიზაციის პროცესის განვითარებასთან ერთად, უცხოური ინვესტიციების განმსაზღვრელი ტრადიციული დეტერმინანტების მნიშვნელობა თანდათან მცირდება. თუ ადრე უცხოური ინვესტიციების ერთ-ერთი ყველაზე ტრადიციული განმსაზღვრელი ფაქტორი გახლდათ ეროვნული ბაზრის მასშტაბი, დღეს მისი მნიშვნელობა საგრძნობლად შემცირდა. ამავედროს მასპინძელი ქვეყნის ინფრასტრუქტურის განვითარების ხარისხი, კვალიფიციური სამუშაო ძალის არსებობა, სასურველი ბიზნესგარემოს არსებობა, დაბალი შრომის დანახარჯები, ბუნებრივი რესურსების სიუხვე და სიახლოვე დასავლეთის განვითარებულ ქვეყნებთან, წარმოადგენს უცხოური ინვესტიციების მოზიდვის განმსაზღვრელ ძირითად დეტერმინანტებს.

თავი II. შრომის ბაზრის სტრუქტურა და დინამიკა

2.1. შრომის ბაზრის არსი, ელემენტები და ფუნქციონირების მექანიზმები

შრომის ბაზარი საბაზრო ეკონომიკის უმნიშვნელოვანესი კომპონენტია. მისი ძირითადი ფუნქციაა შესაბამისი ადამიანური რესურსებით წარმოებისა და მომსახურების სფეროების უზრუნველყოფა. შრომის ბაზრის გამართულ ფუნქციონირებაზე მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული როგორც ქვეყნის შრომითი და ეკონომიკური პოტენციალის გამოყენების ხარისხი, ისე მოსახლეობის ცხოვრების დონე და სოციალური კმაყოფილება.

შრომის ბაზრის ფუნქციონირება მრავალ ფაქტორზეა დამოკიდებული. ეს ფაქტორები განსხვავებული ხასიათისაა (დემოგრაფიული, ეკონომიკური, სოციალური, საკანონმდებლო, ორგანიზაციული, ინსტიტუციონალური) და შრომის ბაზარზე მათი გადაკვეთით გარკვეულწილად ფოკუსირდება ქვეყანაში არსებული ვითარება **(საქართველოს 2013:199).**

შრომის ბაზრის ურთიერთობები, ისევე, როგორც ნებისმიერი საბაზრო ურთიერთობები, გაცვლას გულისხმობს. თუმცა, განსხვავებით სხვა ბაზრებისგან, შრომის ბაზარზე ერთმანეთს უპირისპირდება კაპიტალი და შრომა. მათი დაპირისპირება აისახება არა მარტო წარმოების ეფექტიანობაში, არამედ იგი სოციალური და კლასობრივი ურთიერთობების ფორმას იძენს, რომელმაც შესაძლებელია არაადექვატური რეგულირების პირობებში ანტაგონისტური ხასიათიც მიიღოს. ამ ურთიერთობებზე ზემოქმედებს ქვეყნის კულტურული, ინსტიტუციური, სამართლებრივი და პოლიტიკური ინსტიტუტები და კატაკლიზმების თავიდან ასაცილებლად გამოიყენება სახელმწიფოს და სამოქალაქო ინსტიტუტების ჩარევის სხვადასხვა ინსტრუმენტები, რომლებიც მთლიანობაში არეგულირებენ შრომის ბაზარს. ეს ურთიერთობები გულისხმობს მრავალ ასპექტს: დამსაქმებლებსა და დასაქმებულებს შორის უფლებებსა და მოვალეობებს, მუშაკთა დასაქმებისა და განთავისუფლების ვადებს და პირობებს, დავების გადაჭრას და სხვ. ყოველივე ეს აისახება შრომით ხელშეკრულებებში და უშუალოდ უკავშირდება მუშაკთა და მათი ოჯა-

ხის წევრების კეთილდღეობას, წარმოების განვითარებასა და ქვეყნის სტაბილურობას. ეს სფერო საჯარო პოლიტიკის რეგულირების ერთ-ერთი საკამათო თემაა **(მელაძე 2012:7).**

შრომის ბაზარი საბაზრო ეკონომიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მამოძრავებელი ძალაა. მასზე უშუალოდ აისახება ეკონომიკური რეფორმის ძირითადი შედეგები. შრომის ბაზარი უზრუნველყოფს მოთხოვნა-მიწოდების კანონის საფუძველზე სამუშაო ძალის კვლავწარმოებას, განაწილებასა და გამოყენებას **(საქართველოს 2008: 4).**

ქართველი მეცნიერი მ. შელია აღნიშნავს, რომ ,,შრომის ბაზარი საზოგადოებრივი ურთიერთობების, სოციალური ნორმებისა და ინსტიტუტების სისტემაა, რომელიც უზრუნველყოფს მოთხოვნა-მიწოდების კანონის საფუძველზე სამუშაო ძალის კვლავწარმოებას, განაწილებას და გამოყენებას. კონკრეტულად, შრომის ბაზარი მოსახლეობის დასაქმებისა და შრომის ორგანიზაციის საბაზრო ფორმაა“ **(შელია 2004:).**

ქართველი მეცნიერი ნ. პაიჭაძე აღნიშნავს, რომ ,,შრომის ბაზარი“, როგორც საბაზრო ეკონომიკის შემადგენელი ნაწილი, დამქირავებელთა და დასაქირავებელი სამუშაო ძალის ინტერესების შემათანხმებელი მექანიზმია. იგი უზრუნველყოფს საბაზრო ეკონომიკის ფუნქციონირებას სამუშაო ძალის მოთხოვნისა და მიწოდების კანონის მოქმედებების საფუძველზე“ **(პაიჭაძე 2000:).**

შრომის ბაზრის ბუნების შესახებ მეცნიერულ კვლევას საფუძველი ჩაეყარა კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის ფუძემდებლების ა. სმიტის, დ. რიკარდოს, ჟ. სეის, უ. პეტის, ფ. კენეს და სხვათა შრომებში.

კლასიკოსებისა და ნეოკლასიკოსების მიერ დასაქმების, უმუშევრობისა და შრომის ბაზრის რეგულირების თეორიის განვითარებაში, ჩამოყალიბებული მნიშვნელოვანი დასკვნები მოკლედ შეიძლება შემდეგნაირად გადმოიცეს:

- საბაზრო სისტემას აქვს თვითრეგულირების უნარი. განსაკუთრებულ შემთხვევებში (სტიქიური უბედურება, ომები და სხვა) წონასწორობა შრომის ბაზარზე დროებით ირღვევა და შესაძლებელია უმუშევრობის წარმოშობა. შემდგომში წონასწორობა აღდგება და შესაბამისად, მიიღწევა სრული დასაქმებაც;

- ბაზრის რეგულირება ხორციელდება მოქნილი ფასების, ხელფასებისა და საპროცენტო განაკვეთის მეშვეობით. რეგულატორების ელასტიკურობა განპირობებულია სრულყოფილი კონკურენციით, ხოლო სიმყარე მისი დარღვევით;
- თავისუფალი კონკურენციის პირობებში, საბაზრო სისიტემას აქვს შრომისუნარიანი მოსახლეობის სრული დასაქმების უზრუნველყოფის უნარი, რაც შეესაბამება შრომის ბაზრის ფუნქციონირების ნორმალურ პირობებს;
- ხანგრძლივი უმუშევრობის არსებობა შეუძლებელია. თუკი უმუშევრობა მაინც წარმოიშვა, იგი გამოწვეული იქნება ფასების, ხელფასის და საპროცენტო განაკვეთის მოუქნებლობით;
- სახელმწიფო არ უნდა ჩაერიოს შრომის ბაზრის ფუნქციონირებაში, რადგან ამისათვის არ არსებობს არანაირი საფუძველი **(ცარციძე...2016: 57-60).**

შრომის ბაზარი საზოგადოებრივი ურთიერთობების, სოციალური ნორმებისა და ინსტიტუტების სისტემაა, რომელიც უზრუნველყოფს მოთხოვნა-მიწოდების კანონის საფუძველზე სამუშაო ძალის კვლავწარმოებას, განაწილებასა და გამოყენებას. კონკრეტულად, შრომის ბაზარი მოსახლეობის დასაქმებისა და შრომის სფეროს ორგანიზაციის საბაზრო ფორმაა.

შრომის ბაზარს, სხვა ბაზრებისაგან განსხვავებით, ახასიათებს რიგი თავისებურებები: სამუშაო ძალა, როგორც შრომის უნარი, განუყოფელია მფლობელისაგან, ამიტომ შეუძლებელია გაცვლის საშუალებით მისი სხვის საკუთრებაში გადასვლა. სამუშაო ძალის (მომუშავის) დაქირავებით დამსაქმებელი (დამქირავებელი) იძენს მხოლოდ მისი შრომის უნარის გამოყენების უფლებას განსაზღვრულ პერიოდსა და პირობებში, გარკვეული გასამრჯელოს (ფულადი ან ნატურალური ფორმით) საფასურად; – სამუშაო ძალის გაცვლის პროცესი განსხვავებულია ნივთობრივი სახის მქონე საქონლის გაცვლისაგან. გაცვლის პროცესი იწყება მიმოქცევის სფეროში, როცა სამუშაო ძალის გამოყენების უფლება გადადის დამსაქმებელზე, შემდეგ სამუშაო ძალის გამოყენება ხდება წარმოების პროცესში – მომუშავის უშუალო მონაწილეობით იქმნება საქონელი ან მომსახურება და მთავრდება ისევ მიმოქცევის სფეროში – მიღებული ხელფასით მომუშავე იძენს საარსებო საშუალებებს.

ინსტიტუციონალური სტრუქტურების (დასაქმების სამსახურები, პროფესიული კავშირები, მეწარმეთა გაერთიანებები და ა.შ.) არსებობა წარმოშობს თავისებურ ურთიერთობებს შრომის ბაზრის სუბიექტებს შორის. კერძოდ, შრომის ბაზარზე მიღწეული გარიგება სათავეს უდებს ხანგრძლივ ურთიერთობებს მის სუბიექტებს შორის; შრომის ბაზარზე დიდი მნიშვნელობა აქვს გარიგების არაფულად ასპექტებს (შრომის შინაარსი და პირობები, სამუშაო ადგილის შენარჩუნების გარანტიები, სამსახურებრივი დაწინაურებისა და პროფესიული ზრდის შესაძლებლობები და ა.შ.); ისევე როგორც ნებისმიერ ბაზარზე, შრომის ბაზარზეც რეალიზებული საქონლის რაოდენობა (მოცემულ შემთხვევაში დასაქმების დონე) და მისი ფასი (ხელფასი) განისაზღვრება მოთხოვნა-მიწოდების ურთიერთზემოქმედების პროცესში, თუმცა სამუშაო ძალაზე მოთხოვნა სპეციფიკურია, რადგან იგი ე.წ. წარმოებული მოთხოვნაა. ეს იმას ნიშნავს, რომ სამუშაო ძალა იყიდება არა უშუალოდ მყიდველთა მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, არამედ საქონლისა და მომსახურების წარმოებისათვის, რომლებიც თავის მხრივ გამიზნულია ბაზარზე გასაყიდად. ამა თუ იმ სახეობის (კვალიფიკაციის) სამუშაო ძალაზე მოთხოვნა, პირდაპირაა დამოკიდებული მის მიერ წარმოებულ პროდუქციაზე მოთხოვნისაგან. ამიტომ სამომხმარებლო და წარმოების საშუალებების ბაზრების რეგულირებისაკენ მიმართული ნებისმიერი ღონისძიება აისახება დასაქმების დონესა და დასაქმებულთა შემოსავლებზე.

შრომის ბაზრის არსის სრულფასოვანი აღქმისათვის მნიშვნელოვანია, ერთმანეთისაგან გაიმიჯნოს შრომის ბაზრის ფართო და ვიწრო გაგება.

ფართო გაგებით შრომის ბაზარი მოიცავს ეკონომიკურად აქტიურ მოსახლეობას მთლიანად და მისი არსი არ დაიყვანება "უმუშევრები-ვაკანსიები" თანაფარდობაზე. დროის გარკვეულ მონაკვეთში ზოგიერთი დამსაქმებელი შეიძლება არ იყოს დაკავებული ახალი მომუშავეების აქტიური ძიებით, ხოლო დასაქმებულთა დიდი ნაწილი არ აპირებდეს სამუშაო ადგილის შეცვლას. ამის მიუხედავად, ისინი იმყოფებიან საბაზრო კონკურენციის პირობებში და ამ თვალსაზრისით არ განსხვავდებიან მათგან, ვინც აქტიურად მონაწილეობს სამუშაო ძალის ყიდვა-გაყიდვის პროცესში. ასე, რომ შრომის ბაზარი ფართო გაგებით

მოიცავს დასაქმებულებს და უმუშევრებს, რომლებიც აყალიბებენ სამუშაო ძალის ერთობლივ მიწოდებას და ერთობლივ მოთხოვნას. სამუშაო ძალის ერთობლივი მიწოდებით და ერთობლივი მოთხოვნით განისაზღვრება შრომის ბაზრის ტევადობა. ეკონომიკის ფუნქციონირების ყოველ მოცემულ მომენტში - დასაქმების გარკვეული დონის პირობებში ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის ერთი ნაწილი დაკმაყოფილებულია სამუშაო ადგილებით, ხოლო მეორე ნაწილი აქტიურად ეძებს მას. სწორედ ეს უკანასკნელი აყალიბებს მიმდინარე შრომის ბაზარს ანუ შრომის ბაზარს ვიწრო გაგებით **(ლაცაბიძე...2016: 22-24).**

შრომის ბაზარს როგორც საბაზრო ეკონომიკის ორგანულ შემადგენელ ნაწილს, აქვს რთული სტრუქტურა და ფუნქციონირებს მოთხოვნა-მიწოდების კანონის საფუძველზე. თანამედროვე, ცივილიზებული შრომის ბაზრის ფორმირებისა და ფუნქციონირებისათვის აუცილებელია მთელი რიგი ელემენტების არსებობა. სახელდობრ, მისი შემადგენელი ელემენტებია: შრომის ბაზრის სუბიექტები; შრომის ბაზრის სუბიექტების მიერ მიღებული ეკონომიკური პროგრამები, გადაწყვეტილებები და იურიდიული ნორმები; შრომის ბაზრის კონიუნქტურა; შრომის ბაზრის ინფრასტრუქტურა და სოციალური დაცვის სისტემა.

შრომის ბაზრის სუბიექტებია: დამსაქმებლები (დამქირავებლები), რომლებიც შეიძლება წარმოდგენილნი იქნენ სახელმწიფო და არასახელმწიფო ორგანიზაციების, სახით; დასაქმებულები (დაქირავებული მომუშავეები), უმუშევრები, რომლებსაც არ აქვთ სამუშაო და აქტიურად ეძებენ მას, სახელმწიფო, რომელიც წარმოდგენილია ხელისუფლების ცენტრალური და ადგილობრივი ორგანოების სახით და ასრულებს სოციალურ-ეკონომიკურ, საკანონმდებლო და მარეგულირებელ ფუნქციებს.

შრომის ბაზრის ნორმალურად ფუნქციონირებისათვის აუცილებელია **საკანონმდებლო აქტები, წესები, ნორმები,** რომლებიც დაარეგულირებენ შრომის ბაზრის სუბიექტებს შორის ურთიერთობებს, ზუსტად განსაზღვრავენ მათ უფლებებს, შექმნიან მომუშავეთა შრომის უნარის რეალიზაციისათვის თანაბარ შესაძლებლობებს, ხელს შეუწყობენ ხელსაყრელი ეკონომიკური გარემოს შექმნას, დასაქმების აქტიური პოლიტიკის გატარებას.

შრომის ბაზრის კონიუნქტურა - შრომის ბაზარზე სამუშაო ძალაზე მოთხოვნასა და მიწოდებას შორის თანაფარდობაა. აღნიშნული თანაფარდობიდან გამომდინარე, შრომის ბაზრის კონიუნქტურა შეიძლება ხასიათდებოდეს: სამუშაო ძალის დეფიციტით, სამუშაო ძალის სიჭარბით და სამუშაო ძალის წონასწორობით.

შრომის ბაზრის ინფრასტრუქტურა - დასაქმების სამსახურები (როგორც სახელმწიფო, ისე არასახელმწიფო), კადრების პროფესიული მომზადებისა და გადამზადების ცენტრები, სარეკლამო ფირმები, საზოგადოებრივი ორგანიზაციები და ფონდები და სხვა.

სოციალური დაცვის სისტემა - საბაზრო პირობებში ჩვეულებრივი მოვლენაა მომუშავეთა გარკვეული ნაწილის გამოთავისუფლება და უმუშევრობის არსებობა. გამოთავისუფლებულ პერსონალს უმუშევრობის პერიოდში ჭირდება ფინანსური დახმარება (შემწეობები, კომპენსაციები, სტიპენდიები და ა.შ.), გადამზადება, რათა შეძლოს შრომით საქმიანობაში ხელახალი ჩაბმა.

შრომის ბაზარზე ერთმანეთის პირისპირ წარდგებიან დამსაქმებლები (დამქირავებლები) და შრომისუნარიანი მოსახლეობის ის ნაწილი, ვისაც სურს მუშაობა. დამსაქმებლებსა და სამუშაოს მაძიებლებს განსხვავებული მიზნები ამოძრავებთ. მათი ინტერესების შეთანხმებას შრომის ფასის (ხელფასის) ცვლილების საფუძველზე უზრუნველყოფს შრომის ბაზრის მექანიზმი, რომლის ძირითადი ელემენტებია: სამუშაო ძალაზე მოთხოვნა, სამუშაო ძალის მიწოდება, შრომის ფასი და კონკურენცია.

შრომის ბაზრის ფუნქციონირება შესაძლებელია: სრულყოფილი (თავისუფალი) კონკურენციის, მონოფსონიის, ოლიგოფსონიის, პროფკავშირების ზემოქმედების და ორმხრივი მონოპოლიის პირობებში.

სრულყოფილი (თავისუფალი) კონკურენციის შრომის ბაზრისათვის - დამახასიათებელია კონკრეტული კვალიფიკაციის მქონე სამუშაო ძალის დაქირავების მსურველი ფირმებისა და ასევე ერთნაირი კვალიფიკაციის მქონე პოტენციური მომუშავეების დიდი რაოდენობით არსებობა. დამსაქმებლები (დამქირავებლები) და სამუშაოს მაძიებლები მოქმედებენ დამოუკიდებლად, შეუთანხმებლად - ხელფასის განაკვეთის განსაზღვრაში.

მონოფსონიად - შეიძლება ჩაითვალოს ისეთი სიტუაცია, როცა დარგში გარკვეული კვალიფიკაციის სამუშაო ძალის ერთადერთი დამქირავებელია. ხოლო თუ ბაზარზე დამსაქმებლის (დამქირავებლის) სახით გამოდის რამდენიმე ფირმა, საქმე ეხება ოლიგოფსონიას.

პროფკავშირების ზემოქმედება - შრომის ბაზარზე გამოიხატება მომუშავეთა ინტერესების დაცვაში. მათი საქმიანობის მთავარი მიზანია სამუშაო ძალაზე მოთხოვნის გადიდება და ხელფასების ზრდა.

ორმხრივი მონოპოლია - დამახასიათებელია მონოფსონიური შრომის ბაზრისთვის, როცა მასზე ზემოქმედებს ძლიერი დარგობრივი პროფკავშირები. მონოფსონისტი ფირმა ცდილობს დააწესოს წონასწორულზე დაბალი ხელფასის განაკვეთი, ხოლო პროფკავშირები პირიქით, ცდილობენ, ხელფასი შეინარჩუნონ წონასწორულზე მაღალ დონეზე. აღნიშნულის შედეგად ხელფასის განაკვეთი და დასაქმების დონე უახლოვდება კონკურენტული ბაზრის პირობებს.

შრომის ბაზრის სეგმენტაციის აუცილებლობა გამომდინარეობს თვით მისი სირთულიდან და სპეციფიკიდან. შრომის ბაზრის სეგმენტაცია გულისხმობს მომუშავეებისა და სამუშაო ადგილების დაყოფას ჩაკეტილ და მყარ სექტორებად, ზონებად, რომლებითაც შემოფარგლულია სამუშაო ძალის მობილურობა.

შრომის ბაზრის ცალკეულ სეგმენტზე თავმოყრილია გარკვეული პროფესიის და სპეციალობის მხოლოდ ერთმანეთის კონკურენტი მომუშავეები. ისინი კონკურენციას ვერ უწევენ სხვა სეგმენტის მომუშავეებს.

შრომის ბაზრის სეგმენტებიდან უნდა გამოიყოს პირველადი და მეორადი შრომის ბაზრები.

პირველადი შრომის ბაზრისთვის დამახასითებელია: მაღალკვალიფიციური კადრები, შრომის კარგი პირობები, მაღალი ხელფასი, სოციალური გარანტიებისა და დაცულობის მაღალი ხარისხი, პროფესიული ზრდისა და სამსახურებრივი დაწინაურების შესაძლებლობა, პროგრესული ტექნოლოგიები და მართვის თანამედროვე სისტემები, ძლიერი პროფკავშირების არსებობა. ხოლო **მეორადი შრომის ბაზარისთვის კი დამახასიათებელია:** დაბალკვალიფიციური და არაკვალიფიციური სამუშაო ადგილები,

შრომის მძიმე პირობები, სოციალური დაცვისა და გარანტიების დაბალი დონე, დაბალი ანაზღაურება და ა.შ. **(საქართველოს 2013: 199).**

შრომის ბაზრის სეგმენტაცია გულისხმობს შრომის შიგა და გარე ბაზრების გამიჯვნას (გამოყოფას).

გარე ბაზარი - ახასიათებს სამუშაო ძალის მყიდველებისა და გამყიდველების ურთიერთობას ქვეყნის, რეგიონის ან ეკონომიკის რომელიმე სექტორის მასშტაბით და უზრუნველყოფს მომუშავეთა განაწილებას შრომის გამოყენების სფეროების მიხედვით. იგი ხელს უწყობს, აგრეთვე, მომუშავეთა გადაადგილებას ერთი სამუშაო ადგილიდან მეორეზე.

შრომის შიგა ბაზარი - შემოსაზღვრულია ერთი საწარმოთი და ფორმირდება მომუშავეთა გადაადგილებით ერთი თანამდებობიდან მეორეზე საწარმოს ფარგლებში. ამასთან, თუ გარე შრომის ბაზარი მნიშვნელოვანწილად ფუნქციონირებს კადრების დენადობის მეშვეობით, შიგა ბაზარი პირიქით, ხელს უწყობს დენადობის შემცირებას. შიგა ბაზარი ძირითადად ორიენტირებულია კონკრეტულ საწარმოში სპეციალიზებულ მომუშავეებზე.

შრომის ბაზრის სეგმენტაცია, ასევე შეიძლება განხორციელდეს შრომისუნარიანი მოსახლეობის სხვადასხვა სოციალურ-დემოგრაფიული ჯგუფების მიხედვით და გამოიყოს ქალთა, ახალგაზრდობის, ინვალიდთა და პენსიონერთა შრომის ბაზარი. ასევე სოციალურ-ეკონომიკური მახასიათებლების მიხედვით – განათლების დონე, პროფესიულ-კვალიფიციური შემადგენლობა, მუშაობის სტაჟი, საკუთრების ფორმების მიხედვით - სახელმწიფო და არასახელმწიფო. ხოლო დასაქმების ლეგალურობის თვალსაზრისით მიზანშეწონილია შრომის ბაზრის ფორმალური და არაფორმალური სექტორების გამოყოფა **(ლაცაბიძე...2016: 24-35).**

ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის შესაფასებლად ეკონომისტები სხვადასხვა სტატისტიკურ მონაცემს განიხილავენ. გარდა მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) დონისა, ერთ-ერთი სტატისტიკური მონაცემი, რაც ეკონომისტთა და ასევე, საზოგადოების ყურადღებას იქცევს, ქვეყანაში უმუშევრობის მაჩვენებელია. უმუშევრობა ქვეყნის მოსახლეობას მძიმე ტვირთად აწვება და ეკონომიკურ, ფსიქოლოგიურ და სოციალურ დანაკარგს იწვევს **(McDowell 2006:).**

უმუშევრობისა და დასაქმების, ისევე როგორც ნებისმიერი სხვა სოციალურ-ეკონომიკური მოვლენის ანალიზისათვის, საჭიროა მათი არა მარტო თვისობრივი დახასიათება, არამედ რაოდენობრივი შეფასებაც, რომელიც შეიძლება განხორციელდეს შესაბამისი მაჩვენებელთა სისტემის საშუალებით. უმუშევრობის ძირითად მაჩვენებლებს მიეკუთვნება: უმუშევრების რიცხოვნობა, უმუშევრობის დონე და ხანგრძლივობა, უმუშევართა სქესობრივ-ასაკობრივი, პროფესიულ-დარგობრივი და ტერიტორიული სტრუქტურა. ამა თუ იმ ქვეყანაში უმუშევართა რაოდენობის დადგენის მეთოდები განსხვავებულია. ამასთან დაკავშირებით ორი მეთოდოლოგიური მიდგომა არსებობს:

პირველი მიდგომის თანახმად - უმუშევრობის მაჩვენებლები დგინდება მოსახ-ლეობის გარკვეული ნაწილის შერჩევითი დაკვირვების საფუძველზე, რაც პერიო-დულად ტარდება (აშშ, იაპონია). ასე მაგალითად, აშშ-ში უმუშევრთა რაოდენობის დასადგენად ყოველთვიურად ხდება მოსახლეობის შერჩევითი გამოკვლევა, რაც 60 ათას ოჯახს მოიცავს და მიღებული შედეგები განზოგადდება მთელ ქვეყანაზე.

მეორე მიდგომის თანახმად - უმუშევრობის მაჩვენებლები დგინდება დასაქმების სახელმწიფო სამსახურებში უმუშევრის სტატუსის მოსაპოვებლად შემოსული განცხადებების საფუძველზე (მაგ. დიდი ბრიტანეთი). პირველი მიდგომა, რომელიც პერიოდულ შერჩევით გამოკვლევას ითვალისწინებს, უფრო ძვირადღირებულია, მაგრამ შედარებით ზუსტად ასახავს უმუშევართა სტრუქტურას; რაც შეეხება მეორე მიდგომას, იგი შედარებით მარტივია, მაგრამ უმუშევრების თვისობრივი შემადგენლობის დაზუსტების თვალსაზრისით, მოითხოვს დამატებითი კონტროლის ღონისძიებების გატარებას იმ პირების ქცევაზე, რომლებიც საკუთარ თავს უმუშევართა კატეგორიას აკუთვნებენ **(თორია... 2016: 49).**

რაც შეეხება საქართველოს, სტატისტიკის ეროვნული სამსახური აწარმოებს სა-მუშაო ძალის სტატისტიკას შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევის საფუძ-ველზე. გამოკვლევა მიმდინარეობს ყოველკვარტალურად, რომლის დროსაც ხორციელ-დება დაახლოებით 3 400 შინამეურნეობის 15 წლის და უფროსი ასაკის წევრების გამო-კითხვა. გარდა იმ პირებისა, რომლებიც არ იმყოფებიან შინამეურნეობაში 12 თვის და

მეტი პერიოდის განმავლობაში, სამხედრო პირებისა, რომლებიც ცხოვრობენ ყაზარმებში, ასევე გარდა იმ პირებისა, რომლებიც ცხოვრობენ საპატიმროებში, ფსიქიატრიულ საავადმყოფოებში, მოხუცთა თავშესაფარებში, ინტერნატებში და სხვა ინსტიტუციურ დაწესებულებებში.

ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის, დასაქმებისა და უმუშევრობის შეფასება ხორციელდება შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მეთოდოლოგიის მიხედვით.

ცხრილი №2

საქართველოში დასაქმება და უმუშევრობა 2005-2015 წლები

	2005	**2006**	**2007**	**2008**	**2009**	**2010**	**2011**	**2012**	**2013**	**2014**	**2015**
ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა (სამუშაო ძალა), ათასი კაცი	2024	2022	1965	1918	1992	1945	1959	2029	2004	1991	2022
დასაქმებული, ათასი კაცი	1745	1747	1704	1602	1656	1628	1664	1724	1712	1745	1780
უმუშევარი, ათასი კაცი	279.3	274.5	261	315.8	335.6	316.9	295.1	305.1	291.8	246	241.6
უმუშევრობის დონე, პროცენტებში	13.8	13.6	13.3	16.5	16.9	16.3	15.1	15	14.6	12.4	12

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური.

ქვეყანაში დასაქმებულად ითვლება არა მხოლოდ მოსახლეობის ის ნაწილი, რომელიც დაქირავებით დასქმებულია კერძო და სახელმწიფო სექტორში და იღებს გასამრჯელოს ხელფასის სახით, აგრეთვე მოსახლეობის ის ნაწილიც, რომელიც მოგების, შემოსავლის (ფულით ან ნატურის სახით) ან სხვა სახის სარგებლის მიღების მიზნით ეწევა გარკვეულ საქმიანობას.

ცხრილი №3

დასაქმებულთა განაწილება ინსტიტუციური სექტორების მიხედვით
2006-2015 (ათასი კაცი)

სექტორის დასახელება	**2006**	**2007**	**2008**	**2009**	**2010**	**2011**	**2012**	**2013**	**2014**	**2015**
სულ	**1,747**	**1,704**	**1,602**	**1,656**	**1,628**	**1,664**	**1,724**	**1,712**	**1,745**	**1,780**
სახელმწიფო	360	327	275	298	286	266	274	247	251	275
არასახელმწიფო	1,387	1,377	1,327	1,358	1,342	1,398	1,450	1,465	1,494	1,505
										%
სულ	**100.0**	**100.0**	**100.0**	**100.0**	**100.0**	**100.0**	**100.0**	**100.0**	**100.0**	**100.0**
სახელმწიფო	20.6	19.2	17.2	18.0	17.6	16.0	15.9	14.4	14.4	15.4
არასახელმწიფო	79.4	80.8	82.8	82.0	82.4	84.0	84.1	85.6	85.6	84.6

წყარო: ცხრილი შედგენილია ავტორის მიერ, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონოცემებზე დაყრდნობით.

თვითდასაქმებულად ითვლება ადამიანი, რომელიც საკუთარ საწარმოში ან საკუთარ მეურნეობაში მუშაობს და გააჩნია საკუთარი შემოსავალი. შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მეთოდოლოგიის შესაბამისად, იმისათვის, რომ ადამიანი ჩაითვალოს დასაქმებულად, არ არის აუცილებელი, რომ მას ქონდეს ხანგრძლივვადიანი შრომითი ხელშეკრულება ან დაქირავებული იყოს ვინმეს მიერ.

თვითდასაქმებულთა აბსოლიტური უმრავლესობა დასაქმებულია სოფლად, საკუთარ ფერმერულ (გლეხურ) მეურნეობაში. მაგალითად, აქვს მიწის ნაკვეთი ან ჰყავს პირუტყვი, რომლიდან მიღებულ პროდუქციასაც იყენებს როგორც საკუთარი მოხმარებისათვის, ასევე გასაყიდად.

დიაგრამა №1

უმუშევრობის დონე საქართველოში
2005-2015 წლები



წყარო: დიაგრამა შედგენილია ავტორის მიერ, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონოცემებზე დაყრდნობით.

შრომის ბაზრის თითოეული ელემენტის გამართულ ფუნქციონირებაზე მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული როგორც ქვეყნის შრომითი და ეკონომიკური პოტენციალის გამოყენების ხარისხი, ისე მოსახლეობის ცხოვრების დონე და სოციალური კმაყოფილება. გამომდინარე აქედან შრომის ბაზრის ინფრასტრუქტურის გამართულმა ფუქნციონირებამ, ხელი უნდა შეუწყოს შრომის ბაზარზე არსებული მოთხოვნის შესაბამისად, სათანადო სპეციალობისა და კვალიფიკაციის კადრების მიწოდებას, რამაც თავისმხრივ უნდა გამოიწვიოს ქვეყანაში უმუშევრობის დონის შემცირება და საბოლოო ჯამში მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება.

2.2. შრომის ბაზრის რეგულირების ფორმები და პოლიტიკა

ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისა და საბაზრო პირინციპების დანერგვისათვის მნიშვნელოვანია საბაზრო ეკონომიკის ყველა ინსტიტუტის გამართული ფუნქციონირება. შრომის ბაზრის ჩამოყალიბება და მისი გამართული მუშაობა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია ქვეყნის განვითარებისთვის. შრომის ბაზრის ჩამოყალიბების პროცესში დიდი მნიშვნელობა ენიჭება მოცემული სფეროს მარეგულირებელ კანონმდებლობას.

შრომის ბაზრის რეგულირების სხვადასხვა მექანიზმი არსებობს. იგი შეიძლება იყოს საბაზრო, ნორმატიული, ან ეფუძნებოდეს კოლექტიურ ძალისხმევას. სხვადასხვა ქვეყანაში ისინი ყოველთვის განსხვავებული ზომით თანაარსებობენ **(მელაძე 2012: 30).**

არარეგულირებადია ურთიერთობები როდესაც შრომითი ურთიერთობების რეგულირება დაფუძნებულია ძირითადად საბაზრო მექანიზმებზე. თუმცა, ზოგიერთი ავტორის მოსაზრებით, საბაზრო მექანიზმიც რეგულირების ერთ-ერთი სახეა და იგი ემყარება სახელმწიფო კანონმდებლობასა და სხვა მარეგულირებელი ინსტრუმენტების გამოყენებას **(Betcherman... 2001: 0128).**

ნორმატიული რეგულირება კლასიკური რეგულირების ცნებაა და გულისხმობს სახელმწიფოს მიერ დადგენილ წესებს და პროცედურებს, რომლებიც კანონებისა და განკარგულებების სახით მოიცავს და არეგულირებს დასაქმების სხვადასხვა ასპექტებს (დასაქმებულების უნივერსალური უფლებებისა და მაღალი რისკის მქონე ჯგუფების დაცვა, კომპენსაციის გაცემის პრინციპების ჩამოყალიბება, სამუშაოს დაწყებისა და დასრულების პირობების დადგენა და სხვა).

ხისტი, ან მოქნილი რეგულირების კონტექსტში განიხილება შრომის დაცვის საკითხი. ხისტი რეგულირების კონტექსტში არარეგულირებადი, ფიქსირებული ვადით დადებული კონტრაქტები და დროებით სამუშაოზე დასაქმების პრაქტიკა შეზღუდულია. არსებობს დაქირავების სტანდარტები. დასაქმებულთა სამუშაოდან გათავისუფლება კონტროლირებადი და მკაცრია, განთავისუფლებასთან დაკავშირებული პროცესები არსებითია და არსებობს განთავისუფლებისას წინასწარ შეტყობინებაზე აუცილებელი ადმინისტრაციული მოთხოვნები.

მოქნილი პოლიტიკის პირობებში კი რეგულირებადი და კოლექტიური ძალისხმევით დადებული კონტრაქტები შეზღუდულია. შეუზღუდავია დროებითი კონტრაქტები, დროებით სამუშაოზე დასაქმება და დასაქმებულთა განთავისუფლება, არ არსებობს დაქირავების სტანდარტები და განთავისუფლებისას წინასწარ შეტყობინებაზე ადმინისტრაციული მოთხოვნები, ხოლო, მშრომელთა დაქირავებისა და განთავისუფლების პროცესი საბაზრო მექანიზმზეა დამოკიდებული (Betcherman 2002: 30130).

კოლექტიური ძალისხმევის გამოყენება ხდება როდესაც დასაქმებულები (ზოგჯერ დამსაქმებლებიც) გამოდიან ერთიანი კოლექტივის სახით შრომითი გარიგებისას. იგი შეიძლება განხორციელდეს საწარმოში, დარგში, ან რეგიონულ დონეზე სხვადასხვა კოორდინაციით. განვითარებად ქვეყნებში დასაქმებულთა მცირე ნაწილია გაერთიანებული ასეთ ასოციაციებში, თუმცა განვითარებულ ქვეყნებშიც შეინიშნება გაერთიანებებში დასაქმებულთა შეფარდებითი კლებაც.

პროფკავშირები შრომითი ურთიერთობების მამოძრავებელი ძალაა. ამ ტერმინის ქვეშ ასოცირდება ინსტიტუტი, რომელიც აწესრიგებს შრომით ურთიერთობებს ისეთი გზებით, როგორიცაა: კოლექტიური ხელშეკრულება, გაფიცვები, პიკეტირება, ბოიკოტი. იგი აღიქმება, როგორც მენეჯერებსა და თანამშრომლებს შორის შექმნილი მტრული ურთიერთობების დარეგულირების ფაქტორი, როდესაც პრობლემების გადაჭრაც ხდება თანასწორი წარმომადგენლობით და გამოხატავს დემოკრატიას, სამართლიანობას, შესაძლებლობას. მიუხედავად განსხვავებული დამოკიდებულებისა, პროფკავშირი ზოგადად მნიშვნელოვანი ძალაა. მას ცვლილებები შეაქვს საწარმოო საქმიანობასა და ბიზნეს-ეთიკაში. მათი მონაწილეობით, შრომით ხელშეკრულებაში შეიძლება განისაზღვროს, თუ ვინ შეირჩევა სამუშაო დაწინაურებისთვის, ან ტრენინგის პროგრამებისთვის. მუშაკთა ანაზღაურების საკითხი შეიძლება განისაზღვროს პროფკავშირის მოლაპარაკებებით და წამოაყენონ შეზღუდვები ხელმძღვანელობის მიერ თანამშრომელთა შეფასების მეთოდებთან დაკავშირებით (მელაძე 2012: 34).

პროფკავშირების ჩართვა მოლაპარაკებებში დამოკიდებულია თანამშრომელთა უკმაყოფილების ხარისხზე, სამუშაო პირობებზე. აგრეთვე იმაზე, აღიარებენ თუ არა მუშაკები იმას, რომ პროფკავშირის დახმარება ეფექტური იქნება თავიანთი პირობების გაუმჯობესებაში. მრავალი გამოკვლევა გვიჩვენებს, რომ მუშაკები ერთიანდებიან კავ-

შირებში მაშინ, როდესაც ისინი აცნობიერებენ, რომ კომპანიების მენეჯერული ქმედებები დაწინაურებასთან, გადასვლებთან, დავალებებთან ან სხვა სამსახურებრივ სტრატეგიებთან დაკავშირებით უსამართლოდ, ან მიკერძოებულად ხორციელდება. თანამშრომლები მენეჯერების მიერ გამოხატულ ფავორიტიზმს ასახელებენ, როგორც კავშირებში გაერთიანების ერთ-ერთ მთავარ მიზეზს **(Simpson 2009:).**

როდესაც ფირმებსა და მუშათა გაერთიანებებს შორის კოლექტიური მოლაპარაკება ორმხრივად პოზიტიურია, მაშინ იზრდება წარმოების ეფექტიანობა და მოგება. ხოლო, თუ იგი ნეგატიურია, მაშინ ყალიბდება შრომის, ან წარმოების „შემზღუდავი" გარემოებები.

სამეცნიერო ლიტერატურაში მუშათა გაერთიანებებსა და დამსაქმებლებს შორის კოლექტიურ მოლაპარაკებებთან დაკავშირებით სამ მოდელს გამოყოფენ:

1. მონოპოლიური გაერთიანების მოდელი (Monopoly Union Model) რომელიც შექმნა ჯ. დანლოპმა (J.Dunlop) 1944 წელს, რომლის თანახმად, მონოპოლიურ გაერთიანებას აქვს იმის ძალაუფლება, რომ მოახდინოს ხელფასების განაკვეთების ზრდა, რომლის შედეგად ფირმები დასაქმების დონის შერჩევის არჩევანის წინაშე დგანან.

2. მართვის უფლების მოდელის (Right-to-Manage model) თანახმად, რომელიც ინგლისური სკოლის წარმომადგენელმა სტეპენ ნიკელმა (Stepen Nickell) განავითარა 1980 წელს, ფირმებსა და მშრომელთა გაერთიანებებს შორის ხელფასების გარშემო მოლაპარაკება ხდება ცნობილი ამერიკელი მათემატიკოსის, ჯონ ნეშის (John Forbes Nash) მიერ შემუშავებული თამაშთა თეორიის, კერძოდ მოლაპარაკებების დროს ჩამოყალიბებული წონასწორობის მიხედვით, სადაც ვერც ერთი მხარე ვერ გაზრდის თავის სარგებელს რომელიმე მხარის გარეშე და ვერც ერთი მხარე ვერ მიიღებს უფრო მეტს, თუ იგი შეეცდება ცალმხრივად შეცვალოს სტრატეგია.

3. მოდელი რომელიც 1981 წელს შექმნეს მაკდონალდმა და სოლოვმა (M. McDonald and Robert M. Solow), ეწოდება ეფექტიანი მოლაპარაკების მოდელი, სადაც მშრომელთა გაერთიანებები და ფირმები მოილაპარაკებენ ერთმანეთში ხელფასებისა და დასაქმების გარშემო **(მელაძე 2012: 39).**

მოდელების დახასიათებისას უნდა გავითვალისწინოთ, რომ რეგულირების ცალკეული მოდელი სხვადასხვა ქვეყანაში და სხვადასხვა დროს გამოყენებული ერთნაირად

წარმატებული ვერ იქნება. მათი მუშაობის ეფექტიანობა დამოკიდებულია კონკრეტულ პირობებზე. თითოეულ მათგანს ახასიათებს სუსტი და ძლიერი მხარეებიც. მნიშვნელოვანია მათი გონივრული გამოყენება.

საბაზრო ძალებით რეგულირების პოტენციური ძლიერი მხარეა ის, რომ: აძლიერებს მონაწილეობას, ეფექტური განაწილებაა და დაბალია ტრანზაქციული დანახარჯები. რაც შეეხება პოტენციურ რისკებს მიეკუთვნება: ბაზრის ჩავარდნა და დისკრიმინაცია.

ნორმატიული რეგულირების პოტენციური ძლიერი მხარეა ის, რომ: პროგნოზირებადია, მიმართულია თანასწორობისაკენ და უზრუნველყოფს მონიტორინგს. ხოლო პოტენციურ რისკებს კი მიეკუთვნება: ხისტი მონიტორინგის დანახარჯები და მორალური ზიანი.

ბოლოს რაც შეეხება კოლექტიური მოლაპარაკებით რეგულირების პოტენციურ ძლიერ მხარეებს, წარმოადგენს ის, რომ: ქმნის ინვესტირების შესაძლებლობას ხანგრძლივი პერიოდით და უზრუნველყოფს თვითმონიტორინგს. პოტენციური რისკები კი შემდეგნაირად შეიძლება ჩამოვაყალიბოთ: დროის ხარჯვა, დასაქმებულებისა (ინსაიდერებისა) და დაუსაქმებლების (აუთსაიდერების) განსხვავება.

განვითარებული ქვეყნებისთვის დამახასიათებელია აქტიური ნორმატიული რეგულირება შრომის კოდექსით, შრომის ბაზარზე ინტერვენციის მეშვეობით. თუმცა, ინსტიტუციონალური შეზღუდვების გამო შრომის ბაზრის რეგულირება მრავალ ქვეყანაში ხორციელდება საბაზრო და არაფორმალური ძალების გამოყენების გზით.

დასაქმებულთა შრომის დაცვა შეიძლება განხორციელდეს ორი გზით: დამსაქმებელთა ძალაუფლების შეზღუდვით მუშაკთა დაქირავებისას, ან კიდევ მათი ძალაუფლების შეზღუდვით სამუშაოდან განთავისუფლების შემთხვევაში. ამ პოლიტიკის ძირითადი იდეაა ის, რომ უმუშევრობა, ან სამუშაოდან განთავისუფლების ტვირთი დამსაქმებლებმა გაიზიარონ.

არსებობს განსხვავებული პოზიციებიც. მკვლევართა ერთი ნაწილი აღიარებს, რომ არაპერმანენტულ სამუშაოებსა და დასაქმებაზე, სამუშაოდან განთავისუფლებაზე შეზღუდვები მნიშვნელოვანია მშრომელთა სოციალური დაცვისთვის, ხოლო, სხვები კი მიიჩნევენ, რომ ასეთი რეგულირება ზრდის დამსაქმებელთა ხარჯებს, არ უწყობს ხელს

ახალი სამუშაო ადგილების შექმნას და ქმნის პრივილეგიებს იმ ადამიანებისთვის, რომლებიც უკვე დასაქმებულნი არიან.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მსოფლიო ბანკი აქცენტირებას აკეთებს შრომის ბაზრის რეგულირების დეფორმაციულ მიდგომაზე (distortionist), ხოლო შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია კი - ინტერვენციულზე ("interventionist"). პირველი მათგანი ეხება ეკონომიკის ეფექტიანობას, მეორეს კი აქცენტი სოციალურ სარგებელზე გადააქვს. მთლიანობაში ეს ორი მიდგომა ქმნის ახალ მოდელს, რომელიც შრომის ბაზრის რეგულირების პოლიტიკას ძირითადად აფუძნებს სახელმწიფოს ინტერვენციებზე, რომელიც მიმართულია ეკონომიკური რეფორმების მხარდასაჭერად.

შრომითი ურთიერთობების საერთაშორისო სტანდარტები მიზნად ისახავს გააუმჯობესოს შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) წევრი ქვეყნების შიდა ეროვნული სოციალური გარემო. შესაბამისად, ხდება საერთაშორისო შრომითი სტანდარტების ტრანსფორმაცია ქვეყნებში მათი სპეციფიკის შესაბამისად **(კონსტიტუციურ 2005:).**

შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია სამ იდაზე (მშვიდობის დამყარება სოციალური სამართლიანობის გზით; კოლექტიური შეთანხმებებისთვის უპირატესობის მინიჭება იზოლირებულ შეთანხმებებთან შედარებით; იმ აზრის განვითარება, რომ არც ერთმა ქვეყანამ არ უნდა მიიღოს სხვაზე მეტი უპირატესობა სამუშაო პირობებისთვის სტანდარტზე დაბალი დონის მომიზეზებით) დაფუძნებით 1919 წელს, ვერსალის სამშვიდობო ხელშეკრულების საფუძველზე შეიქმნა და გაეროს სპეციალიზებულ სააგენტოდ ჩამოყალიბდა 1946 წელს.

შრომის საერთაშორისო ორგანიოზაციის მიზანია, შეისწავლოს ამ ორგანიზაციის წევრ ქვეყნებში ცხოვრებისა და შრომის პირობები და ხელი შეუწყოს მათ გაუმჯობესებას, იქ ეკონომიკური და სოციალური სტაბილურობის დამკვიდრებას, სოციალური დაზღვევისა და სრული დასქმების უზრუნველყოფას, მოზარდთა და ქალთა შრომის დაცვას, ხელფასის დამაკმაყოფილებელი დონისა და თანაბარი შრომისათვის თანაბარი ანაზღაურების გარანტირებას, სიღატაკის წინააღმდეგ ბრძოლას და ა.შ.**(ლექსიკონი...2005: 283).**

შსო-ს წევრი ქვეყნების რაოდენობა ამჟამად შეადგენს 182-ს. შსო-ს აქვს უნიკალური „სამმხრივი" სტრუქტურა, რომელიც თავს უყრის მთავრობების, დამსაქმებლებისა და

დასაქმებულთა წარმომადგენლებს თანაბარ საწყისებზე შრომისა და სოციალურ პოლიტიკასთან დაკავშირებულ აქტუალურ პრობლემებზე რეაგირების ზომათა მიღებისათვის. შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის საერთო პოლიტიკას განსაზღვრავს შრომის საერთაშორისო კონფერენცია, რომელიც იკრიბება წელიწადში ერთხელ და თავს უყრის მის წევრებს. კონფერენცია აგრეთვე იღებს შრომის ახალ საერთაშორისო ნორმებს და ამტკიცებს შსო-ს სამუშაო გეგმასა და ბიუჯეტს **(შრომის 2009: 13).**

ორგანიზაციის საქმიანობა ეფუძნება: თანასწორი პარტნიორობის, უნივერსალურობისა და ტრიპარტიზმის პრინციპებს, თანასწორი პარტნიორობის პრინციპის თანახმად, წევრი ქვეყნები მონაწილეობენ მისი პოლიტიკის განსაზღვრაში, უნივერსალურობის პრინციპი უზრუნველყოფს ყველა სახელმწიფოს გაწევრიანების შესაძლებლობას შრომის საერთაშორისო ორგანიზაციაში, ხოლო ტრიპარტიზმის პრინციპი კი ეხება შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მუშაობას და ხორციელდება საერთაშორისო შრომითი სტანდარტების დანერგვისა და მათი შესრულების კონტროლის პროცესში. იგი გულისხმობს მის საქმიანობაში წევრი სახელმწიფოების წარმომადგენლებთან ერთად დამსაქმებლებისა და დასაქმებულების წარმომადგენელთა თანაბარ მონაწილეობას.

შრომის სოციალური სტანდარტების დაწესება საერთაშორისო დონეზე შრომის საერთაშორისო ორგანიზაციას ევალება, ხოლო, მის წევრ ქვეყნებს თავის მხრივ ევალებათ მოახდინონ ამ სტანდარტების რატიფიცირება ეროვნულ კანონმდებლობასთან.

შრომის კოდექსი - დასაქმებულთა უფლებების დაცვა განსაკუთრებით აქტუალურად მე-19 და მე-20 საუკუნეებიდან დაიწყო. ინდუსტრიული რევოლუციის შემდეგ, იგი ნებისმიერი ქვეყნის სოციალური და ეკონომიკური განვითარების განუყოფელი ნაწილი გახდა და აისახა საზოგადოდ, შრომის კანონმდებლობებში, რომელიც არეგულირებს დასაქმებულის უფლებებსა და ვალდებულებებს და გამოდის დამსაქმებელსა და დასაქმებულს შორის შუამავლის როლში. ამ კანონის წარმოშობის მოტივაცია იყო დასაქმებულების ანაზღაურების დაცვა, რომელიც დაქირავებული მუშაკების ინტერესების განხორციელებას შეუწყობდა ხელს.

სამმხრივ ურთიერთობებს დასაქმებულს, დამსაქმებელსა და პროფკავშირებს შორის განიხილავს კოლექტიური (გაერთიანებული) შრომის კოდექსი.

შრომითი კონტრაქტი - შრომის კოდექსის მთავარი არსი თითქმის ყველა ქვეყანაში ემყარება საერთაშორისო პრინციპებს, ასახავს საბაზრო ეკონომიკის განვითარების რეალობას და მიმართულია ეფექტიანი შრომითი ბაზრის ფორმირებისკენ. მის საფუძველზე ხდება ინდივიდუალური კონტრაქტების დადებაც.

შრომის რეგულირების პოლიტიკა - ძირითადად ემსახურება იმას, რომ დასაქმებულებისთვის სამუშაოდან განთავისუფლება იყოს ხარჯიანი, რაც ერთობ შეამსუბუქებს სახელმწიფოს სოციალურ ტვირთს.

შრომის რეგულირება სხვადასხვა გზით ზემოქმედებს დასაქმებაზე: იგი გაზრდის მოთხოვნას სამუშაო ძალაზე, გაზრდის დასაქმების ხანგრძლივობას, ან კიდევ სამუშაო ძალის დენადობას ფირმებში.

შრომის ბაზრის რეგულირება ზემოქმედებს ფირმების საქმიანობაზე, მათ მასშტაბზე, გამოშვებაზე, ინვესტიციებზე, ტექნოლოგიებზე და საერთოდ, რესურსების განთავსებაზე წარმოებაში. იგი ფირმებისთვის სამუშაო ადგილების და მუშაკების რაოდენობის განსაზღვრის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პირობაა.

დღეს საკანონმდებლო ტენდენციები ევროპის ქვეყნებში მიმართულია დერეგულაციისა ან დესტანდარტიზაციისკენ და ამგვარად ხელს უწყობენ უფრო "მოქნილი" შრომის ბაზრის ფორმირებას **(Horst Brand 2007:).**

ევროპის მთელ რიგ ქვეყნებში დასაქმებულებს ეძლევათ შესაძლებლობა შექმნან შრომის კავშირები, გაერთიანდენ კოლექტიურ გარიგებებში და მოაწყონ გაფიცვები. მიმდინარე კანონმდებლობა, პრაქტიკულად გამოხატავს ისტორიულ ურთიერთობებს სახელმწიფოს, დასაქმებულებსა და დამსაქმებლებს შორის და მიმართულია სოციალური დიალოგის წარმართვის ხელშეწყობისკენ.

დასავლეთ ევროპის განვითარებულ ქვეყნებში საკანონმდებლო ბაზა მონაწილეებს აძლევს მოქმედების თავისუფლებას, რომლის საფუძველზეც იდება საწარმოო ხელშეკრულებები. სახელმწიფო უმეტესწილად კონფლიქტებს არეგულირებს, მაგალითად, საგაფიცვო სამართალით **(მელაძე 2012: 93).**

გერმანიაში, ბევრი მეწარმე, ანაზღაურების დადგენისას, უპირატესობას სწორედ კოლექტიურ მოლაპარაკებას ანიჭებს და დასაქმებულთა აბსოლუტური უმრავლესობა დარგობრივი ხელშეკრულებებით გათვალისწინებული პირობებით მუშაობს. აქვე უნ-

და აღინიშნოს, რომ ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში სატარიფო პოლიტიკა არ ხორციელდება დარგობრივ დონეზე.

ბალტიისპირეთის ქვეყნებში, პოლონეთში, ჩეხეთში, უნგრეთში, ხორვატიაში ხელფასები განისაზღვრება საწარმოო დონეზე, სლოვაკიაში, სლოვენიაში და ბულგარეთში კი - დარგობრივ დონეზე. განსხვავებები განპირობებულია არსებული დარგობრივი სპეციფიკით.

ევროკავშირში გავრცელებულია აგრეთვე ტრანსნაციონალური სატარიფო დიალოგიც, რომელიც სხვადასხვა მნიშვნელოვან დარგში (მაგალითად, გადამამუშავებელ მრეწველობაში) ხორციელდება, რაც ხელს უწყობს ინტეგრაციის პროცესს, სხვადასხვა ქვეყნის შრომის სტანდარტების ჰარმონიზაციას და საერთაშორისო დონეზე შრომის რეგულირების საერთო პოლიტიკის დანერგვას.

შრომითი ურთიერთობების რეგულირების პროცესში დიდ გავლენას ახდენს ტრადიციები, კულტურული თავისებურებები, პროფკავშირებისა და დამსაქმებელთა სტრატეგიები და სხვ, რის შედეგადაც ყოველ ქვეყანას შეიძლება წარმოეშვას თავისებური მოდელი და დასაქმებულთა ინტერესების დაცვა ხდებოდეს ცალსახად პროფკავშირების მიერ, ან დასაქმებულთა და დამსაქმებელთა შერეული კომიტეტების (საფრანგეთი, ბელგია) ან დასაქმებულთა საწარმოო საბჭოს მიერ (გერმანია, ავსტრია), ხოლო ხელფასის რეგულირებისა და ტარიფების დაწესება გადაწყდეს პოლიტიკურად ეროვნულ (მაგალითად, ბელგია, ფინეთი), ან დარგობრივ დონეზე (ავსტრია, გერმანია, საბერძნეთი, იტალია, პორტუგალია, ესპანეთი და სხვ) ან საწარმოო დონეზე (საფრანგეთი, ინგლისი).

ევროკავშირის შექმნის შემდეგ კანონმდებლობა დაემყარა სამ მთავარ მარეგულირებელ აქტს: საპარლამენტო აქტს, საკანონმდებლო რეგულირებებს, რომელიც მიღებულია სახელმწიფო მდივნისა და პარლამენტის მიერ და სასამართლო კაზუსებს.

დიდ ბრიტანეთში კანონი იცავს არასამართლიანი განთავისუფლებისგან იმ მუშაკს, რომელიც მხოლოდ უწყვეტად იყო დასაქმებული 2 ან მეტი წლით. სამუშაოდან დათხოვნის მიზეზები შეიძლება იყოს კვალიფიკაციის შეუსაბამობა, გაუმართლებელი ქცევები და სხვა. ყველა შემთხვევაში განთავისუფლება უნდა იყოს სამართლიანი.

გერმანიაში განთავისუფლება ხდება ბიზნესის საჭიროებების, ოპერაციული მოთხოვნების შესაბამისად, ან მუშაკთა არაეფექტური საქმიანობის გამო. როგორც წესი, მასობრივი დათხოვნის შემთხვევაში ერთი თვით ადრე ხდება შეტყობინება და ეს ვადა განსხვავებულია ფირმებში დასაქმების ხანგრძლივობის მიხედვით. რაც უფრო ხანგრძლივი პერიოდით იყო დასაქმებული მუშაკი, მით უფრო მეტი ხნით ადრე ხდება მისი წინასწარი გაფრთხილება.

ჩეხეთში სამუშაოდან დათხოვნა შესაძლებელია ორგანიზაციული ცვლილებების, ან იმის გამო, რომ დამსაქმებელს არ შეუძლია დაასაქმოს მუშაკი, ტექნიკური ცლილებების ან სხვა ცვლილებების გამო, თუ მუშაკის ჯანმრთელობის მდგომარეობა ხანგრძლივ პერიოდში ზარალს აყენებს ფირმას, მუშაკი ვერ ასრულებს სამუშაოს ეფექტიანად განვლილი 12 (თორმეტი) თვის განმავლობაში, ან მისი მხრიდან შრომის დისციპლინის დარღვევების გამო.

ესპანეთში და პორტუგალიაში სამუშაოდან დათხოვნა ხდება დისციპლინარული, ეკონომიკური მიზეზებით, პროფესიონალიზმის ნაკლებობით, ახალი ტექნოლოგიების დანერგვის შემთხვევაში, ან ტექნიკური მიზეზების გამო. აგრეთვე განთავისულება ხდება იმ შემთხვევაში, თუ მუშაკი არაადექვატურია სამუშაო ადგილისადმი, ტექნიკური მოდიფიკაციის შედეგად მორალურად გაცვდა მუშაკის კვალიფიკაცია, ისევე როგორც გერმანიაში, ესპანეთში განთავისუფლების შესახებ შეტყობინება ხდება 30 დღით ადრე, მაგრამ, თუ ფირმაში 50-ზე ნაკლები მუშაკია დასაქმებული, მათ შეუძლიათ 15 დღით ადრე გააკეთონ შეტყობინება. წერილობითი თანხმობა აუცილებელია. სხვა შემთხვევაში, მათ უნდა მიიღონ თანხმობა შრომის ბაზრის სახელმწიფო სტრუქტურებიდან. ფირმა ვალდებულია გადაუხადოს დათხოვნილ მუშაკს ყოველ ნამსახურევ წელზე 20 დღის ხელფასი 12 წლამდე და 30 დღით ადრე შეატყობინოს მუშაკს გადაწყვეტილება სამუშაოდან დათხოვნის შესახებ. ესპანეთში ყოველ ნამსახურევ წელიწადზე გაიცემა 20 დღის ხელფასის ტოლფასი კომპენსაცია და იგი მაქსიმუმ 12 თვის ხელფასის ტოლფასი შეიძლება იყოს.

პორტუგალიაში განთავისუფლების შესახებ შეტყობინება შრომის ინსპექციას 75-90 დღით ადრე უნდა გაეგზავნოს. ამასთან, არასამართლიანი განთავისუფლების შემთხვევაში დასაქმებულს აქვს არჩევანის უფლება: სამუშაოზე აღდგენა, ან კომპენსაცია ყო-

ველ ნამსახურევ წელზე ერთი თვის ხელფასის ოდენობით (სულ ცოტა 3 თვის ანაზღაურებით).

საფრანგეთში სამუშაოდან დათხოვნას უნდა ჰქონდეს საკმარისი და სერიოზული საბაბი. დამქირავებელი ვალდებულია კონსულტაციები გაიაროს მუშაკთა კომიტეტთან, მათ დელეგატებთან და შეატყობინოს იგი კომპეტენტურ ორგანოებს. ამის შემდეგ დამქირავებელს შეუძლია განსაზღვროს განთავისუფლების კრიტერიუმები, სადაც მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ოჯახზე პასუხისმგებლობა, მუშაობის ხანგრძლივობა და სხვა. რაც შეეხება შეტყობინების პერიოდს უნდა მოხდეს სულ ცოტა 30 დღით ადრე, თუ განსათავისუფლებელი პირების რაოდენობა 100-ზე ნაკლებია, 45 დღით ადრე, თუ განსათავისუფლებელი მუშაკების რაოდენობა 100-250-ია, 60 დღით ადრე, თუ მუშაკთა რაოდენობა 250-ია **(მელაძე 2012: 98)**.

როგორც ცნობილია მსოფლიოში ქვეყნების უმრავლესობაში დასაქმების პოლიტიკის მოქმედება ეფუძნება შრომის ბაზრის აქტიურ და პასიურ რეგულირებას. საქართველოს შემთხვევაში, შრომის ბაზრის რეგულირება, უმეტესწილად ხდება აქტიური სახელმწიფო დასაქმების პოლიტიკის გატარებით, რაც გამოიხატება სახელმწიფოს მიერ ინიცირებულ დასაქმების პროგრამებსა და ახალი სამუშაო ადგილების შექმნისთვის ბიზნესის სტიმულირებაში. ასეთ ღონისძიებებად შეიძლება ჩაითვალოს: სამუშაო ადგილების შექმნა, პროფესიული გადამზადება, ბიზნესის სახელმწიფო იაფი კრედიტით უზრუნველყოფა და მოქალაქეთა ცალკეული ჯგუფებისათვის საზოგადოებრივი საქმიანობების ორგანიზება **(გოგელაშვილი 2010: 1.3)**.

საქართველოში, მოქმედი შრომის კოდექსის შესაბამისად, შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლებია: ეკონომიკური გარემოებები, ტექნოლოგიური ან ორგანიზაციული ცვლილებები, რომლებიც აუცილებელს ხდის სამუშაო ძალის შემცირებას; შრომითი ხელშეკრულების ვადის გასვლა; შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულება; დასაქმებულის მიერ თანამდებობის/სამუშაოს საკუთარი ნებით დატოვება; მხარეთა წერილობითი შეთანხმება; დასაქმებულის კვალიფიკაციის ან პროფესიული უნარ-ჩვევების შეუსაბამობა მის მიერ დაკავებულ თანამდებობასთან/შესასრულებელ სამუშაოსთან; დასაქმებულის მიერ მისთვის ინდივიდუალური შრომითი ხელშეკრულებით ან კოლექტიური ხელშეკრულებით ან/და შრომის შინაგანაწესით

დაკისრებული ვალდებულების უხეში დარღვევა; თუ შრომითი ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული, ხანგრძლივი შრომისუუნარობა – თუკი შრომისუუნარობის ვადა აღემატება ზედიზედ 40 კალენდარულ დღეს, ან 6 თვის განმავლობაში საერთო ვადა აღემატება 60 კალენდარულ დღეს; სასამართლო განაჩენის ან გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლა, რომელიც სამუშაოს შესრულების შესაძლებლობას გამორიცხავს; დამსაქმებელი ფიზიკური პირის ან დასაქმებულის გარდაცვალება; დამსაქმებელი იურიდიული პირის ლიკვიდაციის წარმოების დაწყება; სხვა ობიექტური გარემოება, რომელიც ამართლებს შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტას.

ერთ შემთხვევაში, შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტისას დამსაქმებელი ვალდებულია არანაკლებ 30 კალენდარული დღით ადრე გააფრთხილოს დასაქმებული წინასწარი წერილობითი შეტყობინების გაგზავნით. ამასთანავე, დასაქმებულს მიეცემა კომპენსაცია არანაკლებ 1 თვის შრომის ანაზღაურების ოდენობით, შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტიდან 30 კალენდარული დღის ვადაში. ხოლო მეორე შემთხვევაში შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტისას დამსაქმებელი უფლებამოსილია არანაკლებ 3 კალენდარული დღით ადრე გააფრთხილოს დასაქმებული წინასწარი წერილობითი შეტყობინების გაგზავნით. ამ შემთხვევაში დასაქმებულს მიეცემა კომპენსაცია არანაკლებ 2 თვის შრომის ანაზღაურების ოდენობით, შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტიდან 30 კალენდარული დღის ვადაში **(საქართველოს 2010ა:).**

განვითარებად და ღარიბ ქვეყნებს უფრო მკაცრი შრომითი რეგულირების კანონები გააჩნათ, ვიდრე განვითარებულს. თუმცა, ისინი სთავაზობენ მშრომელებს უფრო ნაკლებ სოციალურ დაცვის მექანიზმებს, ვიდრე ამას განვითარებული ქვეყნები აკეთებენ **(Boeri...2008: 4).**

ამდენად ყველა ქვეყანას აქვს შრომის რეგულირების თავისებურებები. ქვეყნები განსხვავდებიან ეკონომიკური განვითარების მოდელებით: სოციალური საბაზრო მოდელის ქვეყნებში შრომითი რეგულირება ეროვნულ დონეზე ხორციელდება და კანონმდებლობასთან ერთად ტრადიციულ კოლექტიურ შრომით მოლაპარაკებებს ენიჭება უპირატესობა, ხოლო, საბაზრო ეკონომიკაზე ორიენტირებული ქვეყნების შრომითი ურთიერთობების რეგულირებაში საბაზრო ტენდენციებს, ბაზარზე ფირმების კონკურენტულობას და მათ ეფექტიან განვითარებას ეძლევა დომინანტური როლი.

ასევე, განვითარებული ქვეყნების შრომითი რეგულირების ეკონომიკური და სოციალური გარემო განსხვავდება განვითარებადი ქვეყნებისგან. ამ უკანასკნელში სუსტია კანონმდებლობის განხორციელება, დიდია არაფორმალური სექტორის წილი და განუვითარებელია კაპიტალის ბაზარი და სადაზღვევო სისტემები. ყოველივე ამას აქვს ორი მნიშვნელოვანი შედეგი: განვითარებული ქვეყნების მაგალითი არ შეიძლება პირდაპირ იქნეს გამოყენებული განვითარებად ქვეყნებში არსებული განსხვავებების მხედველობაში მიღების გარეშე. მეორეს მხრივ, მათი უგულებელყოფაც არ შეიძლება და იგი საორიენტაციო, სამიზნე წერტილს შეიძლება შეადგენდეს შრომის პოლიტიკის განხორციელებისას.

2.3. შრომის ბაზრის ფორმირების თავისებურებები საქართველოში

საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ ქვეყნებში შრომის ბაზრის ფორმირების რეჟიმს და თავისებურებებს რამდენიმე ძირითადი ფაქტორი განაპირობებდა: სახელმწიფოს მეტისმეტად გაზრდილი როლი, სახელმწიფო საკუთრების უაღრესად მაღალი წილი, სამუშაო ძალის მობილურობის შეზღუდვა, რეგულირებადი დასაქმება, ხელფასი და ა.შ.

პრაქტიკულად ყოველი პოსტსოციალისტური ქვეყნისა და, მათ შორის, საქართველოსთვის, საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის საწყის ეტაპზევე ერთ-ერთ უმთავრეს ამოცანას წარმოადგენდა სამუშაო ძალის ცენტრალიზებული განაწილების სისტემის გაუქმება, მისი შეცვლა სამუშაო ძალის თავისუფალი გადაადგილებით, უმუშევართა დახმარების ეფექტიანი სისტემის ფორმირება და დასაქმების აქტიური პოლიტიკის ღონისძიებების გატარება. ასევე, გადაუდებელ ამოცანას წარმოადგენდა ხელფასების ცენტრალიზებულად დადგენის წესის გაუქმება და კოლექტიური ხელშეკრულებების სისტემის დანერგვა.

საქართველოში სისტემური ხასიათის რეფორმები დაიწყო სრული ეკონომიკური კოლაფსის პირობებში. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ახლადფორმირებული ქვეყნის ეკონომიკა, ფაქტობრივად პარალიზებული აღმოჩნდა, რადგან იგი პარტნიორებისა და გასაღების ბაზრების გარეშე დარჩა. იმავდროულად, გაღრმავდა საფინანსო, რესურსული, სოციალური კრიზისები, ერთიმეორის მიყოლებით გამწვავდა ეთნოკონფლიქტები. ასეთ პირობებში ქვეყნის სამუშაო ძალა უფუნქციოდ და უპერსპექტივოდ დარჩა. იმის ნაცვლად, რომ სამუშაო ასაკში მყოფ ადამიანებს აქტიური მონაწილეობა მიეღოთ ქვეყნის აღმშენებლობაში, ისინი თვითონ აღმოჩდნენ სოციალურად დაუცველი მოსახლეობის კატეგორიაში.

საქართველოსაგან განსხვავებით, უმძიმეს სოციალურ-ეკონომიკურ პირობებშიც კი, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებმა ცივილიზებული შრომის ბაზრის ფორმირების ძირითადი ამოცანები სისტემური რეფორმების დაწყებიდან რამდენიმე წლის შემდეგ, მტკივნეულად, მაგრამ მაინც წარმატებით გადაჭრეს. რასაკვირველია, ამ

საქმეში დიდი როლი შეასრულა აღმოსავლეთ ევროპისა და ბალტიის ქვეყნების განსხვავებულმა ტრადიციებმა შრომისა და დასაქმების სფეროში – აქ პროფკავშირები საკმაოდ ძლიერი იყო და შრომის ბაზრის ფუნქციონირების გარკვეული მექანიზმიც არსებობდა. ასევე მნიშვნელოვანი იყო ის გარემოება, რომ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს მეტნაკლებად ნორმალური სასტარტო სოციალურ-ეკონომიკური დონე გააჩნდათ და, რაც მთავარია, მსოფლიო თანამეგობრობის მიერ გაწეული ფინანსური დახმარება მიზანმიმართულად იქნა გამოყენებული **(ლაცაბიძე...2016: 35-36).**

განსხვავებულ პირობებში აღმოჩნდა საქართველო. ხანგრძლივი ეკონომიკური სტაგნაცია, სოციალური პრობლემების გამწვავება, სისტემური რეფორმების გაჭიანურება მრავალ სხვა ფაქტორთან ერთად განაპირობებდა უძრაობას შრომის ბაზარზე. უფრო მეტიც, სტაგნაციით თვით შრომის ბაზრის ფორმირებაც ხასიათდება – როგორც სამუშაო ძალის ყიდვა-გაყიდვის პროცესის, ასევე ინსტიტუციონალური თვალსაზრისით. საქართველოსათვის საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ გამოცხადებული მხარდაჭერა და ეკონომიკური დახმარებები, მართალია, მასშტაბით აშკარად ჩამოუვარდებოდა აღმოსავლეთ ევროპისა და ბალტიისპირეთის ქვეყნებისათვის გაწეულ დახმარებას, მაგრამ იგი სავსებით საკმარისი იყო ჩვენი ქვეყნის წინაშე მდგარი უმწვავესი სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების გადასაწყვეტად მოკლე და საშუალოვადიან პერიოდში. რიგი ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზების გამო საერთაშორისო თანამეგობრობის ეკონომიკური დახმარებების დიდი ნაწილი სოციალური პრობლემების შერბილებას მოხმარდა (ან საერთოდ, არამიზნობრივად იქნა გამოყენებული) და არა ახალი სამუშაო ადგილების შექმნას, ან უკვე ფუნქციონირებადი საწარმოების რეაბილიტაციას. გასაგები მიზეზების გამო ამავე მიზნების რეალიზაციისათვის ვერ მოხერხდა შინაგანი რეზერვების აკუმულაცია (დაგროვების არარსებობის გამო). საბოლოოდ, მივიღეთ ხანგრძლივი და მასშტაბური სტაგნაცია ეკონომიკური საქმიანობის ყველა სეგმენტში, რაც ყველაზე ნეგატიურად შრომის ბაზრის ფორმირებაზე აისახა.

საქართველოში ერთობლივი სამუშაო ძალა, რაოდენობრივი პარამეტრების თვალსაზრისით, დემოგრაფიული ფაქტორებისა და გარე მიგრაციის ზეგავლენით საგრძნობლად გაუარესდა.

სამუშაო ძალის რაოდენობრივ-სტრუქტურული პარამეტრების გაუარესებასთან ერთად დაეცა სამუშაო ძალის ნაწილის კვალიფიციური დონის ამსახველი მახასიათებლები. ათეულ ათასობით კვალიფიციური სპეციალისტი სისტემატურად ან პერიოდულად მაინც იყო მოწყვეტილი შესაფერის სამუშაოს, მათი ნაწილი კი, იძულებული იყო, დაეწყო შრომითი საქმიანობა სხვა სფეროში. შედეგი ბუნებრივია, სავალალოა – ათიათასობით სპეციალისტმა შესაფერისი შრომითი სარბიელის გარეშე, ფაქტობრივად, სრული დეკვალიფიკაცია განიცადა და დაკარგა ათწლეულების განმავლობაში დაგროვილი ცოდნა და გამოცდილება (იაპონური და ზოგიერთი სხვა მაღალგანვითარებული ქვეყნების მენეჯმენტის პრაქტიკაში მიღებულია თეზა – თუ პიროვნება 5 წელზე მეტი ხნის განმავლობაში აღარ მუშაობს შესაფერის სამუშაოზე, იგი აღარ ითვლება ამ დარგის პროფესიონალად). რაც შეეხება დაკარგული პროფესიისა და კვალიფიკაციის სანაცვლოდ ახალი პროფესიისა და გამოცდილების შეძენის დადებით შედეგებს, ამაზე პასუხი ცალსახაა - ახალი პროფესია მხოლოდ მცირე ნაწილმა აითვისა. უმრავლესობისათვის შრომითი საქმიანობის საკვალიფიკაციო მაჩვენებლები გაუარესდა.

შრომის ბაზრის ფორმირებაზე უაღრესად ნეგატიურ ზეგავლენას ახდენდა სპეციალისტების მომზადების ქვეყანაში მოქმედი სისტემა. ათეულობით პროფესიის სამუშაო ძალაზე ეკონომიკის მოთხოვნის არარსებობის პირობებში, ყველა ტიპის სასწავლებელი (უპირველეს ყოვლისა უმაღლესი სასწავლებლები) ამზადებდა ათასობით ახალგაზრდას ,,პრესტიჟული“ სპეციალობების მიხედვით. თუ გავითვალისწინებთ, ერთი მხრივ, ეროვნულ მეურნეობაში სამუშაო ძალაზე არსებული მოთხოვნის მასშტაბებს და მისი ცვლილების თავისებურებებს და, მეორე მხრივ, მომზადებული სპეციალისტების რეალურ კონკურენტუნარიანობას, შეიძლება ითქვას, რომ უმაღლესი სკოლა, ფაქტობრივად, ‘‘დიპლომიან უმუშევრებს’’ ამზადებდა. უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დიპლომებით აღჭურვილი ახალგაზრდა სპეციალისტების დიდი ნაწილი სერიოზულ უარყოფით

ზეწოლას ახდენდა შრომის ბაზარზე. ბაზრის მხრიდან მოთხოვნადი სპეციალობის საფუძვლიანად მცოდნე ახალგაზრდები, მცირერიცხოვნობის გამო, შრომის ბაზრის საერთო სურათს სამუშაო ძალის მიწოდების თვალსაზრისით ვერ ცვლიდა **(ლაცა-ბიძე...2016: 36-38)**.

ქვეყანაში შექმნილმა მძიმე ეკონომიკურმა ვითარებამ, უმუშევრობამ, საწარმოთა ფინანსურმა მდგომარეობამ, ხელფასების თავისდროულმა გაუცემლობამ, პროფესიული მოძრაობის კრიზისმა და სხვა ნეგატიურმა მოვლენებმა, ერთგვარად ბიძგი მისცა არა-ფორმალური დასაქმების ზრდას.

საქართველოს, ისევე, როგორც სხვა დაბალგანვითარებული ქვეყნების, შრომის ბაზრის ერთ-ერთი თავისებურებაა არაფორმალური დასაქმების (თვითდასაქმებულები-სა და ე.წ. „ჩრდილოვანი“ დასაქმების) მაღალი წილი დასაქმებულთა საერთო რაოდენო-ბაში.

თვითდასაქმებულთა აბსოლუტური უმრავლესობა ეწევა არაფორმალურ, დაურე-გისტრირებელ საქმიანობას. არაფორმალური დასაქმების დიდი მასშტაბები საქართვე-ლოში განპირობებულია იმ რთული სოციალურ-ეკონომიკური პროცესებით, რომლებიც განვითარდა ქვეყანაში გასული საუკუნის 90-იან წლებში. არაფორმალური დასაქმების ზრდა რეალურად არის მოსახლეობის რეაქცია დასაქმების პირობების გაუარესებაზე, უმუშევრობის ზრდაზე, ცხოვრების დონის დაცემაზე და ა.შ. არაფორმალური დასაქმება კი უმეტესწილად არასრული და არაეფექტიანია, სოციალური დაცვის გარანტიების გა-რეშე. ოფიციალური სტატისტიკით, საქართველოში დასაქმებულთა თითქმის 2/3 თვითდასაქმებულია **(საქართველოს 2013: 199)**.

არაფორმალური დასაქმების ფენომენი არსებობს ყველა ქვეყანაში, თუმცა გააჩნია პროცენტულ მაჩვენებელს. მაგალითად, აშშ-ში თვითდასაქმებული ქვეყნის მოსახლეო-ბის მხოლოდ 7%-ია, 93% კი ფორმალიზებულია, როგორც მომსახურების, ისე რეალურ სექტორში. ევროპის ქვეყნებში ეს მაჩვენებელი დაახლოებით 15 %-მდეა, მაშინ როდესაც საქართველოში თვითდასაქმებულთა რაოდენობა 62-63%-ს აღწევს.

არაფორმალური დასაქმება გვიქმნის ილუზიურ წარმოდგენას, რომ ქვეყანაში უმუ-შევრობა დაბალია. არაფორმალურ დასაქმებულთა შემოსავალი, დაქირავეული დასაქ-მებულების შემოსავალზე 3-ჯერ დაბალია. 60 თვითდასაქმებულის საერთო შემოსავალი

იმდენია ჯამში, რაც 20-22 დაქირავებულისა. ამით სტატისტიკას ვაუმჯობესებთ, მაგრამ არ ვაუმჯობესებთ შესაბამისი ოჯახების შემოსავლებს" **(არჩვაძე 2016:).**

ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დაჩქარებისა და არსებული სოციალური პრობლემების გადაჭრისათვის უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს მოსახლეობის დასაქმების ხელშეწყობას, როგორც ბიზნეს-გარემოს სრულყოფის, ისე შრომის ბაზრის ეფექტიანი ფუნქციონირებისათვის საჭირო ღონისძიებების გატარების გზით. ეს უკანასკნელი სახელმწიფოს ერთ-ერთი ძირითადი ფუნქცია და მოვალეობაა **(საქართველოს 2013: 199).**

საქართველოს შრომის ბაზრის ეფექტიანი ფუნქციონირების სახელმწიფო მხარდაჭერის აუცილებლობა განპირობებულია შემდეგი ობიექტური გარემოებებით:

- შრომის ბაზარი არ არის თვითრეგულირებადი სისტემა და მას არ შესწევს უნარი, ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების მოთხოვნებიდან გამომდინარე, უზრუნველყოს შრომითი პოტენციალის რაციონალური გამოყენება და განვითარება, მოსალოდნელ სტრუქტურულ ცვლილებებთან ადამიანური რესურსების დროულად მორგება, სამუშაო ძალაზე მოთხოვნა-მიწოდებას შორის ოპტიმალური თანაფარდობის დაცვა, ეკონომიკური დაცემის პერიოდში დასაქმების სტაბილიზაცია, უმუშევრობის ზრდის შეჩერება და ა.შ.;
- სტიქიურად განვითარებადი შრომის ბაზარი ვერ უზრუნველყოფს დასაქმების სფეროში სოციალური სამართლიანობის პრინციპების დაცვას, სამუშაოს მაძიებელთათვის დასაქმების თანაბარი შესაძლებლობების შექმნას, განსაკუთრებით საზოგადოების იმ ჯგუფებისათვის, რომლებიც შრომის ბაზარზე დაბალ კონკურენტუნარიანები არიან და სახელმწიფოს მხრიდან განსაკუთრებულ მხარდაჭერას საჭიროებენ;
- შრომის ბაზარი თავისთავად ვერ არეგულირებს უმუშევრობის დონის შენარჩუნებას სოციალურად დასაშვებ დონემდე, არ გააჩნია მოქალაქეთა შრომის უფლებების თანაბარი რეალიზაციის მექანიზმი და ვერ უზრუნველყოფს უმუშევართა სოციალურ დაცვას.

აღნიშნულ ამოცანათა გადაჭრა შესაძლებელია მხოლოდ შრომისა და დასაქმების სფეროში მიზანმიმართული სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებითა და გატარებით. ამ

პოლიტიკის საბოლოო მიზანი კი უნდა იყოს შრომის ბაზრის ეფექტიანი ფუნქციონირების, ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ხელშეწყობა.

ბოლო წლებში საქართველოში აღნიშნული პრობლემების შემსუბუქებისა და მოგვარების კუთხით გადაიდგა რიგი ნაბიჯები, კერძოდ:

- მიღებულ იქნა საქართველოს მთავრობის დადგენილება №199 (2013 წლის 2 აგვისტო ქ. თბილისი), საქართველოს შრომის ბაზრის ფორმირების სახელმწიფო სტრატეგიისა და საქართველოს შრომის ბაზრის ფორმირების სახელმწიფო სტრატეგიის რეალიზაციის 2015-2018 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ **(საქართველოს 2013:);**
- მიღებულ იქნა საქართველოს მთავრობის დადგენილება №733 (2014 წლის 26 დეკემბერი, ქ. თბილისი), შრომის ბაზრის საინფორმაციო სისტემის დანერგვისა და განვითარების კონცეფციისა და მისი განხორციელების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ **(საქართველოს 2014ა:);**
- მიღებულ იქნა საქართველოს მთავრობის დადგენილება №721 (2014 წლის 26 დეკემბერი, ქ.თბილისი), საქართველოში უწყვეტი პროფესიული კონსულტირებისა და კარიერის დაგეგმვის საყოველთაოდ ხელმისაწვდომი მომსახურების განვითარების კონცეფციისა და მისი განხორციელების 2015-2017 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ **(საქართველოს 2014ბ:);**
- მიღებულ იქნა საქართველოს მთავრობის დადგენილება №248, (2015 წლის 2 ივნისი, ქ.თბილისი), შრომის ბაზრის ანალიზისა და საინფორმაციო სისტემის დანერგვისა და განვითარების სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ **(საქართველოს 2015გ:);**
- მიღებულ იქნა საქართველოს მთავრობის დადგენილება №167, (2016 წლის 4 აპრილი, ქ.თბილისი), შრომის ბაზრის აქტიური პოლიტიკის სტრატეგიისა და მისი განხორციელების 2016-2018 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ **(საქართველოს 2016ა:);**
- „დაგეგმე მომავალი“ - ამ სახელწოდებით დასაქმების მიმართულებით ინოვაციური მექანიზმი - შრომის ბაზრის საინფორმაციო სისტემა (www.labour.gov.ge) შეიქმნა;
- გარკვეული პოზიტიური ცვლილებები შევიდა საქართველოს შრომის კოდექსში;

ქვეყანაში შრომის ბაზრის მწვავე პრობლემების გადაჭრის აუცილებლობიდან გამომდინარე, შეიქმნა შრომის ბაზრის საკითხებზე მომუშავე გარკვეული პასუხისმგებელი სტრუქტურები: საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალურ დაცვის სამინისტროს შრომისა და დასაქმების პოლიტიკის დეპარტამენტი და ასევე სოციალური მომსახურების სააგენტოს ბაზაზე ჩამოყალიბდა დასაქმების პროგრამების დეპარტამენტი.

უნდა აღინიშნოს, რომ შრომის ბაზრის აქტიური პოლიტიკის წარმატებით განხორციელებისათვის შრომის ბაზრის ინფორმაციისა (labour market information (LMI)) და შრომის ბაზრის საინფორმაციო სისტემის (Labour Market Information System (LMIS)) არარსებობა ერთ-ერთ მნიშვნელოვან ბარიერს წარმოადგენს. შესაბამისად, შრომის ბაზრის საინფორმაციო სისტემის კონცეფცია და მისი განხორციელების სამოქმედო გეგმა, ევროკავშირის მიერ დასაქმების, პროფესიული განათლებისა და გადამზადების პროგრამის დაფინანსების წინაპირობად იქნა მიჩნეული.

ხელისშემშლელი ფაქტორების ანალიზმა (Constraints Analysis), რომელიც მთავრობამ ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციასთან (MCC) ერთად ჩაატარა, აჩვენა, რომ ადგილობრივ სამუშაო ძალას არარელევანტური კვალიფიკაციები გააჩნია და არ აქვს ის უნარები, რომელიც ყველაზე მეტად მოთხოვნადია შრომის ბაზარზე. იგივე მიგნება ჩანს გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსის (Global Competitiveness Index) ანგარიშშიც, რომლის მიხედვითაც საქართველოში სათანადო განათლების არმქონე სამუშაო ძალა ბიზნესისათვის აქტუალობით მეორე პრობლემაა.

ზემოთ აღნიშნული სამოქმედო გეგმის ფარგლებში განხორციელდა, შემდეგი სახის მნიშვნელოვანი ღონისძიებები:

ა. მოსახლეობის საყოველთაო აღწერა, რომელიც სსიპ - საქართველოს სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა (საქსტატი) ჩაატარა და საქართველოს მთლიანი მოსახლეობა მოიცვა;

ბ. Worknet – შეიქმნა სამუშაოს მაძიებელთა და ვაკანსიების ონლაინ მონაცემთა ბაზა, რომელსაც დასაქმების სამსახური/სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო მართავს (www.worknet.gov.ge) და მოიცავს სამუშაოს ყველა იმ მაძიებელს, რომელმაც გა-

დაწყვიტა სახელმწიფო დასაქმების სამსახურის მიერ მართულ მონაცემთა ბაზაში დარეგისტრირება;

გ. შეიქმნა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროფესიული განათლების მონაცემთა ბაზა (www.emis.gov.ge), რომელიც მოიცავს ყველა საჯარო პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებას და იმ კერძო სასწავლებლებს, რომელთაც თავად გადაწყვიტეს დარეგისტრირება, ასევე პროფესიული სასწავლებლების ყველა მოსწავლეს და ყველა მასწავლებელს;

(ა) და (გ) პუნქტებში აღწერილი წყაროები ძირითადად შრომის ბაზრის მიწოდების მხარეზე იძლევა ინფორმაციას, ხოლო (ბ) პუნქტში აღწერილ წყაროს, Worknet-ს აქვს შესაძლებლობა მოიცვას როგორც მოთხოვნის, ასევე მიწოდების მხარე.

2013 წლის დეკემბერში დაიწყო ფუნქციონირება დასაქმების ელექტრონულმა პორტალმა http://www.worknet.gov.ge, რომლის მიზანი და ამოცანებია: შრომის ბაზრის ინფრასტრუქტურის განვითარება, უმუშევრობის დონის შემცირება, შრომის ბაზრის მოთხოვნების და ძირითადი ტენდენციების გამოვლენა, სამუშაო ძალის სტრუქტურის და უნარ-ჩვევების გაანალიზება, პროფესიული განათლების და ტრენინგების პოპულარიზაცია; შრომის ბაზრის ინფრასტრუქტურის ფორმირება/განვითარება სამუშაოს მაძიებელთათვის სამუშაოს მოძიების სერვისების ხარისხის გასაუმჯობესებლად, შრომის ბაზრის შესახებ ინფორმაციის გაუმჯობესება შრომის ბაზრის ანალიზის ინსტიტუციონალიზაციისა და შრომის ბაზრის მონაცემთა ბაზის შექმნის საშუალებით; შრომის ბაზარზე მოთხოვნა-მიწოდებას შორის არსებული დისბალანსის მინიმუმამდე დაყვანა და ეფექტური საშუამავლო მომსახურების უზრუნველყოფა.

შრომის ბაზრის საინფორმაციო პორტალი სრულებით განსხვავებულია აქამდე არსებული დასაქმების პროგრამებისგან, რადგან უპირატესობა ენიჭება არა რეგისტრაციას, არამედ, საქართველოს მასშტაბით, შრომის ბაზრის შესახებ ინფორმაციის მოპოვებასა და ანალიზს. ახალი საინფორმაციო პორტალი წარმოადგენს შრომის ბაზარზე მიმდინარე პროცესების ერთიან სტატისტიკურ-ანალიტიკურ სისტემას, რომელიც განვითარების, პროგნოზირებისა და ძირითადი ტენდენციების გამოვლენის საშუალებას იძლევა **(ჩარკვიანი 2016:).**

სოციალური მომსახურების სააგენტოს, დასაქმების პროგრამების დეპარტამენტის წლიური ანგარიშის თანახმად, დასაქმებულთა დინამიკა ბოლო წლების განმავლობაში ასეთია: 2014 წელს დასაქმდა - 387 სამუშაოს მაძიებელი, 2015 წელს - 349 სამუშაოს მაძიებელი, ხოლო 2016 წელს კი - 670 სამუშაოს მაძიებელი, მათ შორის 58 - შშმპ. შრომის ბაზრის მართვის საინფორმაციო სისტემაში - www.worknet.gov.ge-ზე, 2016 წელს რეგისტრაცია გაიარა 9 929 სამუშაოს მაძიებელმა. დასაქმების პორგრამების დეპარტამენტი მათ სხვადასხვა სერვისს სთავაზობს - ინდივიდუალური და ჯგუფური კონსულტირება, პროფესიული კონსულტირება და კარიერის დაგეგმვა, ასევე მხარდაჭერითი დასაქმების კონსულტირება შშმპ-ებისთვის. ასევე სისტემას დაემატა ახალი ფუქნცია: აქ უკვე რეგისტრირდებიან დამსაქმებლებიც, რომლებიც წარმოადგენენ არსებულ ვაკანსიებს. პორტალზე უკვე დარეგისტრირდა 225 დამსაქმებელი, თუმცა ჯამში სააგენტო 597 დამსაქმებელ ორგანიზაციასთან თანამშრომლობს **(სოციალური 2016:).**

უნდა აღინიშნოს, რომ ზემოთ მოცემული მონაცემი დასაქმებულთა რაოდენობის შესახებ, უმუშევრობის მწვავე პრობლემის დაძლევაში მინიმალური წვლილის მქონეა, ამიტომ სახელმწიფომ სხვადასხვა გადაწყვეტილებებით თუ პროექტებით უნდა შექმნას გარემო, რომელშიც სამუშაო ადგილებს ქმნის არასაჯარო სექტორი, არამედ კერძო სექტორი. ასევე მოცემული მონაცემების მიხედვით გამოიკვეთა, რომ სამუშაო ადგილების დეფიციტის დაძლევა პორტალის (Worknet) მიზანი არ ყოფილა და მისი ერთ-ერთ ძირითადი ამოცანა სამუშაოს მაძიებელთა და დამსაქმებელთა შორის ინფორმაციის გაცვლაა. თუმცა, ქვეყანაში აღნიშნული პორტალის (Worknet) შექმნამდეც კი, არსებული ვაკანსიების შესახებ საჭირო ინფორმაციის მოპოვება დასაქმების მსურველთათვის არანაირ პრობლემას არ წარმოადგენდა, რადგან საქართველოში დასაქმების არაერთი პორტალი ფუნქციონირებს. ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ შრომის ბაზრის საინფორმაციო პორტალის შექმნა და დანერგვა არსებით გავლენას ვერ ახდენს უმუშევრობის დონის შემცირების საკითხში, რაც რეალურად მისი ერთ-ერთი ამოცანა და მიზანია. შესაბამისად მიმაჩნია, რომ შრომის ბაზარზე მისი შექმნით არსებითად არაფერი შეცვლილა.

უახლოეს წარსულში ქვეყანაში არსებული მწვავე ისტორიული, პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური ფონიდან გამომდინარე, პროფესიული კონსულტირება

ყურადღების მიღმა დარჩა. განვითარებულმა ქვეყნებმა და განვითარებადი ქვეყნების დიდმა ნაწილმა უკვე მკაფიოდ გააცნობიერეს, რომ სახელმწიფო პროგრესის მთავარი დასაყრდენი ადამიანური კაპიტალია, ამიტომ დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ, ერთის მხრივ, ადამიანური რესურსების დაგეგმვას, და მეორეს მხრივ, ადამიანური რესურსების განვითარებისათვის მდგრადი პირობების შექმნას. ამ მიზნის მისაღწევად კი პროფესიული კონსულტაციისა და კარიერის დაგეგმვის როლი განუზომლად დიდია. ამ მიმართულებით ქვეყანა რამოდენიმე დიდი გამოწვევის წინაშე დგას: ინფორმირებულობა - კონსულტაციისა და კარიერის დაგეგმვის მნიშვნელობა ქვეყანაში სათანადოდ არ არის გაცნობიერებული. ამასთანავე, დაბალია საზოგადოების ინფორმირებულობა მიმდინარე და განხორციელებული პროფესიული კონსულტაციისა და კარიერის გაგემვის პროექტებზე; კვალიფიციური კადრების სიმცირე და პროფესიული კონსულტაციისა და კარიერის დაგეგმვის მოსამზადებელი საუნივერსიტეტო პროგრამების არ არსებობა და ტრენინგ-პროგრამების სიმწირე; მეთოდოლოგიური ლიტერატურის ნაკლებობა; შეფასების სისტემის არარსებობა ან/და სიმწირე; კვალიფიციური პროფესიული კონსულტაციისა და კარიერის დაგეგმვის მომსახურების სიმწირე ან არარსებობა.

ევროპის განვითარებული და განვითარებადი სახელმწიფოები ევროკავშირის ხელშეწყობით 2007 წლიდან ჩართულნი არიან უწყვეტი განათლების პროგრამაში (Life-long Learning Program), რომლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან კომპონენტს უწყვეტი პროფესიული კონსულტირება და კარიერის დაგეგმვის განვითარება წარმოადგენს.

უწყვეტი პროფესიული კონსულტაცია და კარიერის დაგეგმვა ერთმანეთთან აკავშირებს: ადამიანის რესურსსა და ამ რესურსის ნაყოფიერად გამოყენების შესაძლებლობას; შრომის ბაზრის მოთხოვნებსა და ამ მოთხოვნების დაკმაყოფილების შესაძლებლობას; დამსაქმებელსა და სამუშაოს მაძიებელს; პროფესიასა და (მომავალ) პროფესიონალებს; საგანმანათლებლო შესაძლებლობებსა და განათლების მსურველებს. უწყვეტი პროფესიული კონსულტირება და კარიერის დაგეგმვა ემსახურება ერთის მხრივ, სახელმწიფოს ინტერესებს და მეორე მხრივ, თითოეული მოქალაქის ინდივიდუალურ ინტერესს.

შრომის ბაზრის აქტიური პოლიტიკის სტრატეგიისა და მისი განხორციელების მიზანია საქართველოში შრომის ბაზრის აქტიური პოლიტიკის შემუშავება, რომელიც მი-

მართული იქნება მოსახლეობის შრომით ინტეგრაციაზე, პროდუქტიული დასაქმებისა და შემოსავლის გენერირების შესაძლებლობების გაზრდაზე, განსაკუთრებული აქცენ-ტით შრომის ბაზარზე არსებულ მოწყვლად ჯგუფებზე, როგორებიც არიან ახალგაზრ-დები, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები და ა.შ.

შრომისა და დასაქმების პოლიტიკის ფორმირების სახელმწიფო სტრატეგიისა და მისი რეალიზაციის 2015-2018 წლების სამოქმედო გეგმით გათვალისიწინებული აქტი-ვობების შესრულების ფარგლებში საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოცია-ლური დაცვის სამინისტრომ განახორციელა შრომის ბაზრის საინფორმაციო სისტემის დანერგვა **(შრომის 2016: 2).**

შრომის ბაზრის საინფორმაციო სისტემა - „ერთი ფანჯრის" პრინციპზეა შექმნილი და შშმ პირებზე სრულად არის ადაპტირებული. საჯარო ვებ-პორტალი მომხმარებლე-ბისთვის ქვეყანაში შრომის ბაზრის ტენდენციებზე, კარიერულ დაგეგმვასა და მოთხოვ-ნად პროფესიებზე განახლებული ინფორმაციის მიწოდებას უზრუნველყოფს. სისტემა მომხმარებელს ინფორმაციის გაანალიზებასა და პრაქტიკაში გამოყენების შესაძლებლო-ბას აძლევს.

მისი მეშვეობით, მაძიებლები სამუშაო პერსპექტივებზე, მოთხოვნად პროფესიებსა და ეკონომიკური სექტორების მიხედვით, დასაქმების შესაძლებლობებზე მიიღებენ ინ-ფორმაციას. დამსაქმებლები შრომის ბაზარზე სამუშაო ძალის მიწოდებისა და სექტორე-ბის მიხედვით ბიზნესის განვითარების შესაძლებლობებს გაეცნობიან. ასევე განათლე-ბის პროვაიდერები შრომის ბაზრის მოთხოვნასა და საჭირო უნარებზე მიიღებენ ცნო-ბებს **(საქართველოს 2016:).**

2013 წელს საქართველოს შრომის კოდექსში მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორ-ციელდა. ცვლილებებმა ახლებურად დაარეგულირა დამსაქმებლისა და დასაქმებუ-ლის ურთიერთობა. ცვლილებების შედეგად გაიზარდა დასაქმებულთა უფლებები; მოხდა დამსაქმებელთა და დასაქმებულთა ინტერესების დაბალანსება; განისაზღვრა ხელშეკრულების შეწყვეტის, ზეგანაკვეთური შრომის ანაზღაურების, ვადიანი და უვადო შრომითი ხელშეკრულებების დადების წესები; ინდივიდუალურ და კოლექ-ტიურ შრომით დავებთან დაკავშირებით დაწესდა ახალი რეგულაციები. გარდა

ამისა, ცვლილებების საფუძველზე გაიზარდა სოციალური პარტნიორობის სამმხრივი კომისიის როლი **(საქართველოს 2010ა:)**.

საქართველოში მოქმედებს საქართველოს კანონი პროფესიული განათლების შესახებ, რომლის მიზანია ქვეყანაში პროფესიული განათლების ფუნქციისა და ადგილის განსაზღვრა, პროფესიული განათლების სისტემის შექმნა, რომელიც დააკმაყოფილებს სწრაფად და მუდმივად ცვალებად შრომის ბაზრის მოთხოვნებს **(საქართველოს 2007ა:)**.

პროფესიულ განათლებასთან დაკავშირებით საქართველოს მთავრობის ინიციატივით, რეფორმები უნდა განხორციელდეს განათლების სისტემაში და უნდა დაინერგოს განათლების გერმანული მოდელი, რათა პროფესიული განათლების ეფექტიან სისტემას მეტი ყურადღება დაეთმოს.

რეფორმის თანახმად, სახელმწიფო რესურსი უმაღლეს განათლებაში კონკრეტული ინდუსტრიების მოთხოვნების გათვალისწინებით განაწილდება.

აღნიშნული რეფორმა შრომის ბაზარზე და საქართველოში არსებულ მოთხოვნებზე ორიენტირებული პროფესიული და უმაღლესი განათლების სისტემის ჩამოყალიბებას გულისხმობს. პროფესიული განათლების გერმანული მოდელი და დუალური სისტემა არის სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს დასახული მიზნის მიღწევას. "დუალური მოდელი“ გულისხმობს დამსაქმებლის ჩართულობით საგანმანათლებლო პროცესის წარმართვას, საწარმოო პრაქტიკის კომპონენტის გაძლიერებას, შრომის ბაზარზე ორიენტირებული მიმართულებების/პროფესიების გამოკვეთასა და განხორციელებას, რაც საბოლოო ჯამში სტუდენტების დასაქმებას უზრუნველყოფს.

რეფორმის ფარგლებში, უმაღლესი განათლების შრომის ბაზრის მოთხოვნებთან დაახლოება განხორციელდება, რაც გულისხმობს სახელმწიფოს რესურსების მიმართვას ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისთვის აუცილებელი პრიორიტეტული პროფესიების დასაუფლებლად. მნიშვნელოვანია, რეფორმამ უზრუნველყოს სტუდენტების დასაქმების მაჩვენებლის ზრდა შესაბამისი პროფესიების მიხედვით.

წლებია საქართველოს მთავრობა ხარჯავს მნიშვნელოვან ფინანსურ რესურსს იმისათვის, რომ ყოველწლიურად გამოუშვას უმაღლეს დამთავრებული ახალგაზრდების, ის რაოდენობა, რომელიც სრულად ვერ საქმდება. განათლების სამისნისტროს ინფორმაციით 40%-ზე ნაკლებია უმაღლეს სასწავლებელ დამთავრებულთა დასაქმების წილი და

თან ყოველთვის ვერ საქმდებიან იმ პროფესიით, რასაც 4 წლის განმავლობაში სწავლობენ. ხოლო დარჩენილი 60% იმ ადამიანებისა, რომელსაც სახელმწიფო სრულად ან ნაწილობრივ, თანადაფინანსების სახით აფინანსებს, სწავლის დასრულების შემდგომ საერთოდ ვერ საქმდებიან.

შესაბამისად მიგვაჩნია, რომ სანამ შრომის ბაზარზე არსებული მოთხოვნის შესაბამისად არ მოხდება როგორც უმაღლეს საგანამანათლებლო დაწესებულებებში, ასევე პროფესიულ სასწავლებლებში შესაბამისი სპეციალობისა და კვალიფიკაციის კადრების მომზადება, სახელმწიფოს მიერ გწეული ხარჯები იქნება არაეფექტური და ხშირ შემთხვევაში არამიზნობრივი.

საქართველოში პროფესიული განათლების პოპულარიზაციასთან დაკავშირებით, მნიშვნელოვანია ვისაუბროთ ირლანდიაში შეგირდობაზე, სადაც სრული საშუალო განათლება 3 სახისაა: ზოგადი საშუალო (გიმნაზია), პროფესიული (IVET) და გამოყენებითი პროფესიული განათლება. პირველი ორი ტიპი შედგება ძირითადი საგნების ჯგუფისგან, და ადამიანს შეუძლია არჩევანი გააკეთოს აკადემიურსა ან პროფესიულ საგნებს შორის. შერეული ტიპის პროგრამა ორივეს კომბინაციაა. გამოყენებითი პროფესიული განათლების სტუდენტს არ შეუძლია უმაღლეს სასწავლებელში ჩაბარება ან უფრო ტექნიკური ტიპის შეგირდად გადასვლა.

შეგირდობის პროგრამის სასწავლო გეგმა ეფუძნება წინასწარ განსაზღვრულ სტანდარტებს, რომელსაც ინდუსტრია განსაზღვრავს. შეგირდებს, კურსის წარმატებით დასრულების შემდეგ გადაეცემათ ეროვნული პროფესიული ჩარჩოს მეექვსე დონის უმაღლესი სერტიფიკატი, რომელიც აღიარებულია საერთაშორისო დონეზე, როგორც ოსტატის სტატუსის ერთ-ერთი მოთხოვნა ან როგორც ევროპული კვალიფიკაციების ჩარჩოს მეხუთე დონე.

შეგირდობა ირლანდიაში ისევე როგორც სხვა ქვეყნებში არის სისტემა, რომელიც ეფუძნება სწავლების დუალურ მიდგომას. იგი აერთიანებს საწარმოში სამუშაო ადგილზე სწავლებასა და კოლეჯში ან სასწავლო ცენტრში საკლასო ოთახში სწავლებას. ხშირ შემთხვევაში ეს ან კოლეჯია ან გადამზადების ცენტრი. ამ სისტემების ძირითადი სარგებელი შემდეგში მდგომარეობს: საწარმოების, განათლებისა და გადამზადების პროვაიდერებს შორის უკეთესი თანამშრომლობის ხელშეწყობა; პროგრამების შემუშავებასა და

შეფასებაში საწარმოს წამყვანი როლის უზრუნველყოფა; კომპანიების კონკურენტუნარიანობის გაუმჯობესება; მოსახლეობის ფართო სეგმენტისათვის წარმატებული კარიერის შესაძლებლობების შექმნა; თეორიული სწავლების, განათლებისა და გადამზადების დაწესებულებებში პრაქტიკულ გამოცდილებაზე და რეალურ სამუშაო გარემოზე დაფუძნებული სწავლების პროცესის უზრუნველყოფა; იდეალური სასწავლო გარემოს უზრუნველყოფა მათთვის, ვინც უკეთესად სწავლობს პრაქტიკულ გამოცდილებაზე დაყრდნობით.

მონაცემები მოწმობს, რომ ძლიერი პროფესიული განათლებისა და შეგირდობის სისტემის მქონე ქვეყნებში ახალგაზრდობის უმუშევრობის მაჩვენებელი გაცილებით დაბალია, ვიდრე იმ ქვეყნებში, სადაც სამუშაო ადგილზე დაფუძნებული სწავლების სისტემა არ არის განვითარებული. სავარაუდო უპირატესობები საზოგადოებისთვის ბევრია: მეტი გადასახადების აკრეფა, კეთილდღეობისთვის ნაკლები ხარჯი, მოხმარების ზრდა, უფრო აქტიური მონაწილეობა საზოგადოებრივ ცხოვრებაში და ა.შ.“ **(ბროშურა 2016:18-20).**

შრომის ბაზრის საინფორმაციო სისტემის კონცეფციისა და შესაბამისი სამოქმედო გეგმის დამტკიცების შემდეგ, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ, 2015 განხორციელდა შრომის ბაზრის მოთხოვნის კომპონენტის კვლევა. რომლის მთავარ მიზანს შრომის ბაზარზე არსებული მოთხოვნისა და სტრუქტურული შეუსაბამობების შესწავლა წარმოადგენდა. კვლევა მოიცავდა 6000 კომპანიას, ძირითადად მიკრო (75%) და მცირე საწარმოებს (19%). დასაქმების სტრუქტურის მიხედვით, იგი მოიცავდა სერვისებს (78%), ინდუსტრიასა (20%) და სოფლის მეურნეობას (2%) **(საქართველოს 2016ა: 167)**

ჩატარებული კვლევის შედეგად გამოკვეთილია ეკონომიკურ საქმიანობათა პრიორიტეტული სახეები: განათლება, ვაჭრობა; ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტი, ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებელთა მომსახურება, მშენებლობა და ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება ის ეკონომიკური სფეროებია, სადაც დღესდღეობით დაქირავებით დასაქმებულთა ყველაზე მაღალი წილი მოდის. დაქირავებით დასაქმებულთა ყველაზე მცირე რაოდენობა აღმოჩნდა ტყავის, ტყავის ნაწარმისა და ფეხსაცმლის წარმოების, თევზჭერა-

მეთევზეობის, სათბობ-ენერგეტიკული სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების სფეროში. კვლევის ავტორთა აზრით, ზემოაღნიშნული მოწმობს იმას, რომ ამ დარგებში შრომის ძალაზე მოთხოვნა საგრძნობლად ნაკლებია.

ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებელთა მომსახურება და მშენებლობის სფერო მოწინავე პოზიციებს იკავებს როგორც ორგანიზაციათა რაოდენობის კუთხით, ასევე დასაქმებულთა რაოდენობის მხრივ.

ცხრილი №4

დასაქმებულთა რაოდენობრივი განაწილება დამსაქმებულთა მხრიდან მოთხოვნილი განათლების აუცილებელი დონის მიხედვით

№	განათლების დონე	სულ დასაქმებული	უმაღლესი	საშუალო	პროფესიული	არ ვიცი
1	დასაქმებულთა რაოდენობა	908,374	451,237	290,109	133,165	33,862
2	დასაქმებულთა (%) წილი	100%	49.68	31.94	14.66	3.73

წყარო: ცხრილი შედგენილია ავტორის მიერ, სამინისტრო კვლევის შედეგებზე დაყრდნობით.

მოცემული მონაცემების მიხედვით ორგანიზაციებში დაკავებულ პოზიციებზე ყველაზე მეტად წარმოდგენილები არიან უმაღლესი განათლების, საშუალო განათლების და პროფესიული განათლების მქონე ადამიანები, ხოლო 33 862 დასაქმებულის შემთხვევაში დამსაქმებლებს გაუჭირდათ კონკრეტული პოზიციისთვის მინიმალური საკვალიფიკაციო დონის დასახელება **(საქართველოს 2015ე: 10).**

პროფესიული განათლების მხრივ, დაფიქსირდა პროფესიონალი ექთნების დასაქმების მაღალი მაჩვენებელი. პროფესიული განათლების მქონე კადრების მიერ ყველაზე ხშირად დაკავებული პოზიციები თითქმის მსგავსია უმაღლესი განათლების მქონე კადრების მიერ დაკავებული პოზიციებისა და მოიცავს: პროფესიონალ ექთნებს, ბუღალტრებს, პედაგოგებისა და ფარმაცევტის პოზიციებს. საშუალო განათლების მქონე ადამიანები დასაქმებულები არიან იმ პოზიციებზე, რომლებიც დაკავშირებულია ძირითადად ფიზიკური სამუშაოების შესრულებასთან.

საქართველოში უცხოური სამუშაო ძალის დასაქმების მაჩვენებელმა შეადგინა 5,578 კაცი. უცხოური სამუშაო ძალის მიერ დაკავებულ პოზიციებზე მოთხოვნადია საშუალო და პროფესიული განათლების დონე. უცხოური მუშახელი ყველაზე ხშირად წარმოადგენილია შემდეგ პოზიციებზე: სამოქალაქო მშენებლობის დამწყები კვალიფიკაციის მქონე მუშახელი, ავტომობილების მექანიკოსები და შემკეთებლები, მმართველი დირექტორები და მთავარი აღმსარულებელი პირები.

საქართველოში დამსაქმებელთა მიერ კადრების მოძიების ძირითად წყაროს, კვლავ წარმოადგენს არაფორმალური კავშირები, რაც საერთო რაოდენობის 60%-ს შეადგენს.

მნივნელოვანია აღინიშნოს რომ, სპეციფიკური ცოდნის პრობლემა, ძირითადად, გამოიკვეთა შემდეგ პოზიციებზე: ექსპორტის და გაყიდვების მენეჯერი, ფინანსისტი, მექანიკოსები და ინჟინერ მექანიკოსები, ბაქტერეოლოგი, დიზაინერი, ფარშის ოპერატორი, ფენოვანი ცომის და კრუასანის ოსტატი, სკუტერის ოსტატი, შებოლვის ოსტატი, ელექტრიკოსი, მექანიკოსი, ინჟინერი, მანქანა-დანადგარების ოპერატორი, CISCO-ს სპეციალისტ და გრაფიკოს დიზაინერი.

ასევე გამოიკვეთა, რომ მაღალია უმაღლესი განათლების მქონე ადამიანთა დასაქმების მაჩვენებელი, განსაკუთრებით საჯარო სამსახურში. თუმცა, დაბალია უმაღლესი განთლების საჭიროებებზე მორგებული სამუშაო ადგილების გენერაციის დონე. რაც მეტყველებს იმაზე, რომ უმაღლესი განათლების მოთხოვნის მქონე სამუშაო ადგილები გაჯერებულია სამუშაო ძალით.

იქედან გამომდინარე, რომ უმაღლესი განათლების მქონე ადამიანების რაოდენობა აღემატება მათ განათლებასა და კვალიფიკაციაზე მორგებულ სამუშაო ადგილების რაოდენობას. შესაბამისად, ქვეყანაში განსაკუთრებით მაღალია უმაღლესი განათლების მქონე ადამიანების უმუშევრობის მაჩვენებელი.

მიუხედავად ქვეყანაში დღეს არსებული უმუშევრობის მაღალი დონისა, დამსაქმებლები ხშირ შემთხვევაში, ვერ ახერხებენ შესაბამისი უნარების მქონე კადრების მოძიებას, რომლის უმთავრეს მიზეზს წარმოადგენს შესაბამისი განათლების, კვალიფიკაციის, ასევე სოციალურ-ემოციური უნარების არქონა, რაც დაკავშირებულია ლიდე-

რობასთან, კრიტიკულ აზროვნებასთან და სხვა ფაქტორებთან **(საქართველოს 2015ე: 12,27,29,31,32, 55,56).**

ანალიზის შედეგად გაირკვა, რომ 2012 წლიდან 2015 წლის ჩათვლით ვაკანსიების მზარდი ტენდენცია შეინიშნება. 2015 წელს 9 754 ვაკანსია გამოცხადებული იყო გაყიდვების სფეროს მუშაკებზე და 5 648 ვაკანსია ბიზნესის ადმინისტრირების სფეროსთან დაკავშირებულ სპეციალისტებზე **(იხ.დანართი N2).**

ეკონომიკურ საქმიანობათა კლასიფიკატორის მიხედვით, 2015 წელს ყველაზე მეტი ვაკანსია 10 327 გამოცხადდა საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილების და მოტოციკლების რემონტი, 8896 ვაკანსია გამოცხადებული იყო ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობებზე **(იხ.დანართი N3).**

საერთო ჯამში, დასაქმების მაჩვენებლისა და ვაკანსიების რაოდენობის ცვლილება წარმოადგენს კონკრეტული პროფესიების მიხედვით დასაქმების პერსპექტივებს. ვაკანსიების მატება ან კლება პირდაპირ აისახება მოთხოვნასა და მიწოდებაზე **(შრომის 2016: 16).**

შეიძლება ითქვას, რომ ქვეყანაში გამოიკვეთა შემდეგი ძირითადი ტენდენციები და მიმართულებები, კერძოდ: გამოიკვეთა, რომ ქვეყანაში დასაქმების მხრივ, მთავარ ეკონომიკურ სფეროს წარმოადგენს მომსახურების სფერო. მიუხედავად იმისა, რომ დასაქმების მაჩვენებელი მნიშვნელოვნად შემცირდა მშენებლობის სფეროში, აღნიშნული დასაქმებულების რაოდენობის მხრივ, მაინც წარმოადგენს უპირატეს ეკონომიკურ სფეროს. მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანაში არსებობს მაღალი უმუშევრობის დონე, ხშირ შემთხვევაში დამსაქმებლებს უჭირთ შრომის ბაზარზე მათთვის საჭირო და შესაბამისი პროფესიის, კვალიფიკაციის მქონე კადრების მოძიება, რაც გამოწვეულია სამუშაოს მაძიებელთა დაბალი კვალიფიკაციითა და არაპროფესიონალიზმით. ასევე გამოიკვეთა, რომ დამსაქმებლებისთვის პრობლემურია მათთვის საჭირო პროფესიული განათლების მქონე კადრების მოძიებაც. რაც ასევე გამოწვეულია იმით, რომ ქვეყანაში მთელი რიგი პროფესიის კადრები ამ ეტაპზე საერთოდ არ მზადდება. ამიტომაც, დღეს შრომის ბაზარზე სამუშაო ძალაზე მოთხოვნასა და მიწოდებას შორის მნიშვნელოვანი დისბალანსია. ქვეყანაში ასევე, პრობლემურია დამსაქმებელი ორგანიზაციებისთვის უკ-

ვე დასაქმებული ადამიანებისათვის პერიოდულად კვალიფიკაციის ამაღლება და სხვა-დასხვა გადამზადების კურსების ორგანიზება.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე მიმაჩნია, რომ ქვეყანას ჭირდება პროფესიული განათლების კიდე უფორ მეტი პოპულარიზაცია და გაძლიერება, რათა მოხდეს შრომის ბაზარზე მოთხოვნა-მიწოდებას შორის არსებული დისბალანსის აღმოფხვრა, პროფესიულ სასწავლებლებში სათანადო სპეციალობისა და კვალიფიკაციის კადრების მომზადებით და შრომის ბაზარზე მიწოდებით, რაც თავისმხრივ ქვეყანაში გაზრდის დასაქმების დონეს.

III თავი. ინვესტიციების გავლენა შრომის ბაზრის სტრუქტურაზე

3.1. უცხოური ინვესტიციების დინამიკა და სტრუქტურა საქართველოში

ქვეყნის ეკონომიკური ზრდა და განვითარება, ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ამაღლება მნიშვნელოვანწილად განპირობებულია საინვესტიციო აქტიურობის დონით და საინვესტიციო საქმიანობის მასშტაბით. კერძოდ, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დონე გვიჩვენებს რამდენად სტაბილურია ქვეყანა, როგორია მისი ეკონომიკური პოლიტიკა, საინვესტიციო გარემო, ეკონომიკური ზრდის პერსპექტივა და ა.შ. საქართველოს დღეს ჰაერივით სჭირდება ინვესტიციების მოზიდვა, რაც განაპირობებს ისეთი პრობლემების გადაჭრას, როგორიცაა დასაქმება და შემოსავლების ზრდა, ახალი ტექნოლოგიების დანერგვა, საექსპორტო პოტენციალისა და ქვეყანაში სავალუტო შემოსავლების ზრდა, საერთაშორისო ეკონომიკურ სივრცეში ქვეყნის ინტეგრაცია და ა.შ

როგორც ცნობილია, განვითარებული ქვეყნების ეკონომიკისათვის პირდაპირი უცხოური ინვესტიციები მნიშვნელოვან სტიმულს არ წარმოადგენს, ისინი უფრო განვითარებადი ეკონომიკისათვისაა მნიშვნელოვანი. საქართველოში არ არის ბევრი მსხვილი კორპორაცია და კომპანია, რომელთა შემოსავლებითაც შესაძლებელი იქნება ეკონომიკაში რეინვესტირება. ამიტომ უცხოურ კაპიტალზე საქართველოს დამოკიდებულება მეტად დიდია **(ერქომაიშვილი 2016: 34).**

უცხოური ინვესტიციების მოზიდვა პრიორიტეტულია იმდენად, რამდენადაც ის ქვეყნის პოლიტიკურ და ეკონომიკურ სტაბილურობას უსვამს ხაზს და ხელს უწყობს ეკონომიკის განვითარებას. ამასთან, მნიშვნელოვანი ფაქტორია ქვეყნის შიგნით განხორციელებულ მთლიან ინვესტიციაში სახელმწიფოს მონაწილეობის შემცირება, მაშინ როცა არ მცირდება მთლიანი ინვესტიციის ჯამური ოდენობა. აღნიშნული პირდაპირ მიუთითებს კერძო სექტორის მიერ განხორციელებული ინვესტიციების მოცულობის ზრდაზე.

ეკონომიკის განვითარება და სამუშაო ადგილების შექმნა, რაც დღევანდელი საქართველოს ერთ-ერთი დიდი პრობლემაა, შეუძლებელია მოხდეს უცხოური ინვესტი-

ციების გარეშე. ეს დაკავშირებულია მთელ რიგ სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან. თუ არ მოხდა ინვესტიციების ზრდა და სამუშაო ადგილების შექმნა, შეუძლებელია შევაჩეროთ ისეთი ნეგატიური პროცესები, როგორიცაა ემიგრაციის ზრდა, ან დემოგრაფიული პროცესები, რომელიც ფაქტიურად საქართველოს დეპოპულაციისკენ მიაქანებს. ყველა ამ პრობლემის მოგვარების გზა არის მეტი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვა **(თეთრაძე 2016: 21).**

ქვეყანაში უცხოურ ინვესტიციების მნიშვნელოვანი ზრდისათვის საჭიროა ეფექტიანი საინვესტიციო გარემოს ქონა. საინვესტიციო გარემო ფართო ცნებაა და მოიცავს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ ასპექტებს. თითოეულ ქვეყანას თავისი უნიკალური საინვესტიციო გარემო გააჩნია, რომლის შემადგენელი ფაქტორების აქტუალურობა იცვლება როგორც ქვეყნების, ასევე დროის მიხედვითაც **(Kinoshita...2002: 5-17).**

ეკონომიკური და პოლიტიკური რეფორმების წარმატებას დიდი მნიშვნელობა ენიჭება ინვესტორების მხრიდან. მაგალითად, დაბალი ინფლაცია და ფისკალური კრიზისების არარსებობა მნიშვნელოვანი სიგნალია უცხოელი ინვესტორებისათვის ადგილობრივი ეკონომიკის სტაბილურობის შესახებ. ეკონომიკური ფაქტორების გარდა გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებისათვის, ასევე მნიშვნელოვანი ფაქტორია კორუფციის დონე და ბიზნესის მიერ ადგილობრივ ხელისუფლებასთან ურთიერთობისათვის საჭირო დრო.

ეკონომიკური ზრდის პროგნოზი საქართველოში უმეტესწილად უცხოური ინვესტიციების ზრდის მოლოდინს ემყარება. საქართველოს შემთხვევაში უცხოური ინვესტიციების მოზიდვისათვის საჭირო ფაქტორებად მკვლევარები ხშირად მიუთითებენ ისეთ ფაქტორებს, როგორიცაა მხარდამჭერი სამთავრობო პოლიტიკა, ბუნებრივი რესურსების შედარებითი ხელმისაწვდომობა და იაფი მუშახელი. ამ ფაქტორებს შორის მთავრობის ეკონომიკურ პოლიტიკას კი არსებითი როლი ენიჭება **(Kbiltsetskhlashvili 2010: 36).**

როგორც ავღნიშნეთ, საქართველოსთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვას. ქვეყანაში არსებული ლიბერალური საინვესტიციო გარემო და თანაბარი პირობები ადგილობრივი და უცხოური ინვესტიციებისათვის, საქართველოს მიმზიდველს ხდის უცხოელი ინვესტორებისთვის. სტაბი-

ლური ეკონომიკური განვითარება, ლიბერალური და თავისუფალი საბაზრო ეკონომიკური პოლიტიკა, მხოლოდ 6 გადასახადი და შემცირებული საგადასახადო განაკვეთები, ლიცენზიებისა და ნებართვების მცირე რაოდენობა, ადმინისტრაციული პროცედურების სიმარტივე, პრეფერენციული სავაჭრო რეჟიმები მსოფლიოს მრავალ ქვეყანასთან, ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა, კარგად განვითარებული და ინტეგრირებული სატრანსპორტო სისტემა და სხვა მრავალი ფაქტორი წარმოადგენს მყარ საფუძველს საქართველოში ბიზნესის დაწყებისა და მისი წარმატებული განვითარებისათვის.

საქართველოში ეკონომიკის სექტორების ჭრილში მონაცემები 2007 წლიდან მუშავდება. ქვეყნების ჭრილში კი სტატისტიკის სამსახური ინფორმაციას 1996 წლიდან ამუშავებს, თუმცა იმ პერიოდისთვის ძალიან მწირი ინფორმაცია იყო, ერთადერთი ინვესტიცია, რომელიც შეადგენდა 3,7 მლნ აშშ დოლარს, განხორციელებული იყო უკრაინიდან. ინფორმაციის მიღება პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შესახებ უფრო სისტემატიზებულ სახეს 1997 წლიდან იღებს. ამ პერიოდიდან ინვესტიციების შემოდინებასაც უფრო ინტენსიური ხასიათი ეძლევა.

როგორც წესი, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები იმ ქვეყნებში მიედინება, სადაც სტაბილურობის ნიშნები შეიმჩნევა და საქართველოში ეკონომიკური სიტუაციების ასეთი სტაბილიზაცია 1995 წლიდან დაიწყო. როგორც აღვნიშნეთ, 1997 წლიდან უცხოური ინვესტიციების ნაკადისა და ინვესტორი ქვეყნების რიცხვის ზრდაც ფიქსირდება. ამ წელს ყველაზე მსხვილი ინვესტიცია (96,6 მლნ აშშ დოლარი) შემოვიდა აშშ-დან, რომელსაც თითქმის 25 მლნ-იანი ინვესტიციით გაერთიანებული სამეფო და 18,7 მლნ-იანი ინვესტიციით ავსტრია მოსდევენ. 1997-2003 წლებში ქვეყანაში პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ძირითადად შემოდიოდა გაერთიანებული სამეფოდან, აშშ-დან, თურქეთიდან, აზერბაიჯანიდან და რუსეთიდან, რომელთა შორისაც ლიდერობდა პირველი ორი ქვეყანა. ამ პერიოდში ყველაზე მეტი მაინც ამერიკის შეერთებული შტატებიდან შემოვიდა. მაგალითად, 1998 წელს მთელი ინვესტიციების 39,4% ამერიკაზე მოდიოდა. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების საერთო მოცულობამ 2003 წელს 40,2%-ით გადააჭარბა 1997 წლის შესაბამის მაჩვენებელს.

2003 წლის შემდგომ პერიოდში კიდევ უფრო იზრდება პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობაც და ინვესტორი ქვეყნების არეალიც ფართოვდება. კერძოდ,

ინვესტორთა რიცხვს შეუერთდნენ: ესტონეთი, ლიტვა, ესპანეთი, ყაზახეთი, კაიმანის კუნძულები, პანამა და სხვები; ინვესტიციებმა აქტიურად იწყო შემოსვლა ბრიტანეთის ვირჯინიის კუნძულებიდან, არაბთა გაერთიანებული საამიროებიდან. 2007 წელი ინვესტიციების ბუმი იყო და ძალიან მზარდი დინამიკით ხასიათდებოდა. ამ წელს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ ორ მილიარდს გადააჭარბა. შემდეგ, 2008-ში, კლება დაიწყო. რაც გამოწვეული იყო რუსეთთან ომით და შესაბამისად აღნიშნული შემცირება აისახა კიდევაც იმავე წლის მე-3 კვარტალის მონაცემებში. თუმცა, მე-4 კვარტალში ეს პროცესი მაინც დაძლეულ იქნა და მე-3 კვარტალთან შედარებით ინვესტიციების მოცულობა გაორმაგდა.

საერთაშორისო ორგანიზაციებისა და დონორი ქვეყნების მხრიდან საქართველოსადმი სერიოზული (4,5 მილიარდი აშშ დოლარის მოცულობის) ფინანსური მხარდაჭერა იყო სიგნალი ინვესტორებისთვის, რომ საქართველო სტაბილური ქვეყნის სტატუსს ინარჩუნებს და 2009 წლის განმავლობაში ქვეყანაში ინვესტიციები კვლავაც შემოდიოდა, თუმცა წლიურმა მოცულობამ 2008 წლის შესაბამისი მაჩვენებლის მხოლოდ 40,1% შეადგინა.

თუ გადავხედავთ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დარგობრივ სტრუქტურას 2007 წლიდან, დავინახავთ, რომ უცხოელი ინვესტორები ყველაზე ნაკლებ ინტერესს ჩვენი სოფლის მეურნეობის მიმართ იჩენენ. მრეწველობის სექტორიდან კი მათთვის გადამამუშავებელი მრეწველობაა საინტერესო. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ენერგეტიკის სფეროშიც საკმაოდ სოლიდურად შემოდის და ყოველთვის ძალიან მაღალი წილით გამოირჩევა.

რაც შეეხება უძრავ ქონებას, 2009 წელს ეს ყველაზე უფრო მიმზიდველი სფერო იყო და სხვა წლებშიც ბევრად აჭარბებდა, იგივე ტრანსპორტსა და კავშირგაბმულობაში ჩადებულ ინვესტიციებს. 2009 წელს დიდი თანხები ჩაიდო მრეწველობაში. უცხოელი ინვესტორები, ასევე დაინტერესდნენ მშენებლობის სექტორში ინვესტიციების განთავსებით, სადაც გამოცოცხლების ნიშნები გამოიკვეთა. ჩვენს ქვეყანაში ერთ-ერთი ყველაზე უფრო განვითარებული სექტორი საბანკო სექტორია, რაც მის მიმართ ინვესტორთა დაინტერესებიდანაც ჩანს. საბანკო სფეროში ინვესტიციები ყველაზე დიდი ოდენობით

2007 წელს განთავსდა, თუმცა 2008-ში ძალიან სერიოზულად იკლო, ხოლო 2009-ში კი ზრდადი ტენდენცია დაფიქსირდა **(ჟურნალი 2010: 11).**

2010 წელს, საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ 814 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც 24% აღემატება 2009 წლის მონაცემებს.

2010 წელს უმსხვილესი ინვესტორი ქვეყნის წილმა მთლიან პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებში 58% შეადგინა. ამასთან, ევროკავშირის წევრი ქვეყნებიდან განხორციელებულმა პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა 248 მლნ. აშშ დოლარი და მთლიანი ინვესტიციების 30% შეადგინა, ხოლო დსთ-ის წევრი ქვეყნებიდან 91 მლნ. აშშ დოლარი და შესაბამისად 11%.

უმსხვილესი ინვესტორი ქვეყნის პროცენტულ სტრუქტურას 2010 წელს შემდეგი სახე ქონდა: პირველ ადგილზე აშშ იმყოფებოდა 17%, მეორეზე თურქეთი 11%, მესამეზე ნიდერლანდები 9%, ხოლო მომდევნო პოზიციებს გაერთიანებული სამეფო, აზერბაიჯანი და არაბეთის გაერთიანებული ემირატები იკავებენ დაახლოებით 7-7 პროცენტით.

სამი უმსხვილესი სექტორის წილმა 2010 წელს 69% შეადგინა. პირველ ადგილზე - სამთომოპოვებითი და დამამუშავებელი მრეწველობა 228,8 მლნ. აშშ დოლარი (28%), მეორე ადგილზე - ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა 215,1 მლნ. აშშ დოლარი (26%) და მესამე ადგილზე - უძრავი ქონება 119,3 მლნ. აშშ დოლარი (15%).

რაც შეეხება 2011 წელს, საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ 2011 წელს 1 117 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც 37%-ით აღემატება 2010 წლის დაზუსტებულ მონაცემებს. ამავე წელს რეინვესტიციის ოდენობამ მთლიანი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 30% შეადგინა.

2011 წელს პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში 65 ქვეყნიდან განხორციელდა. უმსხვილესი სამი ინვესტორი ქვეყნის წილმა მთლიან პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებში 2011 წელს 43% შეადგინა. პირველ ადგილზე ნიდერლანდები 22%-ით, მეორეზე - აზერბაიჯანი 12%-ით, ხოლო მესამეზე - დანია 9%-ით.

სამი უმსხვილესი სექტორის წილმა 2011 წელს 45% შეადგინა. ენერგეტიკის სექტორი 204 მლნ. აშშ დოლარი (18%), საფინანსო სექტორი 167,7 მლნ. აშშ დოლარი (15%) და კონსულტირება 135,6 მლნ. აშშ დოლარი (12%).

2011 წელს 2010 წელთან შედარებით პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მზარდი ტენდენცია განსაკუთრებით აღსანიშნავი იყო ენერგეტიკის, ჯანდაცვისა და მშენებლობის სექტორებში.

საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ 2012 წელს 912 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც 5%-ით აღემატება 2012 წლის წინასწარ მონაცემს და 2011 წლის დაზუსტებული მაჩვენებლის 82%-ს შეადგენს. ამავე პერიოდში რეინვესტიციის ოდენობამ მთლიანი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 13% შეადგინა.

2012 წელს პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში 72 ქვეყნიდან განხორციელდა. უმსხვილესი სამი ინვესტორი ქვეყნის წილმა მთლიან პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებში 34% შეადგინა. განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მიხედვით სამეული ასე გამოიყურება: პირველ ადგილზე - გერმანია 15%-ით, მეორეზე - გაერთიანებული სამეფო 10%-ით, მესამეზე - თურქეთი 9%-ით.

2012 წელს, 2011 წლის მსგავსად, ყველაზე მეტი პირდაპირი უცხოური ინვესტიცია ენერგეტიკის სექტორში განხორციელდა და პირდაპირი უცხოური ინვესტიციები სამ ძირითად სექტორში შემდეგნაირად გადანაწილდა: ენერგეტიკა 179,4 მლნ. აშშ დოლარი, დამამუშავებელი მრეწველობა 167,9 მლნ. აშშ დოლარი და საფინანსო სექტორი 162,6 მლნ. აშშ დოლარი.

2012 წელს 2011 წელთან შედარებით პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მზარდი ტენდენცია აღსანიშნავია დამამუშავებელი მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და ჯანდაცვის სექტორებში.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების წილმა მშპ-ში 2010 წელს 7%, 2011 წელს 8% და 2012 წელს 6% შეადგინა.

საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ 2013 წელს 942 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც 3.3%-ით აღემატება 2012 წლის დაზუსტებულ მონაცემებს. ამავე პერიოდში რეინვესტიციის ოდენობამ მთლიანი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 29% შეადგინა.

უმსხვილესი სამი ინვესტორი ქვეყნის წილმა მთლიან პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებში 2013 წელს 41% შეადგინა. განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვეს-

ტიციების მიხედვით, პირველ ადგილზე ნიდერლანდები იმყოფება 16%-ით, მეორეზე - ლუქსემბურგი 15%-ით, ხოლო მესამეზე - ჩინეთი 10%-ით.

სამი უმსხვილესი სექტორის წილმა 2013 წელს განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მიხედვით 59% შეადგინა. ყველაზე მეტი პირდაპირი უცხოური ინვესტიცია 2011-2012 წლების მსგავსად, ენერგეტიკის სექტორში განხორციელდა და 245 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც მთლიანი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 26%, მეორე ადგილზე იმყოფება საფინანსო სექტორი 166 მლნ. აშშ დოლარით (18%), ხოლო მესამეზე - ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა 140 მლნ. აშშ დოლარით (15%).

საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ 2014 წელს 1 758 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც 87%-ით აღემატება 2013 წლის შესაბამის მაჩვენებელს. ამავე პერიოდში რეინვესტიციის ოდენობამ მთლიანი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 19% შეადგინა. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ზრდა დიდწილად განაპირობა ინვესტიციების ზრდამ სამშენებლო სექტორში. 2013 წელთან შედარებით აღნიშნულ სფეროში პირდაპირი უცხოური ინვესტიციები თითქმის 5-ჯერ გაიზარდა, რაც ძირითადად ახალგაზრდული ოლიმპიადისთვის მოსამზადებელ მშენებლობებს უკავშირდება.

უმსხვილესი სამი ინვესტორი ქვეყნის წილმა მთლიან პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებში 2014 წლის დაზუსტებული მონაცემების მიხედვით 52% შეადგინა. პირველ ადგილზე ნიდერლანდები იმყოფება 21%-ით, მეორეზე - აზერბაიჯანი 19%-ით, ხოლო მესამეზე - ჩინეთი 12%-ით. აზერბაიჯანიდან ინვესტიციების ზრდა ძირითადად უკავშირდება BP (British Petroleum)-ის მიერ ახალი გაზსადენის მშენებლობის ინვესტირებას **(ეროვნული 2014: 32).**

სამი უმსხვილესი სექტორის წილმა კი 2014 წელს 55% შეადგინა. ყველაზე მეტი პირდაპირი უცხოური ინვესტიცია ტრანსპორტის და კავშირგაბმულობის სექტორში განხორციელდა და 433.7 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც მთლიანი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 25%. მეორე ადგილს იკავებს მშენებლობის სექტორი 316.6 მლნ. აშშ დოლარით (18%), ხოლო მესამეს დამამუშავებელი მრეწველობა - 205.4 მლნ. აშშ დოლარით (12%).

2014 წელს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ინფორმაციით, ინვესტიციების უმსხვილესი მიმღებია BP Group, სადაც აზერბაიჯანული ინვესტიცია ჩაიდო. მეორე ადგილზეა სამშენებლო სამუშაოების მწარმოებელი „ჰუალინგ ინტერნეიშენალი“, ჩინური ინვესტიციით. ნიდერლანდური ინვესტიციები უმეტესად ენერგეტიკის სფეროში იყო მიმართული და შპს „აჭარისწყალი ჯორჯიაში“ განხორციელდა. ამავე ქვეყანამ ჩადო ინვესტიციები დამამუშავებელ მრეწველობაში, კერძოდ, „აიდიეს ბორჯომი საქართველოში“, ასევე RMG Copper-ში, „შავი ზღვის ტერმინალში“, „სილქნეტსა“ და „თელასში“, შპს „ლუკოილ ჯორჯიასა“ და „რომპეტროლ საქართველოში“.

ცხრილი №5

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დინამიკა საქართველოში 2005-2015 წწ. (მლნ. აშშ დოლარი)

№	წლები	I კვარტალი	II კვარტალი	III კვარტალი	IV კვარტალი	სულ ჯამი
1	**2005 წელი**	**89**	**106**	**76**	**179**	**450**
2005-2006 წლების სხვაობა (მლნ. აშშ დოლარი)		57	201	205	278	741
2005-2006 წლების პროცენტული ცვლილება		63	190	271	155	165
2	**2006 წელი**	**146**	**307**	**281**	**457**	**1190**
2006-2007 წლების სხვაობა (მლნ. აშშ დოლარი)		275	95	208	246	824
2006-2007 წლების პროცენტული ცვლილება		189	31	74	54	69
3	**2007 წელი**	**421**	**401**	**489**	**703**	**2015**
2007-2008 წლების სხვაობა (მლნ. აშშ დოლარი)		116	204	-354	-417	-451
2007-2008 წლების პროცენტული ცვლილება		28	51	-72	-59	-22
4	**2008 წელი**	**538**	**605**	**135**	**286**	**1564**
2008-2009 წლების შედარება		-424	-428	39	-92	-906
2008-2009 წლების პროცენტული ცვლილება		-79	-71	29	-32	-58

5	**2009 წელი**	**114**	**177**	**173**	**194**	**658**
2009-2010 წლების სხვაობა (მლნ. აშშ დოლარი)		53	31	52	20	156
2009-2010 წლების პროცენტული ცვლილება		46	18	30	10	24
6	**2010 წელი**	**167**	**208**	**226**	**214**	**814**
2010-2011 წლების სხვაობა (მლნ. აშშ დოლარი)		43	40	91	128	303
2010-2011 წლების პროცენტული ცვლილება		26	19	40	60	37
7	**2011 წელი**	210	248	317	343	**1117**
2011-2012 წლების სხვაობა (მლნ. აშშ დოლარი)		51	-31	-118	-109	-206
2011-2012 წლების პროცენტული ცვლილება		25	-12	-37	-32	-18
8	**2012 წელი**	**261**	**218**	**199**	**234**	**912**
2012-2013 წლების სხვაობა (მლნ. აშშ დოლარი)		-9	-10	56	-7	30
2012-2013 წლების პროცენტული ცვლილება		-3	-4	28	-3	3
9	**2013 წელი**	**252**	**208**	**255**	**227**	**942**
2013-2014 წლების სხვაობა (მლნ. აშშ დოლარი)		57	-12	471	300	817
2013-2014 წლების პროცენტული ცვლილება		23	-6	185	132	87
10	**2014 წელი**	**309**	**196**	**726**	**527**	**1758**
2014-2015 წლების სხვაობა (მლნ. აშშ დოლარი)		-18	267	-243	-200	-194
2014-2015 წლების პროცენტული ცვლილება		-6	136	-33	-38	-11
11	**2015 წელი**	**291**	**463**	**483**	**327**	**1564**
2015-2016 წლების სხვაობა (მლნ. აშშ დოლარი)		98	-5	-15	3	81
2015-2016 წლების (%) ცვლილება		34	-1	-3	1	5
12	**2016* წელი**	388.9	457.7	468.5	330.3	**1645.4**

წყარო: ცხრილი შედგენილია ავტორის მიერ, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით. (*წინასწარი მონაცემები).

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიხედვით საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ 2015 წელს 1 564,5 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც 193,92 მლნ აშშ დოლარით, 11%-ით ნაკლებია 2014 წლის შესაბამის მაჩვენებელზე. ამავე პერიოდში რეინვესტიციის ოდენობამ მთლიანი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 9% შეადგინა.

დიაგრამა №2

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დინამიკა საქართველოში 2005-2016 წწ. (მლნ. აშშ დოლარი)



წყარო: დიაგრამა შედგენილია ავტორის მიერ, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით. (*წინასწარი მონაცემები)

2015 წელს სამი უმსხვილესი ინვესტორი ქვეყნის წილმა მთლიან პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებში 70% შეადგინა. პირველ ადგილზე აზერბაიჯანი იმყოფება 35%-ით (550 მლნ. აშშ დოლარი), მეორეზე - გაერთიანებული სამეფო 25%-ით (386 მლნ.აშშ დოლარი), ხოლო მესამეზე - ნიდერლანდები 10%-ით (155 მლნ. აშშ დოლარი).

ძალზედ დიდია სხვაობა რეგიონების მიხედვით პირდაპირი უცხოური ინვესტიციების განაწილების მხრივ, რაც აისახება სამუშაო ადგილების გენერაციაზე, დასაქმების შესაძლებლობებსა და შრომით მიგრაციაზე. 2015 წელს განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 78% თბილისზე მოდის და შეადგენს 1 234.6 მლნ აშშ დოლარს, მეორე ადგილზეა აჭარა 204.5 მლნ. დოლარით. რეგიონებში პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს შორის მკვეთრი დისბალანსი იცვლება წლების მიხედვით.

დიაგრამა N3

ინვესტიციები რეგიონების მიხედვით 2015 (ათასი აშშ დოლარი)



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური.

2015 წელს 2014 წლის მსგავსად პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მკვეთრი ზრდა დაფიქსირდა ტრანსპორტსა და კავშირგაბმულობაში, რამაც შეადგინა 584.6 მლნ ლარი. აღნიშნული ზრდა უკავშირდება გაზსადენის მშენებლობის პროექტს, რომელსაც აზერბაიჯანული წარმომადგენლობა ახორციელებს, რის გამოც 2015 წელს სწორედ აზერბაიჯანიდან გაიზარდა ყველაზე მეტი პირდაპირი ინვესტიციების შემოდინება საქართველოში (მთლიანი ინვესტიციების 40%). ასევე საქართველოში 2015 წელს 2014 წელთან შედარებით 9.5 მლნ ლარიდან 140.3 მლნ ლარამდე გაიზარდა პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ჯანდაცვის სექტორში. 2015 წელს პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, ასევე გაიზარდა შემდეგ ეკონომიკურ სექტორში: სამთომოპოვებითი მრეწველობა; სასტუმროები და რესტორნები; საფინანსო სექტორი; სოფლის მეურნეობა, თევზ-

ჭერა; ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა; ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება.

დიაგრამა N4

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ზრდა ეკონომიკური სექტორების მიხედვით 2014-2015 (ათასი აშშ დოლარი)



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური.

ხოლო 2015 წელს პირდაპირი უცხოური ინვესტიციები შემცირდა შემდეგ ეკონომიკურ სექტორში: დამამუშავებელ მრეწველობა; ენერგეტიკა; მშენებლობა; უძრავი ქონება.

დიაგრამა N5

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების კლება ეკონომიკური სექტორების მიხედვით 2014-2015 (ათასი აშშ დოლარი)



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური.

2015 წელს საქართველოში სამუშაო ადგილების შექმნის მხრივ ვაჭრობისა და განათლების სექტორების გარდა გაიზარდა ის ეკონომიკური სექტორები, რომელშიც საქსტატის მონაცემის მიხედვით ადგილი ჰქონდა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ზრდას. აღნიშნული სფეროებია: ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური მომსახურება; ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა; საფინანსო საქმიანობა; სოფლის მეურნეობა და სამთომოპოვებითი მრეწველობა.

დიაგრამა N6

სამუშაო ადგილების რაოდენობის ცვლილება ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით 2015



წყარო: შრომის ბაზრის მოთხოვნის კომპონენტის კვლევა, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, 2015.

ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის სექტორში, 2015 წელს, წინა წელთან შედარებით, გაზრდილია როგორც პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა (37%), ასევე ამ სექტორის წილი მთლიან პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებში (19.3%). აღსანიშნავია, რომ ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის სექტორში ინვესტიციებს, 2012-2015 წლებში, ზრდადი ტენდენცია ახასიათებს.

რაც შეეხება 2016 წელს, წინასწარი მონაცემებით, საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ 1 645 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც 22 პროცენტით აღემატება 2015 წლის წინასწარ და 5 პროცენტით ამავე წლის დაზუსტებულ მონაცემებს.

დიაგრამა №7

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში 2012-2016* წწ.
(მლნ. აშშ დოლარი)



წყარო: დიაგრამა შედგენილია ავტორის მიერ, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით. *წინასწარი მონაცემები.

ამავე პერიოდში რეინვესტიციის ოდენობამ მთლიანი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 32 პროცენტი შეადგინა.

ხოლო სამი უმსხვილესი ინვესტორი ქვეყნის წილმა მთლიან პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებში, 2016 წლის წინასწარი მონაცემების მიხედვით, 59 პროცენტი შეადგინა. პირველ ადგილზე აზერბაიჯანი იმყოფება 35 პროცენტით (578 მლნ. აშშ დოლარი), მეორეზე - თურქეთი 17 პროცენტით (272 მლნ. აშშ დოლარი), ხოლო მესამეზე - გაერთიანებული სამეფო 7 პროცენტით (121 მლნ. აშშ დოლარი).

დიაგრამა №8

უმსხვილესი ინვესტორი ქვეყნების წილი 2016* წელს (%)



წყარო: დიაგრამა შედგენილია ავტორის მიერ, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით.

სამი უმსხვილესი სექტორის წილმა (განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მიხედვით) 2016 წელს 61 პროცენტი შეადგინა. ყველაზე მეტი პირდაპირი უცხოური ინვესტიცია ტრანსპორტსა და კავშირგაბმულობაში განხორციელდა და 645 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც მთლიანი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 39 პროცენტია. მეორე ადგილზე იმყოფება ენერგეტიკის სექტორი 203 მლნ. აშშ დოლარით, ხოლო მესამეზე - მშენებლობა 163 მლნ. აშშ დოლარით.

დიაგრამა №9

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ეკონომიკის სექტორების მიხედვით 2010-2016 წწ. (მლნ. აშშ დოლარი)



წყარო: დიაგრამა შედგენილია ავტორის მიერ, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით.

როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, ბოლო წლების განმავლობაში ქვეყანაში განხორციელებული ინვესტიციების ყველაზე დიდი წილი სწორედ ტრანსპოტისა და კავშირგაბმულობის სექტორზე მოდის. ასევე მნიშვნელოვანი პირდაპირი უნცხოური ინვესტიციებია განხორციელებული, ენერგეტიკისა და საფინანსო სექტორებშიც. აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ მიუხედავად იმისა, რომ ყველაზე ბევრი პირდაპირი უცხოური ინვესტიცია

ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის სექტორში ჩაიდო, განხორციელებული ინვესტიციების ყველაზე მაღალი ზრდის ტემპით სამშენებლო სექტორი ხასიათდება.

რაც შეეხება მიმდინარე და მომდევნო წლებში, კერძო ინვესტიციებს ხელს შეუწყობს საერთაშორისო საფინანსო ბაზრების მზარდი ხელმისაწვდომობა: თუ პირობითად ათი წლის წინ მხოლოდ ერთი ქართული კერძო კომპანია იყო გასული ლონდონის საფონდო ბირჟაზე („საქართველოს ბანკი"), 2014-2015 წლებში მის რიცხვს ერთბაშად ორი კომპანია შეემატა („თიბისი ბანკი" და „საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფი"). რამდენიმე სხვა კერძო ჯგუფებიც ემზადება საერთაშორისო ბირჟაზე აქციების განსათავსებლად ან/და ბონდების გამოსაშვებად. პარალელურად, ჩვენს რეგიონში ტრადიციულად აქტიურ საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებს (EBRD, EIB, ADB, IFC) ახალი მულტილატერალური საფინანსო ინსტიტუტები და ექსპორტის ხელშემწყობი ბანკები შეემატა. მაგალითად, აზიის ინფრასტრუქტურული ინვესტიციების ბანკი AIIB, ჩინეთის განვითარების ბანკი, კორეის განვითარების სააგენტო, იტალიური SACE, აღმოსავლეთ ევროპის ექსიმ ბანკები და სხვ. ამდენად, კარგად სტრუქტურირებული და კომერციულად მდგრადი პროექტების შეთავაზების შემთხვევაში ინვესტორებს შედარებით იაფ საფინანსო რესურსზე ექნებათ წვდომა.

რაც შეეხება სახელმწიფო ინვესტიციებს, ისინი კვლავაც საგზაო და წყალმომარაგების ინფრასტრუქტურაში, ასევე სოციალური პროფილის ობიექტებში ჩაიდება. ანუ, ისეთ პროექტებში რომელთა კომერციალიზაციაც რთული ან შეუძლებელია **(ერქომაიშვილი 2016:40).**

2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების ღონისძიებებზე დაგეგმილია 849.2 მლნ ლარის დახარჯვა, რაც მთლიანი ბიუჯეტის 7.4%-ია, ხოლო წყალმომარაგების ინფრასტრუქტურის აღდგენა-რეაბილიტაციაზე დაგეგმილია 184 მლნ ლარის დახარჯვა. რეგიონული და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციაზე კი დაგეგმილია 176.2 მლნ ლარის დახარჯვა, რაც 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელების 1.5%-ს შეადგენს **(გამოცემა 2016: 85).**

უნდა ითქვას, რომ საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების ეგიდით მიმდინარეობს ე.წ. Public-Private Partnership, ანუ საჯარო-კერძო პარტნიორობის პრინციპით განხორციელებული პროექტებისთვის საკანონმდებლო ბაზის შემუშავება. შედეგად ბევრი

ინფრასტრუქტურული პროექტი, რომელიც ტრადიციულად სახელმწიფოს სახსრებით ხორციელდებოდა, დასტრუქტურირდება იმგვარად, რომ კერძო ინვესტორისთვისაც საინტერესო გახდეს. ასეთი მოდელის დანერგვა სტიმულს მისცემს სახელმწიფოსა და ბიზნესს შორის რისკების გადანაწილებას და კერძო ინვესტიციების წილის ზრდას სახელმწიფო ინვესტიციებთან შედარებით **(ერქომაიშვილი 2016: 40).**

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების მიხედვით, 2016 წელს დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი შეადგენდა 983 ლარს. მოცემულ პერიოდში რამოდენიმე სფერო გამოირჩეოდა შედარებით მაღალი საშუალო თვიური სახელფასო ანაზღაურებით. კერძოდ: პირველ ადგილზე იყო საფინანსო სექტორი - საშუალო თვიური ხელფასით 1 838 ლარი, მეორე ადგილზე სამშენებლო სექტორი - 1 464 ლარით, მესამე ადგილზე - ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებლისათვის მომსახურების გაწევა 1144 ლარის ოდენობით, მეოთხე ადგილზეა - ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის სექტორში დასაქმებული ადამიანები 1 250 ლარით, ხოლო მეხუთე ადგილზეა - ელექტროენერგიის, აირისა და წყლის წარმოებისა და განაწილების სექტორში დასაქმებული ადამიანები 906 ლარით და ბოლოს ამავე მონაცემების თანახმად, 2016 წელს ყველაზე დაბალი საშუალო თვიური ანაზღაურება კვლავ განათლების სექტორში იყო და 536 ლარს შეადგენდა.

საგულისხმოა, რომ ბოლო წლებში საქართველოში საშუალო თვიური ხელფასი ზრდადია იმ სექტორებში დასაქმებული ადამიანებისათვის, რომელ დარგებსა თუ სექტორებშიც იზრდება ინვესტიციები, რაც მიუთითებს იმაზე, რომ ინვესტიციების ზრდა გარდა დასაქმების ზრდისა, ასევე ხელს უწყობს დასაქმებული ადამიანებისათვის საშუალო თვიური ხელფასის ზრდასაც.

შეიძლება ვთქვათ, რომ საქართველოში უცხოური ინვესტიციები ნამდვილად დიდ გავლენას ახდენს ეკონომიკურ ზრდაზე, წარმოების განვითერებაზე, ქვეყანაში კონკურენტუნარიანი საექსპორტო პროდუქციის შექმნაზე, თანამედროვე ტექნოლოგიების შემოდინებაზე და რაღათქმაუნდა დასაქმების ზრდაზე, თუმცა იქედან გამომდინარე, რომ ზემოთ არნიშნულ წლებში ინვესტიციების დიდი ნაწილი მიმართულ იქნა ძირითადად კაპიტალტევად დარგებში, სადაც დასაქმების მოცულობა მცირეა, შესაბამისად მნიშვნელოვნად ვერ შემცირდა ქვეყანაში უმუშევრობის დონე.

დღეს უცხოური თუ ადგილობრივი ინვესტიციები, ასევე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს შრომის ბაზრის ტრანსფორმაციაზე, რაც გამოწვეულია ახალ პროფესიებზე მოთხოვნის გაჩენით, რის საფუძველზეც საჭირო ხდება უმაღლესი და პროფესიული განათლების არსებული პროგრამების ცვლილებები და შრომის ბაზრზე არსებული მოთხოვნების შესაბამისად ახალი პროგრამების შემუშავება და ამ პროგრამების საფუძველზე მოთხოვნადი პროფესიისა და სპეციალობის კადრების მომზადება, რათა აღმოფხვრილ იქნას შრომის ბაზარზე მოთხოვნა-მიწოდებას შორის დღეს არსებული დისბალანსი და მოხდეს კიდე უფრო მეტი ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმება, ქვეყანში თითოეული მოზიდული და განხორციელებული უცხოური თუ ადგილობრივი ინვესტიციების შედეგად.

იმისათვის, რომ ქვეყანამ ეკონომიკური განვითარების პოზიტიური ტემპი შეინარჩუნოს და კიდე უფრო სწრაფ ეკონომიკურ ზრდას მიაღწიოს, ამისათვის საჭიროა სულ უფრო მეტი უცხოური ინვესტიციის მოზიდვა. აქედან გამომდინარე, კიდევ უფრო მნიშვნელოვანია ზუსტად ვიცოდეთ, თუ რა ტენდენციებია დღეს ინვესტიციების მხრივ, ძირითადად რომელი სექტორებია საინტერესო ინვესტორებისათვის, რა პრობლემებს აქვს ადგილი, როგორ შეიძლება არსებული პრობლემების მოგვარება, რა უნდა გაკეთდეს კიდე უფრო მეტი უცხოური ინვესტიციების მოზიდვისათვის და უფრო მეტი ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმებისათვის.

3.2. ინვესტიციები და შრომის ბაზრის ძირითადი ტენდენციები აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში

როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, საქართველოში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა, ისევე როგორც ინვესტიციების მოზიდვისა და განხორციელების, ასევე რეგიონში საინვესტიციო პროექტების განხორციელების შედეგად, დასაქმების ზრდის მხრივაც არის მეორე ადგილზე, ამიტომ მნიშვნელოვანია ჩვენი თემის ფარგლებში განხილულ იქნას რეგიონში ინვესტიციებისა და შრომის ბაზრის ძირითადი ტენდენციები.

რეგიონული ინვესტიციური პოლიტიკა წარმოადგენს ღონისძიებათა სისტემას, რომლებიც ტარდება რეგიონის ან სხვა ტერიტორიული ერთეულის დონეზე და ხელს უწყობენ ინვესტიციური რესურსების მობილიზაციას, მათი ეფექტური და რაციონალური გამოყენების მიმართულებების დადგენას რეგიონის მოსახლეობისა და ინვესტორების ინტერესებიდან გამომდინარე.

ეკონომიკის საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლამ და რადიკალურმა ეკონომიკურმა რეფორმებმა დღის წესრიგში დააყენა ქვეყანაში საინვესტიციო პოლიტიკის ტრანსფორმაციისა და შესაბამისი გრძელვადიანი სახელმწიფო პროგრამის ფორმირების საკითხი. ამ რთული და მრავალწახნაგოვანი პრობლემის გადაწყვეტაში ერთ-ერთი საკვანძო ადგილი განეკუთვნება მთლიანად ეროვნული მეურნეობის, მისი ცალკეული რეგიონების, ქალაქებისა და კერძოდ აჭარის საკურორტო-ტურისტული მეურნეობის დაჩქარებული აღდგენა-განვითარებისათვის დიდი მოცულობის ფინანსური რესურსების მობილიზებასა და გამოყენებას. ამ საქმიანობისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება სახელმწიფოს ცენტრალიზებულ ინვესტიციებს, ადგილობრივი კერძო მეწარმეებისა და მოსახლეობის ფინასურ კაპიტალს, მაგრამ ეს შესაძლებლობანი შეზღუდულია მათი უკმარისობის გამო. ასეთ პირობებში რეგიონის ტურისტული და სხვა სექტორების განვითარებისათვის აუცილებელი პირობაა უცხოური ინვესტიციების მოზიდვა და მისი მიზანმიმართული, ეფექტიანი გამოყენება, რაც საბოლოოდ ახალი სამუშაო ადგილების შექმნისა და სოციალური ფონის გაუმჯობესების გარანტიაა **(ცინარიძე 2013: 187; 206).**

რეგიონის ეკონომიკურ განვითარებაში, კერძოდ, დამატებული ღირებულების ფორმირებასა და სამუშაო ადგილების შექმნაში, დიდი მნიშვნელობა აქვს კერძო სექტო-

რის მიერ როგორც უცხოური, ასევე ადგილობრივი წარმოშობის ინვესტიციების განხორციელებას და სტაბილურ/მიმზიდველ საინვესტიციო გარემოს.

2016 წელს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე ჯამურად განხორციელდა 427,9 მლნ აშშ დოლარის ოდენობის კერძო ინვესტიცია, რომლის 71% შეადგინა მთლიანმა უცხოურმა ინვესტიციებმა.

დიაგრამა №10

კერძო ინვესტიციების დინამიკა (აჭარის ა/რ)

2012-2016 წწ.



წყარო: დიაგრამა შედგენილია ავტორის მიერ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მონაცემებზე დაყრდნობით.

საინვეტიციო საქმიანობის შეფასების მნიშვნელოვან ცვლადებად განიხილება, ასევე განხორციელებული ინვეტიციების მოცულობა რეგიონში შექმნილ მთლიან დამატებულ ღირებულებასთან მიმართებით და მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებით. ინვესტიციების მოცულობა მთლიან დამატებულ ღირებულებასთან მიმართებით ბოლო წლებში შეადგენს დაახლოებით 15-38%-ს, ხოლო რეგიონის მოსახლეობის ერთ სულზე კერძო ინვესტიციების ოდენობამ 2016 წელს შეადგინა 1 270 აშშ დოლარი.

ცხრილი №6

საინვესტიციო მაკროპარამეტრები (აჭარის ა/რ) 2011-2016 წწ.

	2011	2012	2013	2014	2015	2016
ინვესტიციების ცვლილების ტემპი (%)	1.4	2.0	28.3	41.8	32.6	17,0
ინვესტიციები მთლიან დამატებულ ღირებულებასთან მიმართებით (%)	15.5	15.0	18.0	23.9	37.9	-
ინვესტიციები მოსახლეობის ერთ სულზე (აშშ დოლარი)	381	386	495	697	1 087	1 270

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო.

რეგიონში განხორციელებული საინვესტიციო აქტიურობა მნიშვნელოვანია გაანალიზებული იქნეს: ა) ეკონომიკის სექტორების მიხედვით; ბ) ქვეყნების მიხედვით და გ) თვითმმართველი ერთეულების მიხედვით.

2016 წელს განხორციელებული კერძო ინვესტიციები ეკონომიკის სექტორების მიხედვით შემდეგნაირად ნაწილდება: ენერგეტიკა - 45,5%, ტურიზმი - 31,6%, მშენებლობა - 20,8%, სოფლის მეურნეობა - 0,2%, მრეწველობა - 1,4%, სხვა სექტორები - 0,5% **(კერძო 2017:).**

დიაგრამა №11

კერძო ინვესტიციების განაწილება სექტორების მიხედვით (აჭარის ა/რ 2015 წ.)



წყარო: დიაგრამა შედგენილია ავტორის მიერ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მონაცემებზე დაყრდნობით.

რაც შეეხება უცხოური ინვესტიციების განაწილებას ქვეყნების მიხედვით, 2016 წელს რეგიონში ყველაზე მეტი მოცულობის ინვესტიციები მოდის ნორვეგია/ინდოეთსა (48,7%) და თურქეთზე (44,9%). ხოლო ტერიტორიული ერთეულების მიხედვით განხორციელებული ინვესტიციების მოცულობის გათვალისწინებით ლიდერობს თვითმმართველი ქალაქი ბათუმი (53,3%), ხულოს მუნიციპალიტეტი (17,4%) და შუახევის მუნიციპალიტეტი (17,2%).

ცხრილი №7

კერძო უცხოური ინვესტიციების განაწილება ქვეყნების მიხედვით (აჭარის ა/რ 2015 წ.)

ქვეყანა	ხვედრითი წონა (%)
ნორვეგია/ინდოეთი	39
თურქეთი	39
ავსტრია	7
დიდი ბრიტანეთი	5
აზერბაიჯანი	4
რუსეთი	3
ესტონეთი	2
სხვა ქვეყნები	1

წყარო: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო.

დიაგრამა №12

კერძო ინვესტიციების განაწილება თვითმმართველი ერთეულების მიხედვით (აჭარის ა/რ 2015 წ.)



წყარო: დიაგრამა შედგენილია ავტორის მიერ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მონაცემებზე დაყრდნობით.

ასევე ძალიან მნიშვნელოვანია მაღალი საინვესტიციო აქტიურობის სექტორების გამოვლენა არა მხოლოდ სტატიკური, არამედ დინამიკური შეფასების თვალსაზრისით, რაც იძლევა სწრაფად მზარდი საინვესტიციო სექტორების გამოკვეთის საშუალებას. ამ მხრივ განვითარების მიმდინარე ეტაპზე აღსანიშნავია რეგიონის ეკონომიკის სექტორების შემდეგი სამეული: ენერგეტიკა, მრეწველობა და ტურიზმი.

მონაცემების ანალიზი გვიჩვენებს, რომ თუ ადრე ტურიზმი და მშენებლობა ინვესტორებისთვის ყველაზე საინტერესო იყო, ბოლო პერიოდში ამ კუთხით ენერგეტიკის სფერო ლიდერობს. 2015 წელს ენერგეტიკის სფეროში ინვესტიციებზე 148,4 მლნ აშშ დოლარი მოდის, მაშინ როცა ეს მაჩვენებელი 2012 წელს 0%-ი იყო. მზარდი სექტორია ასევე მრეწველობა და სამომავლოდ ამ სფეროს კიდევ უფრო გააქტიურებაა მოსალოდნელი (**კერძო 2017:**).

დიაგრამა №13

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები აჭარაში
2009-2016 წწ. (ათასი აშშ დოლარი)



წყარო: დიაგრამა შედგენილია ავტორის მიერ, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით. *წინასწარი მონაცემები.

ასევე, მნიშვნელოვანია რეგიონში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შედარება წლების მიხედვით. კერძოდ 2010 წელს აჭარაში 56,57 ათასი აშშ დოლარის პირდაპირი უცხოური ინვესტიცია განხორციელდა, რაც წინა წელთან შედარებით შემცირდა 42,813 ათასი აშშ დოლარით (43%), 2011 წელს 93,87 ათასი აშშ დო-

ლარი, რაც წინა წელთან შედარებით 37,3 ათასი აშშ დოლარით (66%) გაზრდილია, 2012 წელს 39,11 ათასი აშშ დოლარის ინვესტიცია განხორციელდა და წინა წელთან შედარებით შემცირდა 54,76 ათასი აშშ დოლარით (-58%), შემდგომ 2013 წელს წინა წელთან შედარებით 22,44 ათასი აშშ დოლარით (57%) გაიზარდა პირდაპირი უცხოური ინვესტიცია და შედაგინა 61,54 ათასი აშშ დოლარი, ხოლო 2014 წელს განხორციელებულმა პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა შედგინა 159,28 ათასი აშშ დოლარი, რაც წინა წელთან შედარებით გაიზარდა 97,731 ათასი აშშ დოლარით (158%), 2015 წელს კი ზრდა იყო 45,256 ათასი აშშ დოლარით (28%), ხოლო 2016 წლის წინასაწარი მონაცემებით კი პირდაპირი უცხოური ინვესტიციები რეგიონში შემცირდა 43,554 ათასი აშშ დოლარით (-21%).

ცხრილი №8

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დინამიკა აჭარის ა/რ 2009-2016 წწ. (მლნ. აშშ დოლარი)

№	წლები	I კვ.	II კვ.	III კვ.	IVკვ.	სულ
1	**2009**	**31,606**	**29,135**	**16,747**	**21,898**	**99,386**
2009-2010 წლების სხვაობა (მლნ. აშშ დოლარი)		-5,204	-24,588	-1,660	-11,362	-42,813
2009-2010 წლების (%) ცვლილება		-16	-84	-10	-52	-43
2	**2010**	**26,403**	**4,547**	**15,087**	**10,537**	**56,573**
2010-2011 წლების სხვაობა (მლნ. აშშ დოლარი)		-8,846	23,711	11,890	10,540	37,295
2010-2011 წლების (%) ცვლილება		-34	521	79	100	66
3	**2011**	**17,557**	**28,258**	**26,977**	**21,077**	**93,868**
2011-2012 წლების სხვაობა (მლნ. აშშ დოლარი)		-4,918	-23,790	-18,631	-7,423	-54,763
2011-2012 წლების (%) ცვლილება		-28	-84	-69	-35	-58
4	**2012**	**12,639**	**4,468**	**8,346**	**13,653**	**39,105**
2012-2013 წლების სხვაობა (მლნ. აშშ დოლარი)		-13,749	2,532	35,363	-1,707	22,439
2012-2013 წლების (%) ცვლილება		-109	57	424	-13	57
5	**2013**	**-1,110**	**6,999**	**43,708**	**11,946**	**61,544**
2013-2014 წლების სხვაობა (მლნ. აშშ დოლარი)		6,828	29,658	14,963	46,282	97,731

2013-2014 წლების (%) ცვლილება		-615	424	34	387	159
6	**2014**	**5,718**	**36,657**	**58,672**	**58,229**	**159,275**
2014-2015 წლების სხვაობა (მლნ. აშშ დოლარი)		46,692	-20,884	-37,249	56,697	45,256
2014-2015 წლების (%) ცვლილება		817	-57	-63	97	28
7	**2015**	**52,410**	**15,773**	**21,422**	**114,925**	**204,531**
2015-2016 წლების სხვაობა (მლნ. აშშ დოლარი)		17,524	13,548	16,223	-90,849	-43,554
2015-2016 წლების (%) ცვლილება		33	86	76	-79	-21
8	**2016***	**69,934**	**29,322**	**37,645**	**24,077**	**160,977**

წყარო: ცხრილი შედგენილია ავტორის მიერ, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით. *წინასწარი მონაცემები.

სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, აჭარაში მოქმედი კომპანიებიდან, 2013-2015 წლებში განხორციელებული მსხვილი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მიხედვით ყველაზე მეტი ინვესტიცია „აჭარისწყალი ჯორჯიამ“ განახორციელა.

კომპანია „აჭარისწყალი ჯორჯია“ საქართველოში ერთ-ერთ უმსხვილეს საინვესტიციო ინფრასტრუქტურულ პროექტს, შუახევიჰესის მშენებლობას ახორციელებს. ინვესტიციის მოცულობა შეადგენს 416 მილიონ ამერიკულ დოლარს. პროექტის ფარგლებში დასაქმებულია საქართველოს 730 მოქალაქე.

შუახევიჰესის მშენებლობის პარალელურად, კომპანია აჭარაში ახორციელებს 70-ზე მეტ სოციალურ პროექტს, რომელთა მიზანიც რეგიონის გრძელვადიანი განვითარებაა. პრიორიტეტული მიმართულება ხულოსა და შუახევის მუნიციპალიტეტებში განათლებისა და ცნობიერების ამაღლების ხელშეწყობაა **(შეხვედრა 2016:).**

აჭარის რეგიონში, ისევე როგორც კერძო ადგილობრივი და უცხოური ინვესტიციები, დამატებითი ღირებულების შექმნასა და დასაქმების ზრდაში, ასევე მნიშვნელოვანია, რეგიონის ტერიტორიაზე მიმდინარე, დასრულებული და დაგეგმილი სახელმწიფო საინვესტიციო-ინფრასტრუქტურული პროექტების განხილვა.

2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით პორტფელის ღირებულებითმა მოცულობამ შეადგინა 248.5 მლნ. ლარი, რომლის ძირითადი ნაწილი მოდის საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებაზე - 51%, შემდეგ პოზიციაზეა მოდის წყალმომარაგე-

ბის და წყალარინების სისტემების მშენებლობა-რეაბილიტაცია - 10,5%, საგანმანათლებლო, კულტურული და სპორტული დაწესებულებების მშენებლობა-რეაბილიტაცია - 10,4%, დასუფთავება და ნარჩენების მართვა - 3.3%, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვა - 6,4%, გარემოს დაცვითი ღონისძიებები - 4.9%, სოფლად განვითარების ხელშეწყობა - 3.0%, ხოლო დანარჩენი 10.6% მოდის სხვა ინფრასტრუქტურულ ღონისძიებებზე.

დიაგრამა №14

ინვესტიციების განაწილება პრიორიტეტების მიხედვით



წყარო: დიაგრამა შედგენილია ავტორის მიერ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მონაცემებზე დაყრდნობით.

ასევე 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით განხორციელებული, მიმდინარე და დაგეგმილი სახელმწიფო საინვესტიციო-ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსების წყაროების 81% მოდის საბიუჯეტო სისტემის სხვადასხვა დონის (სახელმწიფო, რესპუბლიკური, ადგილობრივი) ბიუჯეტებიდან გამოყოფილ ასიგნებებზე, ხოლო 19% - საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტებისა (აზიის განვითარების ბანკი - ADB, ევრო-ბანკი - EBRD, მსოფლიო ბანკი WB) და სხვა ფინანსური მხარდაჭერის მექანიზმებზე.

დიაგრამა №15

ინვესტიციების განაწილება დაფინანსების წყაროების მიხედვით



წყარო: დიაგრამა შედგენილია ავტორის მიერ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მონაცემებზე დაყრდნობით.

სახელმწიფო საინვესტიციო-ინფრასტრუქტურული პროექტების 39% მოდის თვითმმართველ ქალაქ ბათუმზე, 31% - ქობულეთის მუნიციპალიტეტზე, 11% - ხელ-ვაჩაურის მუნიციპალიტეტზე, 5% - ხულოს მუნიციპალიტეტზე, 5% - ქედის მუნიციპა-ლიტეტზე, 3,6% - შუახევის მუნიციპალიტეტზე, ხოლო დანარჩენი 5% მოდის საერთო რეგიონულ პროექტებზე.

დიაგრამა №16

ინვესტიციების განაწილება თვითმმართველი ერთეულების მიხედვით



წყარო: დიაგრამა შედგენილია ავტორის მიერ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მონაცემებზე დაყრდნობით.

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ინვესტიციების განხილვის პარალელურად, ასევე საჭიროა მიმოვიხილოთ ადგილობრივ შრომის ბაზარზე არსებული მდგომარეობა, რადგან ინვესტიციების ზრდას უნდა მოყვეს ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმების ზრდა, შესაბამისად, თუ შრომის ბაზარი დღეს არსებული მოთხოვნების შესაბამისად ვერ მოახერხებს სათნადო სპეციალობისა თუ კვალიფიკაციის კადრების მიწოდებას დამსაქმებლებზე, მაშინ ინვესტიციების ზრდას ვერ ექნება სათანადო ეფექტი უმუშევ-რობის შემცირებაზე.

როგორც ზემოთ აღინიშნა, საქართველოს შრომის ბაზრის მოთხოვნის კომპონენ-ტის არსებული და მოსალოდნელი ტენდენციების გამოვლენის მიზნით განახორციელა სოციოლოგიური კვლევა, რომლის მიხედვითაც აჭარის ა/რ-ში ყველაზე მოთხოვნად პროფესიებს შორის დასახელდა მაღაზიის გაყიდვების ასისტენტები, უცხო ენის მას-წავლებლები, საშუალო განათლების სფეროს მასწავლებლები, კურიერები და პორ-ტიეები, მცხობელები, კონდიტერები და ტკბილეულის დამამზადებლები.

აჭარის ა/რ-ში ყველაზე ხშირად მშენებლობის, ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებლისათვის მომსახურების გაწევის, სასტუმროებისა და რესტორ-ნების, ასევე ვაჭრობის ბიზნესი, გვხვდება.

კვლევის თანახმად, გეოგრაფიული არეალის მიხედვით, უცხოელი მუშახელის დასაქმების მაჩვენებელი თბილისის შემდეგ ყველაზე მაღალია აჭარის ა/რ-ში.

დიაგრამა №17

უცხოელი სამუშაო ძალის განაწილება რეგიონების მიხედვით (%)



წყარო: საქართველოს შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო - შრომის ბაზრის მოთხოვნის კომპონენტის კვლელვა, თბილისი 2015 წელი.

როგორც დანარჩენ საქართველოში, ასევე აჭარის ა/რ-შიც გამოიკვეთა, რომ მაღალი უმუშევრობის პირობებშიც კი, დამსაქმებლებს უჭირთ მათთვის საჭირო სპეციალობისა და კვალიფიკაციის მქონე კადრების მოძიება და მოზიდვა. ასევე რეგიონში სამუშაოს მაძიებელთა რაოდენობა საგრძნობლად აჭარბებს გამოცხადებულ ვაკანსიებს. კანდიდატების დაბალი პროფესიონალიზმი და ის გარემოება, რომ მთელი რიგი პროფესიის კადრები რეგიონში არ მზადდება, ხშირ შემთხვევაში, სტრუქტურულ უმუშევრობას იწვევს. შესაბამისად, რეგიონშიც მნიშვნელოვანი დისბალანსია სამუშაო ძალაზე მოთხოვნასა და მიწოდებას შორის.

რეგიონში დამსაქმებლებისათვის პრობლემატურია უმაღლესი განათლების კვალიფიკაციის სპეციალისტების (სპეციალისტ-პროფესიონალები), სამშენებლო და მომსახურების სფეროს პერსონალის მოძიება. დამსაქმებლებში საკმაოდ დიდი მოთხოვნაა სხვადასხვა სპეციალობის ხელოსნებზე. ასევე გამოიკვეთა, რომ კადრების სიმცირეა განსაკუთრებით ისეთ ეკონომიკურ სფეროებში, რომლებსაც ტექნიკური მუშახელი სჭირდებათ.

გამოიკვეთა რიგი პროფესიები, როგორიცაა იურისტი, ექიმი, მშენებელ–ინჟინერი, ინჟინერ-მექანიკოსი, არქიტექტორი, ბუღალტერი, ფინანსისტი, მარკეტინგის მენეჯერი, გაყიდვების მენეჯერი, რომლებიც დეფიციტურია რეგიონებისთვის, რაც ბოლო პერიოდში შრომითი ბაზრის მობილობის ტენდენციის ზრდას უკავშირდება. პროფესიონალი კადრებისთვის უფრო მიმზიდველია დედაქალაქი, სადაც მეტია დასაქმებისა და პროფესიული ზრდის შესაძლებლობები, ასევე მაღალია შრომის ანაზღაურება, რაც თავისთავად, შიდა მიგრაციის ზრდას განაპირობებს.

კონკრეტულ სექტორებში, როგორიცაა სხვადასხვა ტიპის წარმოება, რეგიონისთვის დამახასიათებელია დეფიციტური კადრების უცხოელებით, კერძოდ, თურქი სპეციალისტებით შევსება, რაც, ცხადია, აჭარის რეგიონის გეოგრაფიული მდებარეობით აიხსნება. წარმოების სფეროში თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვის შედეგად, შრომის ბაზარზე კვალიფიციური ინჟინერ-მექანიკოსების საჭიროება დადგა. ადგილობრივი კადრების კვალიფიკაცია არ აკმაყოფილებს დამსაქმებელთა მოთხოვნებს. შესაბამისად ხდება უცხოეთიდან მუშახელის დაქირავება, რადგან მათ ადგილობრივ კადრებზე მეტი ინფორმაცია აქვთ თანამედროვე ტექნოლოგიებზე. გარდა

ამისა, ხშირ შემთხვევაში, თანამშრომელთა თურქეთიდან შერჩევას საწარმოებისა და სამშენებლო ორგანიზაციების მანქანა-დანადგარების თურქული წარმოება განსაზღვრავს **(საქართველოს 2015ე: 29,43,44).**

აქვე აღსანიშნავია, რომ რეგიონში მოქმედებს სსიპ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დასაქმების სააგენტო, რომელიც შეიქმნა აჭარის ა/რ მთავრობის 2011 წლის 13 სექტემბრის №43 დადგენილებით და ის წარმოადგენს ერთადერთ სახელმწიფო დაწესებულებას რეგიონში, რომელიც აწარმოებს საშუამავლო საქმიანობას დამსაქმებელსა და სამუშაოს მაძიებელს შორის. სსიპ აჭარის ა.რ. დასაქმების სააგენტოს მთავარ მიზანს წარმოადგენს დასაქმება და დასაქმების ხელშეწყობა აჭარის რეგიონში.

ცხრილი№9

სსიპ ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დასაქმების სააგენტოს“ სტატისტიკური მონაცემემები 2012–2016 წლების საშუამავლო მომსახურების შედეგად დარეგისტრირებულ და დასაქმებულ პირთა შესახებ

№	წლები	დარეგისტრირებული სამუშაოს მაძიებელი	სულ დასაქმებული	მათ შორის გრძელვადიანი სამუშაო	მათ შორის დროებითი სამუშაო	მათ შორის ერთჯერადი სამუშაო	სულ რეგისტრირებული	დასაქმებულთა (%) წილი
1	2	3	4	5	6	7	8	9
1	2012	9674	4906	2292	2173	441	9674	50.71
2	2013	4689	2228	1159	786	283	14363	15.51
3	2014	2146	1703	658	259	786	16509	10.32
4	2015	2174	1347	857	195	295	18683	7.21
6	2016	2766	1663	958	328	377	21449	7.75
სულ:		**21449**	**11847**	**5924**	**3741**	**2182**	**21449**	**55.23**

წყარო: ცხრილი შედგენილია ავტორის მიერ, სსიპ ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დასაქმების სააგენტოს“ -ს სტატისტიკურ მონაცემემების საფუძველზე.

უმუშევრობის შემცირების ხელშეწყობის მიზნით, შრომის ბაზრის საჭიროებებზე ორიენტირებული პროფესიული სწავლების სისტემის განვითარების მხარდაჭერა, დასაქმების სააგენტოს ძირითადი სტრატეგიული.

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში სხვადასხვა მიმართულებებით პროფესიულ კადრებზე მოთხოვნის ზრდა, მიუთითებს, რომ რეგიონში სხვადასხვა სფეროში საინვესტიციო პროცესი აქტიურად მიმდინარეობს. შესაბამისად უცხოური ინვესტიციების მოზიდვის შედეგად რეგიონის ეკონომიკის სწრაფ განვითარებასთან და ახალი საწარმოების გაჩენასთან ერთად, შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე კადრების საკითხიც აქტუალური ხდება. თუმცა სამწუხაროდ ეს პრობლემა არა მხოლოდ აჭარაში, არამედ მთლიანად საქართველოში არსებობს, ამიტომ საჭიროა კომპლექსური და თანმიმდევრული რეფორმა განათლების სისტემაში, როგორც უმაღლესი განათლების, ასევე პროფესიული განათლების მიმართულებით. თუმცა მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანაში განათლების რეფორმები მეტნაკლებად ხორციელდება, სხვადასხვა მიმართულებისა და პროფესის მქონე კადრების საბაზრო მოთხოვნებთან შეუსაბამო ცოდნა და უნარჩვევები, განათლების პროგრამების არაეფექტურობაზე მეტყველებს. შედეგად, დამსაქმებელთათვის ხშირ შემთხვევაში პრობლემურ საკითხად რჩება სამუშაოს შესრულების ხარისხი, რაც შესაბამისად აისახება მწარმოებლურობასა და კონკურენტუნარიანობაზე.

როგორც ზემოთ ავღნიშნეთ რეგიონში გამოიკვეთა კონრკეტული პროფესიები, რომელთა დეფიციტიც დღეს აშკარაა შრომის ბაზარზე და შესაბამისად პროფესიულმა სასწავლებლებმა ორიენტაცია სწორედ, მოთხოვნადი პროფესიების სწავლებაზე და მის გაძლიერებაზე უნდა აიღონ.

ხშირ შემთხვევაში დამსაქმებლებს არ აქვთ გაცნობიერებული როგორ გაზარდონ წარმოების შესაძლებლობები ადამიანური რესურსების სტრატეგიული მართვით. ასევე დამსაქმებლები ნაკლებ მნიშვნელობას ანიჭებენ ადამიანური რესურსების დაგეგმვას და მათი განვითარებისთვის სტაბილური პირობების შექმნას, რაც თავისთავად არასწორი მიდგომაა, რადგან ყველა დაწესებულებაში, ეს იქნება სახელმწიფო თუ კერძო, კვალიფიციური კადრების მოძიებისა და მათი პერიოდული გადამზადების გარეშე, შეუძლებელია შრომის ბაზრის თანამედროვ მოთხოვნებთან გამკლავება.

ზემოთ აღნიშნული მონაცემების შედეგად გამოიკვეთა, რომ რეგიონში თუ ადრე ტურიზმი და მშენებლობა ინვესტორებისთვის ყველაზე საინტერესო იყო, ბოლო პერიოდში ამ კუთხით ენერგეტიკის სფერო ლიდერობს. თუმცა მზარდი სექტორია ასევე მრეწველობა და სამომავლოდ ამ სფეროს კიდევ უფრო გააქტიურებაა მოსალოდნელი.

შესაბამისად ინვესტიციების ზრდას სახვასხვა სფეროში, მოყვება შრომის ბაზრის ტრანსფორმაცია და ახალ სპეციალობასა თუ პროფესიებზე მოთხოვნის გაჩენა. ამიტომ ისევე როგორც მთელს ქვეყანაში, რეგიონშიც უცხოური ინვესტიციების ზრდასთან ერთად უნდა მოხდეს შრომის ბაზარზე არსებული მოთხოვნების შესაბამისად კადრების მომზადება და ინვესტორებისთვის შეთავაზება, რაც თავისთავად რეგიონში გამოიწვევს დასაქმების ზრდასა და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის კიდე უფრო გაუმჯობესებას.

3.3. ინვესტიციების გავლენა შრომითი პოტენციალის ჩამოყალიბებაზე

საქართველოს ეკონომიკის თანმიმდევრული განვითარება და სამუშაო ადგილების შექმნა, რაც დღევანდელობის ერთ-ერთი დიდი პრობლემაა, შეუძლებელია მოხდეს უცხოური ინვესტიციების გარეშე. აქედან გამომდინარე, თუ არ მოხდა ქვეყანაში ინვესტიციების ზრდა და შესაბამისად სამუშაო ადგილების შექმნა, რაც თავისთავად უნდა მოხდეს მოთხოვნის შესაბამისი სპეციალობისა და კვალიფიკაციის მქონდე კადრების შრომის ბაზარზე მიწოდებით, შეუძლებელია შევაჩეროთ ისეთი ნეგატიური პროცესები, როგორიცაა სოციალურ-ეკონომიკური გაჭირვება, ემიგრაციის ზრდა, დემოგრაფიული პრობლემები და ა.შ.

უცხოური თუ ადგილობრივი ინვესტიციების განხორციელება ყოველთვის კავშირშია ახალი სამუშაო ადგილების შექმნასთან. იმისთვის, რომ ქვეყანაში მოხდეს გარკვეული სახის ინვესტირება, ამისათვის საჭიროა ქვეყნის მოქალაქეებმა შექმნან გარკვეული დანაზოგები და შემდგომ მოახდინონ სხვადასხვა სფეროში ინვესტირება, მაგრამ თუ ეს დანაზოგები არის მცირე ან საერთოდ არ არის, მაშინ აღნიშნული უკმარისობა უნდა შეივსოს უცხოური ინვესტიციებით, როგორც ხდება დღეს საქართველოში, რადგან ადგილობრივი დანაზოგები მინიმალურია ან საერთოდ არ არის, შესაბამისად ქვეყანა დამოკიდებულია უცხოურ ინვესტიციებზე და მუდმივად მისი ზრდის მოლოდინშია საზოგადოება. ამ დროს ჩვენი საზოგადოების დიდი ნაწილი მიჩვეულია, რომ დანაზოგების გაკეთების ნაცვალდ, თუ ამისი შესაძლებლობა ექნება, დღეს უფრო მეტი დახარ-

ჯოს, ვიდრე ამის საშუალებას მათი შემოსავალი აძლევს და როდესაც დგებიან იმ რეალობის წინაშე, რომ მომავალში ვეღარ ისტუმრებენ იმას, რაც წარსულში გადამეტებულად დახარჯეს, მათთვის იწვევს მნიშვნელოვან ფინანსურ პრობლემებს და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესებას. რაც ალბათ საზოგადოების გარკვეული ნაწილის დაბალი ეკონომიკური განათლების ბრალია.

საქართველოში ყველა პოლიტიკური პარტიის წინასაარჩევნო დაპირებაა, მეტი უცხოური ინვესტიციების მოზიდვა და შესაბამისად უმუშევრობის შემცირება, მაგრამ არავინ საუბრობს, იმაზე თუ გვყავს შესაბამისი სპეციალობისა და კვალიფიკაციის მქონე კადრები, რომელზეც არსებობს შრომის ბაზარზე მოთხოვნა და რომელთაც შევთავაზებთ ინვესტორებს და რეალურად გავზრდით ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმების დონეს. როგორც ზემოთ არაერთხელ ავღნიშნე, დღეს საქართველოს შრომის ბაზარზე სერიოზული დისბალანსია მოთხოვნა-მიწოდებას შორის, ამიტომ იმისათვის, რომ გავზარდოთ თითოეული განხორციელებული ინვესტიციის შედეგად ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმების დონე, საჭიროა შრომის ბაზარზე დღეს არსებული მოთხოვნების შესაბამისად მოხდეს კადრების მომზადება, როგორც უმაღლეს, ასევე პროფესიულ სასწავლებლებში, სადაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამების დღევანდელი მოთხოვნების შესაბამისად შეცვლა და დანერგავ, რათა საბოლოო ჯამში აღმოიფხვრას აღნიშნული დისბალანსი მოთხოვნა-მიწოდებას შორის და შედეგად მოვახერხოთ კიდე უფრო მეტი ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმება ყოველი განხორციელებული ინვესტიციის შედეგად.

დიაგრამა №18



წყარო: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2015 წლის კურსდამთავრებულთა კვლევის ანგარიში.

თუ განვიხილავთ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2015 წლის კურსდამთავრებულთა კვლევის ანგარიშს, რომლის მიზნებსაც წარმოადგენდა: იმ ცვლილებების გამოვლენა რასაც ადგილი ჰქონდა სწავლის დასრულების შემდგომ ბენეფიციართა ცხოვრებაში და იმის განსაზღვრა შეუწყო თუ არა ხელი საგანმანათლებლო ინტერვენციამ აღნიშნული ცვლილებების განხორციელებას, აღმოვაჩენთ, რომ იმ კურსდამთავრებულებს, რომლებმაც პროფესიულ საგანამანთლებლო პროგრამაზე სწავლის დასრულების შემდეგ მუშაობა დაიწყეს, მაგრამ არა საკუთარი სპეციალობით, ამის მთავარ მიზეზად 49.1% აცხადებს, რომ პროფესიით ვერ დასაქმებაა, 7% მიზეზად კვალიფიკაციის ნაკლებობას ასახელებს, 5% აღნიშნავს, რომ ხელფასი იყო არადამაკმაყოფილებელი, 4% აცხადებს, რომ სამუშაო გრაფიკი იყო არადამაკმაყოფილებელი და სხვა **(საქართველოს 2015ბ:).**

იმ დროს როცა ბიუჯეტიდან მილიონობით თანხები (2015 წელს დაიხარჯა 28,182.6 მლნ. ლარი, 2016 წელს 30,273.0 მლნ. ლარი და 2017 წელს დაგეგმილია 34,628.0 მლნ. ლარი) იხარჯება პროფესიულ განათლებაზე და კურსდამთავრებულთა 49.1% აცხადებს, რომ ვერ საქმდება მიღებული ცოდნისა და პროფესიის შესაბამისად, ეს უბრალოდ თანხების არამიზნობრივი და არაეფექტური ხარჯვაა. ამიტომ ჩვენ ვფიქრობთ როგორც უმაღლეს საგანამანათლებლო დაწესებულებებში, ასევე პროფესიულ სასწავლებლებში კადრების მომზადება ყოველთვის უნდა მოხდეს შრომის ბაზრზე არსებული მოთხოვნების შესაბამისად, რათა სწავლის დასრულების შედეგ თითოეული მათგანი დასაქმდეს თავისი პროფესიითა და სპეციალობით.

საქართველოში პოსტსაბჭოთა პერიოდიდან მოყოლებული დღემდე, საზოგადოების დიდი ნაწილის მხირიდან მიდის ბრძოლა იმასთან დაკავშირებით, რომ გვქონდეს დიპლომი და არა ცოდნა, გვქონდეს კავშირები და არა კრეატიული, კრიტიკული აზროვნება, გვქონდეს სუბსიდიები და არა კონკურენცია, გვქონდეს მხოლოდ უმაღლესი და არა პროფესიული განათლება, გვქონდეს ხარისხი ბიზნესში, ფინანსებში, მენეჯმენტში და არა მათემატიკაში, ფიზიკაში ან ბიოლოგიაში და ა.შ. აღნიშნულთან დაკავშირებით საზოგადოების დიდი ნაწილის მსგავსი დამოკიდებულებების ქონა, ვფიქრობ ჩვენი ქვეყნის ეკონომიკურ განვითრებას მნიშვნელოვნად აფერხებს და აზარალებს ჩვენს მომავალ თაობას.

ხშირ შემთხვევაში ქვეყანაში უცხოელ ინვესტორს მოაქვს არა მხოლოდ კაპიტალი, თანამდეროვე ტექნოლოგიები და სხვადახვა ინოვაციები, არამედ, მოჰყავს უცხოელი შრომითი რესურსი, როგორც მართვის აპარატში, ასევე მაღალანაზრაურებადი ინჟინერ-ტექნიკური პერსონალი და ზოგჯერ მუშებიც კი და ამის მიზეზად ხშირ შემთხვევაში ასახელებს ადამიანური რესურსების კვალიფიკაციის დაბალ დონეს ქვეყანაში. ხშირ შემთხვევაში ქვეყანაში უცხოელი მუშახელის დასაქმების მიზეზია ადგილობრივ შრომის ბაზარზე სხვადასხვა სპეციალისტისა თუ კვალიფიკაციის მქონე კადრების არ არსებობა. ამიტომ გამოსავალი განათლების სფეროს მოდიფიცირებაშია, სადაც მოხდება მოთხოვნადი კადრების მომზადება და შეთავაზება ინვესტორებისათვის, რაც გაზრდის ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმების დონეს.

საქართველო დღეს ცდილობს რაც შეიძლება მეტი უცხოური ინვესტიციის მოზიდვას, ქვეყანაში არსებული სასურველი საინვესტიციო გარემოს შექმნით და ასევე იაფი მუშახელის შეთავაზებით, თუმცა შეთავაზებულ იაფ მუშახელს ძირითადად არ შეუძლია ხარისხიანად მშენებლობა, მომსახურების გაწევა, რემონტი, გზების დაგება, ინოვაციური პროდუქტის შექმნა და ა.შ. ასევე ქვეყანაში პრობლემურია თანამედროვე ტექნოლოგიების სათანადო დონეზე ფლობა და ახალი ტექნოლოგიების შექმნა. ამიტომ მანამდე, სანამ ქვეყანაში სისტემურად არ შეიცლება მიდგომა და არ მოხდება კვალიფიცირებული კადრების შრომის ბაზარზე არსებული მოთხვნის შესაბამისად მომზადება და ინვესტორებისთვის მიწოდება, ვერ მოხერხდება უცხოური ინვესტიციების მნიშვნელოვანი ზრდის შემთხვევაშიც კი ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმების დონის მნიშვნელოვანი ზრდა. ასევე გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ ჩვენს ირგვლივ ყველა ქვეყანა ცდილობს უცხოური კაპიტალის მოზიდვას, ამიტომ ინვესტორს დიდი არჩევანი აქვს, შესაბმისად ამ მიმართულებით მაღალია კონკურენციაც.

სანამ არ ვაღიარებთ, რომ ქვეყანაში დღეს ყველაზე პრობლემურია კვალიფიცირებული კადრების ნაკლებობა და ამის მოგვარებაზე დღეს არ დავიწყებთ ზრუნვას, ასევე არ დავიწყებთ თანამედროვე ტექნოლოგიების დაუფლებასა და შექმნას, ვერასოდეს მოვახერხებთ გამოვიდეთ ამ მოჯადოებული წრიდან.

გარდა უცხოური ინვესტიციების სტატისტიკისა და მათი მოზიდვის შედეგად დასაქმების ზრდისა, ასევე აუცილებლად უნდა აღინიშნოს, ის სახელმწიფო საინვესტიციო

პროექტები და პროგრამები, რომლებიც ხელს უწყობენ დასაქმებას შრომის ბაზარზე. ამიტომ მნიშვნელოვანია დღეს სახელმწიფოს მხარდაჭერითა, თუ თანამონაწილეობით ქვეყანაში განხორციელებული ინვესტიციების შედეგად, დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნასთან დაკავშირებით არსებული სახელმწიფო პროექტებისა, თუ პროგრამების განხილვა.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს მთავრობის ინიციატივით, 2014 წლის ივნისიდან, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების და სოფლის მეურნეობის სამინისტროების მიერ ახალი სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ განხორციელება დაიწყო. აღნიშნული პროგრამის ძირითად დანიშნულებას მეწარმე-სუბიექტების მხარდაჭერის, ახალი საწარმოების შექმნის/არსებული საწარმოს გაფართოების ან გადაიარაღების გზით საქართველოში სამეწარმეო კულტურის განვითარება და საექსპორტო პოტენციალის ზრდა წარმოადგენს **(სახელმწიფო 2017:).**

პროექტის აწარმოე საქართველოში მხარდაჭერით საწარმოების შექმნა შესაძლებელია შემდეგი მიმართულებით:

წარმოების მიმართულება: მინერალური პროდუქტები; სამშენებლო მასალები; ქაღალდი და მუყაო; ხის გადამუშავება; ლითონის ნაწარმი; ქიმიური წარმოება; რეზინა და პლასტმასი; ფარმაცევტიკა; მანქანათმშენებლობა; საფეიქრო წარმოება; ელექტრო მოწყობილობები; მინერალური წყალი; ბიტუმოვანი პროდუქტები და საკვები პროდუქტები.

სოფლის მეურნეობა: მაღალტექნოლოგიური სასათბურე მეურნეობა; მაღალტექნოლოგიური მესაქონლეობის ფერმა; ცხოველების, ფრინველების, თევზების საკვების საწარმო; მაღალტექნოლოგიური მეფრინველეობის ფაბრიკა; ხილის, კენკროვანის, ციტრუსის, ბოსტნეულის გადამუშავება; კაკლოვნების გადამუშავება; მატყლის, ტყავის გადამუშავება; დაფნის, ჩაის, თამბაქოს გადამუშავება.

პროგრამა ,,აწარმოე საქართველოში“ მოიცავს ხუთ კომპონენტს:

1. ფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომობა;
2. ინფრასტრუქტურაზე (უძრავი ქონება) ხელმისაწვდომობა;
3. საკონსულტაციო მომსახურება;
4. კინოინდუსტრიის ხელშეწყობის კომპონენტი „გადაიღე საქართველოში“;
5. სასტუმრო ინდუსტრიის განვითარების კომპონენტი „უმასპინძლე საქართველოში“.

ფინანსებზე ხელმისაწვდომობის კომპონენტი გულისხმობს მეწარმე სუბიექტის მიერ მიღებული კომერციული სესხის/ლიზინგის საგნის წლიური საპროცენტო განაკვეთის თანადაფინანსებით 0%-დან მაქსიმუმ 3% წლიური საპროცენტო განაკვეთის მქონე კომერციული სესხით.

ინფრასტრუქტურაზე ხელმისაწვდომობის კომპონენტი გულისხმობს სახელმწიფოს ბალანსზე არსებული ქონების გადაცემას მეწარმე სუბიექტისთვის სიმბოლურ ფასად – 1 ლარად. რომელსაც ახლავს გარკვეული საინვესტიციო ვალდებულებები.

საკონსულტაციო მომსახურება პროგრამის ფარგლებში - ბენეფიციარს ექნება საშუალება ისარგებლოს საკონსულტაციო მომსახურების, მაქსიმუმ 20,000 ლარიანი თანადაფინანსებით **(სახელმწიფო 2017:).**

კინოინდუსტრიის წახალისების კომპონენტის „გადაიღე საქართველოში“ - ფარგლებში უკვე რამდენიმე უცხოური პროექტი განხორციელდა. ახალი პროგრამა კინოწარმოებით დაინტერესებულ ადგილობრივ თუ საერთაშორისო პროდიუსერებს შესაძლებლობას აძლევს საქართველოში გადაიღონ ფილმი თუ სხვა სახის აუდიო/ვიზუალური პროდუქცია და კვალიფიციური ხარჯების 20-25%-მდე უკან დაიბრუნონ. პროექტების განხორციელების შედეგად ჯამურად 8 799 355 მილიონ ლარი დაიხარჯა, გადაღებებისას კი დასაქმებულთა რაოდენობამ 650 ადამიანი შეადგინა.

სასტუმრო ინდუსტრიის განვითარების კომპონენტის თანახმად - სახელმწიფოს ფინანსური მხარდაჭერით დაინტერესებულ მეწარმეს ეძლევა შესაძლებლობა საქართველოს ნებისმიერ რეგიონში თბილისისა და ბათუმის გარდა, ააშენოს ახალი სასტუმრო, მოახდინოს არსებული ინფრასტრუქტურის გაფართოება/გადაიარაღება და ასევე გააფორმოს ფრენჩაიზინგის ხელშეკრულება სასტუმროს საერთაშორისო ოპერატორთან და შემოიყვანოს უცხოური ბრენდი ქართულ ბაზარზე. პროექტი დიდი წარმატებით სარგებლობს და უკვე მხარდაჭერილია 16 მეწარმე სუბიექტი, რომელთა ჯამური ინვესტიციის მოცულობა აღემატება 30.6 მლნ ლარს, კომერციული ბანკების მიერ გაცემული სესხების მოცულობა კი ჯამში 16.8 მლნ ლარზე მეტია, ხოლო აღნიშნული პროექტების მეშვეობით, ჯამურად 467 ადამიანი დასაქმდება და ქართულ სასტუმრო ინდუსტრიას 447 დამატებითი ახალი ოთახი შეემატება **(სახელმწიფო 2017:).**

2016 წელს (28 ოქტომბრის მდგომარეობით) პროგრამის - „აწარმოე საქართველოში“ ფარგლებში განხორციელდა 2 752 პროექტი, რომლის ჯამურმა ღირებულებამ შეადგინა 243 454 010 ლარი. დაფინანსებული პროექტების მიხედვით დასაქმდა მთლიანობაში 12 423 ადამიანი.

2016 წელს ყველაზე მეტი თანხა დაიხარჯა ინდუსტრიული განვითარების პროგრამებში, რაც პირდაპირ აისახა სამუშაო ადგილების გენერაციაზე - შეიქმნა 6 350 სამუშაო ადგილი.

5000 სამუშაო ადგილი კი შეიქმნა მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის პროგრამებით **(საქართველოს 2016: 15).**

დიაგრამა №19

დაფინანსებული პროექტები "აწარმოე საქართველოში"
2016 (ლარი)



წყარო: საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო.

რაც შეეხება მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის განვითარების პროგრამას, მისი უმთავრესი ამოცანაა რეგიონებში მიკრო და მცირე ბიზნესის განვითარება მეწარმე

სუბიექტების მხარდაჭერისა და რეგიონული ბაზრების განვითარების გზით. აღსანიშნავია, რომ მიკრო და მცირე მეწარმეობის პროგრამის ხელშეწყობის ფარგლებში, ბოლო მონაცემებით მხარდაჭერილია 3 205 პროექტი, რომელთა ჯამური ინვესტიციის მინიმალური მოცულობა შეადგენს 29 155 007 ლარს, ამასთანავე თანადაფინანსების სახით გაიცა 22 942 704 ლარი. ხოლო ჯამურად დასაქმდება 8 000-მდე ადამიანი, ამ ეტაპისთვის კი 5000 სამუშაო ადგილია შეიქმნილი.

აღსანიშნავია, რომ 2016 წლიდან დაიწყო პროექტი „სტარტაპ საქართველო“, რომლის მიზანია, ფინანსური სახსრები მიეცეთ მათ, ვისაც არ აქვს შანსი, უნიკალური, სიახლეზე ორიენტირებული ბიზნესიდეები განახორციელოს და საკუთარი ბიზნესი წამოიწყოს. „სტარტაპ საქართველოსგან" თანადაფინანსების ოდენობა განსაზღვრულია 15,000 ლარიდან 100,000 ლარამდე. პროგრამის პირველ ეტაპზე, სახელმწიფოს მხრიდან 11 მილიონ ლარია გამოყოფილი, რომლითაც ინოვაციური და მაღალტექნოლოგიური სტარტაპები დაფინანსდება. სამომავლოდ, უფრო მეტი სტარტაპის დაფინანსების მიზნით, პროგრამის ბიუჯეტი, შესაძლოა, 35 მილიონ ლარამდე გაიზარდოს.

აღნიშნული პროექტის ფარგლებში მაღალტექნოლოგიური მიმართულებებია: ავიაკოსმიური წარმოება; ავტომობილები; ხელოვნური ინტელექტი; ბიოტექნოლოგიები; ბიოინფორმატიკა; კომპიუტერული ინჟინერია; კომპიუტერული მეცნიერება; ინფორმაციული ტექნოლოგიები; ნანოტექნოლოგიები; ბირთვული ფიზიკა; ელექტრომაგნიტური გამოსხივება; რობოტიკა; ნახევარგამტარები; ტელეკომუნიკაცია **(ინოვაციური 2016:).**

2016 წელს პროგრამის - „სტარტაპ საქართველო“ ფარგლებში განხორციელდა 55 მაღალტექნოლოგიური (20) და ინოვაციური სტარტაპ (33) პროექტი, რომლის ჯამურმა ღირებულებამ შეადგინა 5 087 712 ლარი.

ინოვაციური სტარტაპების ჯამური ღირებულება იყო 3 087 712 ლარი, აქედან სახელმწიფოს მიერ გაწეულმა დაფინანსებამ შეადგინა - 2 471 796 ლარი, რაც პროგრამების საერთო ღირებულების 80%.

მაღალტექნოლოგიური სტარტაპების ფარგლებში დასაქმდა 114 ადამიანი, ხოლო ინოვაციური სტარტაპების ფარგლებში - 287. ამ უკანასკნელიდან მუდმივად დასაქმდა - 185, დროებით - 52 და სეზონურად 50 ადამიანი (საქართველოს 2016: 14).

ქვეყნისთვის ყველაზე დიდი ეფექტი, გარდა სხვა დანარჩენი სარგებლისა, რაც ზემოთ აღნიშნულ პროგრამებს მოაქვს, არის აზროვნებაში ცვლილება, რათა ახალგაზრდებს მიეცეთ სტიმული კიდე უფრო მეტად იფიქრონ, რომ აღნიშნული პროგრამების მეშვეობით მომავალში გახდნენ დამსაქმებლები და არა დასაქმებულები.

დიაგრამა №20

შექმნილი სამუშაო ადგილები და დაფინანსებული სტარტაპები 2016 (ლარი)



წყარო: საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო.

ის პროექტები და მიმართულებები, რომლებიც სახელმწიფოს მხარდაჭერის ფარგლებში ხორციელდება, მოითხოვს სამუშაო ძალის სათანადო ცოდნასა და უნარებს. რადგან ერთია წარმოების მხარდაჭერა სახელმწიფოს მხრიდან, მაგრამ თუ შესაბამისი მიმართულებებისა, თუ სფეროების პროფესიონალი კადრები არ იქნებიან, მაშინ შესაძლებელია სათანადო დონეზე, ხარისხით ან საერთოდაც კი, ვერ განხორციელდეს სახელმწიფოს მხრიდან მხარდაჭერილი სხვადასხვა მიმართულების პროექტები. ამიტომ პროექტის, აწარმოე საქართველოში მხარდაჭერის ფარგლებში განხორციელებული

პროექტი იქნება ეს, თუ სტარტაპების ხელშეწყობის პროგრამის მხარდაჭერით განხორციელებული პროექტი, ნებისმიერი ახალი მიმართულების თუ სფეროს გაჩენა, თავისთავად მოთხოვნას აჩენს შესაბამისი პროფესიისა და კვალიფიკაციის მქონე სამუშაო ძალაზე, რაც თავისთავად შრომის ბაზრის ტრანსფორმაციას ახდენს. ამიტომ საჭიროა როგორც სხვა ნებისმიერ შემთხვევაში, შესაბამისი სპეციალობისა და კომპეტენციის მქონე სპეციალისტების შრომის ბაზარზე მიწოდება. აღნიშნული კადრების მომზადება კი, უნდა მოხდეს, მოთხოვნებიდან გამომდინარე, შესაბამისი სასწავლო პროგრამების დანერგვისა და განხორციელების საფუძველზე, როგორც უმაღლეს სასწავლებლებში, ასევე პროფსასწავლებლებში. ყოველთვის, ახალ პროფესიებზე მოთხოვნის გაჩენა, ასევე მოითხოვს განათლების სისტემაში, მუდმივად ახალი სასწავლო პროგრამების დანერგვასა და მის სათანადო დონეზე განხორციელებას.

ერთისმხრივ იმისთვის, რომ შეგვესწავლა საზოგადოებრივი აზრი უცხოურ ინვესტიციებთან დაკავშირებით და მეორესმხრივ, გაგვეგო საქართველოში სხვადასხვა სფეროში მოღვაწე ინვესტორების დამოკიდებულება საინვესტიციო გარემოს, შრომით რესურსებთან და დასაქმებასთან დაკავშირებით, ჩავატარეთ ორი რაოდენობრივი კვლევა შემთხვევითი შერჩევის საფუძველზე.

პირველი კვლევის ძირითადი მიზანი იყო საქართველოს საზოგადოების დამოკიდებულების შესწავლა უცხოურ ინვესტიციებთან დაკავშირებით, რისთვისაც საჭირო შემდეგ კითხვებზე პასუხის გაცემა:

- მნიშვნელოვანია თუ არა, ქვეყნაში უცხოური ინვესტიციები;
- მნიშვნელოვანია თუ არა უცხოური ინვესტიციის წარმომავლობა;
- უცხოური ინვესტიციების გარეშე, ქვეყანა შეძლებს თუ არა, ეკონომიკურ წინსვლასა და განვითარებას;
- რომელ სფეროებშია უფრო მეტად მოსაზიდი და განსახორციელებელი უცხოური ინვესტიციები;
- რა უნდა გაკეთდეს ქვეყნაში უფრო მეტი უცხოური ინვესტიციის მოსაზიდად;
- მისაღებია თუ არა ქართული საზოგადოებისათვის უცხოელ ინვესტორებზე სახელმწიფო ქონების სიმბოლურ ფასად, 1 (ერთი) ლარად გადაცემა;
- რამდენად უწყობს ხელს უცხოური ინვესტიციები დასაქმებას;

- ქვეყანაში გვყავს თუ არა შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე კადრები, რომლებიც შეიძლება შევთავაზოთ ინვესტორებს;
- საზოგადოების აზრით უცხოელი ინვესტორები ადგილობრივ (უფრო ნაკლებს) და უცხოელ მუშახელს (უფრო მეტს) განსხვავებულ შრომის ანაზრაურებას უხდიან თუ არა;

რაოდენობრივი კვლევის ფარგლებში გამოიკითხა 312 (სამას თორმეტი) რესპოდენტი. კვლევამ მოიცვა მთელი საქართველო. კვლევა მიმდინარეობდა 2016 წლის 20 მაისიდან ამავე წლის 20 ივნისის ჩათვლით.

რესპოდენტების 96% მიიჩნევს, რომ უცხოური ინვესტიციები მნიშვნელოვანია ქვეყნისათვის, 1% მიიჩნევს, რომ არ არის მნიშვნელოვანი, ასევე 1%-მა არ იცის პასუხი დასმულ კითხვაზე და 2%-ს კი უჭირს საერთოდ პასუხის გაცემა.

დიაგრამა №21



წყარო: დიაგრამა შედგენილია ავტორის მიერ, კვლევის შედეგებზე დაყრდნობით.

ინვესტიციების მნიშვნელობა საზოგადოებრივმა აზრმაც დადასტურა, თუმცა ასევე მნიშვნელოვანია საზოგადოების აზრი, იმასთან დაკავშირებით, რომ აქვს თუ არა მნიშვნელობა რომელი ქვეყნიდან იქნება განხორციელებული უცხოური ინვესტიცია საქართველოში, რესპოდენტთა 70% თვლის, რომ მნიშვნელოვანია რომელი ქვეყნიდან

განხორციელდება უცხოური ინვესტიცია, რაც ძალზედ საინტერესო დამოკიდებულების გამომხატველია, 22% კი თვლის, რომ არააქვს მნიშვნელობა, 3%-მა არ იცის პასუხი და 5%-ს უჭირს კითხვაზე პასუხის გაცემა.

დიაგრამა №22



წყარო: დიაგრამა შედგენილია ავტორის მიერ, კვლევის შედეგებზე დაყრდნობით.

კითხვა იმასთან დაკავშირებით, რომ უცხოური ინვესტიციების გარეშე შესაძლებელია თუ არა ქვეყანის ეკონომიკური წინსვლა და განვითარება, რესპოდენტთა 10% თვლის რომ შესაძლებელია უცხოური ინვესტიციების გარეშე განვითარება, 81% კი თვლის, რომ შეუძლებელია უცხოური ინვესტიციების გარეშე წინსვლა და განვითარება, 3%-მა არ იცის პასუხი დასმულ კითხვაზე და 6%-ს უჭირს პასუხის გაცემა დასმულ შეკითხვაზე.

დიაგრამა №23



წყარო: დიაგრამა შედგენილია ავტორის მიერ, კვლევის შედეგებზე დაყრდნობით.

რესპოდენტების აზრით უცხოური ინვესტიციები შემდეგ სფეროში უნდა განხორციელდეს.

დიაგრამა №24



წყარო: დიაგრამა შედგენილია ავტორის მიერ, კვლევის შედეგებზე დაყრდნობით.

კვლევის შედეგად გამოიკვეთა უფრო მეტი უცხოური ინვესტიციის მოზიდვისათვის სტიმულირების სხვადასხვა ფორმები, კერძოდ, რესპოდენტთა 33% თვლის, რომ ცვლილებები უნდა შევიდეს შესაბამის კანონმდებლობაში, 24% ფიქრობს, რომ უნდა შემცირდეს რიგი გადასახადები, 30% თვლის, რომ გარკვეული შეღავათები უნდა დაუწესდეთ უცხოელ ინვესტორებს და 13% კი ფიქრობს, რომ უნდა განხორციელდეს სხვადასხვა ღონისძიებები, როგორიცაა: საგადასახადო არდადეგები; უფრო მეტად უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა; უფრო მეტი აქტივობა სამთავრობო სტრუქტურების მხრიდან; ქვეყნის საინვესტიციო პოტენციალის უცხოელ ინვესტორებზე უკეთ გაცნობა, (თავის მხრივ ამ პროცესში აქტიურად უნდა იყოს ჩართული ქვეყნის ბიზნეს საზოგადოება); უკეთესი კომუნიკაცია ინვესტორებთან; უკეთესი საინვესტიციო გარემოს შექმნა; ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური სტაბილურობა; ინვესტორები და საერთოდ ბიზნესი დაცული უნდა იყოს სხვადასხვა პოლიტიკური და არამარტო პოლიტიკური ჯგუფების ჩარევისა და ზეწოლისაგან; ქვეყანა უნდა გამოვიდეს რუსული ინტერვენციის საფრთხისაგან; ქვეყნაში ინფრასტრუქტურის მოწესრიგება; კონკრეტული

პროექტების აქტიური პრომოუშენი; ინვესტორებთან ურთიერთობის ტაქტიკისა და სტრატეგიის სწორად განსაზღვრა; არ უნდა არსებობდეს მექრთამეობა და ამისგან დაცული უნდა იყოს ნებისმიერი, როგორც უცხოელი, ასევე ადგილობრივი ინვესტორი და ბოლოს სახელმწიფომ უნდა გაატაროს თანმიმდევრული ეკონომიკური პოლიტიკა და შექმნას შესაბამისი საინვესტიციო გარემო, რაც შემდგომში განაპირობებს უცხოური ინვესტიციების კიდე უფრო ზრდას.

დიაგრამა №25



წყარო: დიაგრამა შედგენილია ავტორის მიერ, კვლევის შედეგებზე დაყრდნობით.

უცხოელ ინვესტორებზე სახელმწიფო ქონების სიმბოლურ ფასად, 1 ლარად გადაცემა, რესპოდენტთა 68%-ისთვის მიუღებელია, რაც საკმაოდ დიდი პროცენტული მაჩვენებელია, 20% კი თვლის, რომ მისაღებია, 3%-მა არ იცის კითხვაზე პასუხი, ხოლო 8%-ს აღნიშნულთან დაკავშირებით უჭირს პასუხის გაცემა.

დიაგრამა №26



წყარო: დიაგრამა შედგენილია ავტორის მიერ, კვლევის შედეგებზე დაყრდნობით.

ჩვენთვის მისაღებია 68% რესპოდენტის სკეპტიკური დამოკიდებულება სახელმწიფო ქონების უცხოელ ინვესტორებზე 1 ლარად გადაცემასთან დაკავშირებით, რადგან დღემდე არ განხორციელებულა ანალიზი ქვეყანაში 1 ლარად გასხვისებული ქონების მიზნობრიობისა და შედეგების შესახებ.

გამოკითხულთა 95% თვლის, რომ ქვეყანაში მოზიდული და განხორციელებული ინვესტიციები ხელს უწყობენ დასაქმების ზრდასა და შრომის ბაზრის ტრანსფორმაციას, 1.67% თვლის, რომ არ უწყობს ხელს დასაქმების ზრდას, 0.67%-მა კი არ იცის პასუხი დასმულ შეკითხვაზე, ხოლო 2,66%-ს უჭირს პასუხის გაცემა.

დიაგრამა №27



წყარო: დიაგრამა შედგენილია ავტორის მიერ, კვლევის შედეგებზე დაყრდნობით.

გამოკითხულ რესპოდენტთა 52% თვლის, რომ ქვეყანაში გვყავს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე კადრები, რომლებიც შეიძლება უცხოელ ინვესტორებს შევთავაზოთ, 25% ამბობს, რომ არ გვყავს შესაბამისი კვალიფიკაციის კადრები, 8%-ს არ აქვს პასუხი, ხოლო 15%-ს უჭირს პასუხის გაცემა დასმულ კითხვაზე.

დიაგრამა №28



წყარო: დიაგრამა შედგენილია ავტორის მიერ, კვლევის შედეგებზე დაყრდნობით.

დასმულ კითხვაზე გაცემული პასუხები კიდე ერთხელ ადასტურებს, რომ შრომის ბაზარზე არსებობს დისბალანსი მოთხოვნა-მიწოდებას შორის.

ჩვენს მიერ გამოკითხული საზოგადაოების 94% თვლის, რომ უცხოელი ინვესტორები უცხოელ და ადგილობრივ მუშახელს განსხვავებულ ხელფას უხდიან, ანუ უცხოელს უფრო მეტი აქვს შრომის ანაზღაურება, ვიდრე ადგილობრივ მუშახელს, რასაც საზოგადეობა ძალიან დიდი პროცენტული მაჩვენებლით აღნიშნავს, 2% კი თვლის, რომ ხელფასებს შორის განსხვავება არ არის, 1%-მა კი, არ იცის კითხვაზე პასუხი, ხოლო 3%-ს უჭირს მოცემულ კითხვაზე პასუხის გაცემა.

დიაგრამა №29



წყარო: დიაგრამა შედგენილია ავტორის მიერ, კვლევის შედეგებზე დაყრდნობით.

რათქმაუნდა ძალიან ცუდი ფაქტია, როდესაც ჩვენს თანამემამულეს უხდიან უფრო ნაკლებ შრომით ანაზღაურებას, ვიდრე უცხოელ მუშახელს, მაგრამ ხშირ შემთხვევებში შრომის ანაზრაურებებს შორის სხვაობა ადგილობრივი სამუშაო ძალის დაბალი კვალიფიკაციით აიხსნება.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ჩატარებული კვლევის შედეგად ძირითადად გამოიკვეთა შემდეგი ძირითადი საკითხები: გამოკითხულთა უმრავლესობისთვის მნიშვნელოვანია ქვეყანაში უცხოური ინვესტიციების მოზიდვა, შესაბამისად მათი მოზიდვის გარეშე ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმების ზრდა და ჩვენი ეკონომიკურად განვითარება შეუძლებელია; საზოგადოების უმრავლესობის აზრით, ძალიან მნიშვნელოვანია ქვეყნისათვის უცხოური ინვესტიციები, ასევე ისიც თუ უცხოური ინვესტიცია რომელი ქვეყნიდან იქნება განხორციელებული; კვლევის შედეგად გამოიკვეთა რიგი დარგები და სფეროები სადაც უფრო მეტი ინვესტიციის მოზიდვა და განხორციელება უნდა მოხდეს, პრიორიტეტულობის მიხედვით ეს სფეროებია: განათლება, ჯანდაცვა, მრეწველობა, ვაჭრობა, სოფლის მეურნეობა, ენერგეტიკა, ტურიზმი და ტექნოლოგიები;

ასევე საზოგადეობის აზრით გამოიკვეთა რიგი შეღავათები და ღონისძიებები უცხოური ინვესტიციის მოსაზიდად, კერძოდ: ცვლილებები უნდა შევიდეს შესაბამის კანონმდებლობაში, უნდა შემცირდეს რიგი გადასახადები, აგრეთვე გამოიკვეთა გამოკითხული საზოგადოების უმრავლესობის უარყოფითი დამოკიდებულება სახელმწიფო ქონების უცხოელ ინვესტორებზე, სიმბოლურ ფასად, 1 ლარად გადაცემასთან დაკავშირებით; გამოკითხული საზოგადოების ნახევარზე მეტის აზრით, უცხოური ინვესტიციების მოზიდვა და განხორციელება ცალსახად უწყოფს ხელს დასაქმების ზრდას; ასევე შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე კადრებთან დაკავშირებით, რესპოდენტთა უმრავლესობა თვლის, რომ ასეთი კადრები ჩვენ გვყავს ქვეყანაში და შეგვიძლია თავისუფლად შევთავაზოთ უცხოელ ინვესტორებს; აბსოლიტური უმრავლესობა გამოკითხული საზოგადოებისა აღნიშნავს, რომ უცხოური ინვესტიციების მოზიდვისა და განხორციელების შემდეგ სმენია ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმების შესახებ; ასევე აბსოლიტური უმრავლესობის მიერ გამოიკვეთა აზრი იმასთან დაკავშირებით, რომ უცხოელი ინვესტორები შრომითი ანაზღაურებისას უფრო მეტს უხდიან უცხოელ მუშახელს, ვიდრე ადგილობრივს.

საზოგადოებრივი აზრის გაცნობის შემდგომ მნიშვნელოვნად ჩავთვალეთ რაოდენობრივი კვლევის მეორე მიმართულება, რომლის ძირითადი მიზანი იყო საქართველოში სხვადასხვა სფეროში მოღვაწე ინვესტორების დამოკიდებულების შესწავლა ქვეყანაში ინვესტირებასთან, საინვესტიციო გარემოსთან, შრომით რესურსებთან და დასაქმებასთან დაკავშირებით.

მოცემული რაოდენობრივი კვლევის ამოცანას წარმოადგენდა შემდეგი ძირითადი საკითხების გამოვლენა და შესწავლა:

- ქვეყანაში არსებული საინვესტიციო გარემოს შესწავლა;
- ქვეყანაში/რეგიონში ინვესტორებისათვის არსებული, ძირითადი პრობლემებისა და გამოწვევების გამოვლენა;
- ქვეყანაში/რეგიონში, ინვესტორებისათვის პრიორიტეტული, საინვესტიციოდ საინტერესო სფეროების გამოვლენა;

- ქვეყნის/რეგიონის დონეზე, უფრო მეტი ინვესტიციის მოსაზიდად ხელშემწყობი წინადადებებისა და შესაბამისი ღონისძიებების გამოვლენა;
- თითოეული განხორციელებული ინვესტიციის შედეგად, ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმების ხვედრითი წილის გამოვლენა, კომპანიაში დასაქმებულ ადამიანთა საერთო რაოდენობაში;
- ადგილობრივი კადრების სპეციალიზაციასა და კვალიფიკაციასთან დაკავშირებული ძირითადი პრობლემების გამოვლენა და შესწავლა;
- ინვესტორთა მიერ შემოთავაზებული, იმ გზებისა და წინადადებების გამოვლენა და შესწავლა, რაც ხელს შეუწყობს, თითოეული განხორციელებული ინვესტიციის შედეგად, ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმების ზრდას;
- ადგილობრივ შრომის ბაზარზე, არსებული დეფიციტური სპეციალობებისა და სათანადო კვალიფიკაციის მქონე სამუშაო ძალის გამოვლენა და შესწავლა;
- ინვესტორების მხრიდან, ინვესტიციების განხორციელებამდე ადგილობრივი კადრების გადამზადების შესახებ, არსებული მდგომარეობის გამოვლენა;
- ინვესტორების მიერ, კომპანიაში დასაქმებული ადამიანების პერიოდული გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების შესახებ, არსებული მდგომარეობის შესწავლა;

რაოდენობრივი კვლევის ფარგლებში გამოიკითხა 39 (ოცდაცხრამეტი) კომპანია. კვლევა მიმდინარეობდა 2016 წლის 07 ივნისიდან ამავე წლის 07 ივლისის ჩათვლით.

გამოკითხული კომპანიები საქმიანობის სფეროების მიხედვით წარმოდგენილია შემდეგი სახით: 2% მიეკუთვნება განათლების, 12%_ჯანდაცვის, 15%_მშენებლობის, 18%_მრეწველობის, 9%_ვაჭრობის, 2%_სოფლის მეურნეობის, 6%_ენერგეტიკის, 13%_ ტურიზმის, ხოლო 23% სხვა დანარჩენი.

დიაგრამა №30



წყარო: დიაგრამა შედგენილია ავტორის მიერ, კვლევის შედეგებზე დაყრდნობით.

გამოკითხულ კომპანიათა 6% თვლის, რომ ძალიან კარგი საინვესტიციო გარემოა დღეს ქვეყანაში, 24% ფიქრობს, რომ კარგი გარემოა ინვესტირებისთვის, 58% კი თვლის, რომ ნორმალური საინვესტიციო გარემოა, ხოლო 12% კი ფიქრობს, რომ ცუდი საინვეს-ტიციო გარემოა დღეს ქვეყანაში.

დიაგრამა №31



წყარო: დიაგრამა შედგენილია ავტორის მიერ, კვლევის შედეგებზე დაყრდნობით.

ინვესტორები მიუთითებენ სხვადასხვა სახის პრობლემების შესახებ, გამოკითხულ ინვესტორთა 16% აღნიშნავს, რომ ეს პრობლემები ძირითადად არის საკანონმდებლო, 33% თვლის, რომ ძირითადი პრობლემა ადმინისტრაციულია, 21% აღნიშნავს, რომ პრობლემაა არსებული საგადასახადო სისტემა, 14% კი სამოქალაქო და ბოლოს 16% სხვა დანარჩენი, კერძოდ: ქვეყანაში არსებული არასტაბილური გარემო, ფინანსური რესურ-სების ეფექტიანი და თავისუფალი ხელმისაწვდომობის არ არსებობა.

დიაგრამა №32



წყარო: დიაგრამა შედგენილია ავტორის მიერ, კვლევის შედეგებზე დაყრდნობით.

გამოკითხული კომპანიებისათვის, დღეს ქვეყანაში ინვესტირებისათვის საინტერე-სო სფეროები აღმოჩნდა: 22%_მრეწველობა, 20%_მშენებლობა, 17%_ტურიზმი, 12%_განათლება, 10%_ენერგეტიკა, 9%_სოფლის მეურნეობა, 4%_ჯანდაცვა, 4%_ვაჭრობა, ხოლო 2% მიიჩნევს, რომ საინტერესოა ინვესტირება სატრანსპორტო მომს-ხურების სფეროში.

დიაგრამა №33



წყარო: დიაგრამა შედგენილია ავტორის მიერ, კვლევის შედეგებზე დაყრდნობით.

კვლევის შედეგად, ასევე გამოიკვეთა ინვესტორების მოსაზრებები უცხოური ინვესტიციების დამატებით მოზიდვასთან დაკავშირებით, რაზედაც გამოკითხულთა 18% თვლის, რომ ცვლილებები უნდა შევიდეს შესაბამის კანონმდებლობაში, 32% ფიქრობს, რომ უნდა შემცირდეს რიგი გადასახადები, 39% თვლის, რომ გარკვეული შეღავათები უნდა დაუწესდეთ უცხოელ ინვესტორებს და 11% კი ფიქრობს, რომ უნდა იყოს ეკონომიკური სტაბილურობა, ჩამოყალიბდეს ნორმალური ეკონომიკური სისტემა და ამაღლდეს ბიუროკრატიის კვალიფიკაცია.

დიაგრამა №34



წყარო: დიაგრამა შედგენილია ავტორის მიერ, კვლევის შედეგებზე დაყრდნობით.

ძალიან საინტერესოა ინვესტორების 39%-ის მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ გარკვეული შეღავათები უნდა დაუწესდეთ უცხოელ ინვესტორებს, პირველ რიგში აუცილებელია ქვეყნის რეგიონალური განვითარებისთვის მოხდეს რიგი შეღავათების გაცემა იმ ინვესტორებზე, რომლებიც განახორციელებენ ინვესტიციას ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში. რადგან დღეს ქვეყანაში ძირთითადად ინვესტირება ხორცილედება ქვეყნის დიდ ქალაქებში, ხოლო რეგიონების განვითარება კვლავ პრობლემურ საკითხად რჩება. ამიტომ საჭიროა რიგ შემთხვევებში რეგიონების განვითარებისათვის და იქ განხორციელებულ ინვესტიციების შემთხვევაში ინვესტორებს დაუწესდეთ დამატებით, სხვადასხვა სახის შეღავათები და სტიმულები.

ასევე საგულისხმოა ინვესტორების მოსაზრება ბიუროკრატიის კვალიფიკაციის ამაღლებასთან დაკავშირებით, რაც მე ვფიქრობ ასევე პრობლემურია ქვეყანაში და ხშირ შემთხვევაში დაბალი კვალიფიკაციისა და არაკომპეტენტურობის გამო გვიანდება სხვადაასხვაა საინვესტიციო პროექტების განხილვა, დამტკიცება და შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღება, რაც უარყოფითად აისახება ნებისმიერ ინვესტორზე.

ინვესტიციის განხორციელების შემდეგ, ადგილობრივი მუშახელის დასქმებასთან დაკავშირებით, გამოკითხული კომპანიების 30% აცხადებს, რომ დაასაქმა 25-მდე ადგილობრივი მოქალაქე, 3% აცხადებს, რომ დაასაქმა 50-მდე ადგილობრივი, 12% აცხადებს, რომ მოახდინა 100-მდე ადგილობრივის დასაქმება, ხოლო 100-ზე მეტი ადგილობრივის დასაქმება მოახერხა 55%, რაც საკმაოდ დიდი პროცენტული მაჩვენებელია.

დიაგრამა №35



წყარო: დიაგრამა შედგენილია ავტორის მიერ, კვლევის შედეგებზე დაყრდნობით.

ასევე, გამოკითხულ ინვესტორთა 6% თვლის, რომ 5%-დან 25%-მდე ყავს დასაქმებული ადგილობრივი მოსახლეობა, 9% აცხადებს, რომ დასაქმებული ყავს 25%-დან 50%-მდე, 3%-ს კი დასაქმებული ყავს 50%-დან 75%-მდე ადგილობრივი მოსახლეობა და ბოლოს 82%-ს დასაქმებული ყავს 75%-დან 100%-მდე ადგილობრივი მოსახლეობა.

დიაგრამა №36



წყარო: დიაგრამა შედგენილია ავტორის მიერ, კვლევის შედეგებზე დაყრდნობით.

კვლევის შედეგად, გამოვლინდა ის ძირითადი პრობლემები, რასაც აღნიშნავენ ინვესტორები ადგილობრივ სამუშაო ძალასთან დაკავშირებით. კერძოდ გამოკითხულ ინვესტორთა 32% ასახელებს, რომ კვალიფიკაციის დაბალი დონე აქვს ადგილობრივ სამუშაო ძალას, 28%-ის აზრით ადგილი აქვს, შესაბამისი სპეციალობისა, თუ კვალიფიკაციის კადრების არ არსებობას, 11% ფიქრობს, რომ მოტივაციის არ ქონა არის ძირითადი პრობლემა, 26% ასახელებს პრობლემად სიზარმაცეს, ხოლო 3% ფიქრობს, რომ პრობლემა ზოგადად ყველა კადრში შეიძლება იყოს. პრობლემა უფრო თანამედროვე ტექნოლოგიების ცოდნასთან დაკავშირებითაა, მაგრამ თანამედროვე პირობებში არსებული სხვადასხვა სახის კურსები/ტრენინგები, რომლებიც ეხმარება ინვესტორებს ამ პრობლემების მოგვა-

რებაში, მთავარია თანამშრომელი იყოს მობილიზებული, მოტივირებული და მონდომებული.

დიაგრამა №37



წყარო: დიაგრამა შედგენილია ავტორის მიერ, კვლევის შედეგებზე დაყრდნობით.

გამოკითხული კომპანიების შეფასება ადგილობრივ სამუშაო ძალასთან დაკავშირებით, კიდე ერთხელ ცხადყოფს, რომ ყველაზე დიდი ხელის შემშლელი ფაქტორებია, ინვესტიციების განხორციელების შემდგომ ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმებასთან დაკავშირებით კვალიფიკაციის დაბალი დონე და შრომის ბაზარზე არსებული მოთხოვნადი სპეციალობისა თუ კვალიფიკაციის კადრების დეფიციტი, რასაც ემატება მოტივაციის არ ქონა, სიზარმაცე და თანამედროვე ტექნოლოგიების სათანადოდ ფლობასთან დაკავშირებული პრობლემები.

მნიშვნელოვნად გამოიკვეთა ინვესტორების მოსაზრებები, ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმების ზრდასთან დაკავშირებით, რაზედაც ინვესტორების 36% აღნიშნავს, რომ ეს მოხდება კვალიფიკაციის ამაღლების გზით, 46%-ის აზრით უნდა მოხდეს შესაბამისი სპეციალობის კადრების მომზადება, 16% კი თვლის, რომ ადგილობრივების დასაქმება გაიზრდება ანაზღაურების გაზრდის გზით და 2% გამოკითხული ინვესტორების აზრით, კი უნდა აეკრძალოთ ინვესტორებს მასობრივად უცხოელების დასაქმება და უნდა დასაქმდნენ ადგილობრივები.

დიაგრამა №38



წყარო: დიაგრამა შედგენილია ავტორის მიერ, კვლევის შედეგებზე დაყრდნობით.

ჩემი აზრით, იქედან გამომდინარე, რომ ადამიანური კაპიტალი არის ყველაზე მნიშვნელოვანი რესურსი ნებისმიერ ორგანიზაციაში, ეს იქნება კერძო თუ საჯარო, კადრი უნდა აკმაყოფილებდეს მის მიერ დაკავებული პოზიციის შესაბამის მინიმალურ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. ხოლო იმისათვის, რომ ქვეყანაში თითოეული განხორციელებული ინვესტიციის შედეგად, რაც შეიძლება მეტი ადგილობრივი მოსახლეობა დასაქმდეს, უნდა მოხდეს შესაბამისი კვალიფიკაციისა და სპეციალობის მქონე კადრების მომზადება, რაზედაც შრომის ბაზარზე არის მოთხოვნა. მათი სათანადოდ გადამზადება და შესაბამისი სპეციალობის მქონე კადრების მომზადება მუდმივად უნდა მოხდეს როგორც უმაღლეს სასწავლებლებში, ასევე პროფესიულ პროგრამებზე, შრომის ბაზარზე არსებული მოთხოვნების შესაბმისად და არა იმ პრაქტიკით როგორც დღეს მიმდინარეობს უმაღლესი განათლება ქვეყანაში არსებულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში.

კერძოდ, სათანადო დონეზე დღემდე არ ხდება გათვალისწინება შრომის ბაზარზე არსებული მთხოვნებისა და ამის მიხედვით ამათუიმ სპეციალობისა და კვალიფიკაციური კადრების მომზადება. იმისათვის, რომ აღარ მივიღოთ უმაღლეს დამთავრებული,

დიპლომიანი უმუშევრების დიდი არმია, საჭიროა მოხდეს მუდმივად მოთხოვნაზე ორიენტირებული კადრების მომზადება და მიწოდება შრომის ბაზარზე.

კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ ინვესტორების 37%-ის აზრით შრომის ბაზარზე პრობლემაა ტექნიკური პერსონალის, 16% აღნიშნავს, რომ პრობლემატურია დაბალი რგოლის მენეჯერების, 22%-ის აზრით პრობლემატურია საშუალო რგოლის მენეჯერების, ხოლო 21% კი პრობლემას ხედავს შრომის ბაზარზე მაღალი რგოლის მენეჯერების სიმცირეში, ხოლო 4% აღნიშნავს, რომ შრომის ბაზარზე პრობლემურია სხვადასხვა სახის სპეციალისტი და მომსახურე პერსონალი.

დიაგრამა №39



წყარო: დიაგრამა შედგენილია ავტორის მიერ, კვლევის შედეგებზე დაყრდნობით.

ჩვენს მიერ და საქართველოს ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს მიერ 2015 წელს ჩატარებული კვლევა ადასტურებს, რომ დღეს საქართველოში შრომის ბაზარზე დეფიციტურია და მოთხოვნადია ტექნიკური პერსონალი. ამიტომ უნდა მოხდეს პროფესიული განათლების კიდე უფრო მეტი პოპულარიზაცია და მოთხოვნის შესაბამისად ტექნიკური პერსონალის მიწოდება შრომის ბაზარზე, რათა კიდევ უფრო მეტი ადამიანის დასაქმება მოხდეს ყოველი განხორციელებული ინვესტიციის შედეგად.

გამოიკვეთა ინვესტორების მიდგომები ინვესტიციის განხორციელებამდე ადგილობრივი კადრების გადამზადებასთან დაკავშირებით, რაზედაც გამოკითხული ინვესტორების 61% აცხადებს, რომ ახდენს ადგილობრივი კადრების გადამზადებას, ხოლო 39% კი აღნიშნავს, რომ არ ახდენს გადამზადებას.

დიაგრამა №40



წყარო: დიაგრამა შედგენილია ავტორის მიერ, კვლევის შედეგებზე დაყრდნობით.

და ბოლოს გამოკითხული ინვესტორი კომპანიების 74%-ის მიერ აღინიშნა, რომ ისინი პერიოდულად ახდენენ კომპანიაში დასაქმებული ადამიანების კვალიფიკაციის ამაღლებას გადამზადების გზით, ხოლო 26% კი აღნიშნავს, რომ არ ახდენს დასაქმებული კადრების გადამზადებასა და კვალიფიკაციის ამაღლებას.

დიაგრამა №41



წყარო: დიაგრამა შედგენილია ავტორის მიერ, კვლევის შედეგებზე დაყრდნობით.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ჩატარებული რაოდენობრივი კვლევის შედეგად, გამოიკვეთა შემდეგი: საინვესტიციო გარემოზე საუბრისას გამოკითხული ინვესტორების უმრავლესობა აღნიშნავს, რომ დღეს საქართველოში ნორმალური საინვესტიციო გარემოა; რაც შეეხება იმ ძირითად პრობლემებს რაც ხვდებათ ინვესტორებს ინვესტირებისას, აბსოლიტური უმრავლესობის აზრით, ეს არის ადმინისტრაციული სახის პრობლემები; ასევე გამოიკვეთა ის სფეროები, სადაც ინვესტირება ყველაზე მიმზიდველია დღეს საქართველოში და პრიორიტეტულობის მიხედვით ეს სფეროებია: მრეწველობა, მშენებლობა, ტურიზმი, განათლება, ენერგეტიკა, სოფლის მეურნეობა, ჯანდაცვა, ვაჭრობა და ბოლოს სატრანსპორტო მომსახურება.

იმასთან დაკავშირებით თუ რა უნდა გაკეთდეს უფრო მეტი ინვესტიციების მოსაზიდად და განსახორციელებლად, გამოკითხულ ინვესტორთა უმრავლესობა მიიჩნევს, რომ ინვესტორებს უნდა დაუწესდეთ სხვადასხვა სახის შეღავათები; კვლევის შედეგად ასევე გამოიკვეთა, რომ ინვესტიციების განხორციელების შემდეგ გამოკითხულ ინვესტორთა უმრავლესობას დასაქმებული ყავს ადგილობრივი მოსახლეობა, რომელთა წილი საერთო დასაქმებულთა შორის მაქსიმუმ შეადგენს 82%-ს; ადგილობრივ კადრებთან დაკავშირებით, ასევე გამოიკვეთა ძირითადი პრობლემები და ეს პრობლემები სიმწვავის მიხედვით ასე გამოიყურება: კვალიფიკაციის დაბალი დონე, შესაბამისი სპეციალობის კადრების არ არსებობა, სიზარმაცე და მოტივაციის არ ქონა; გამოიკვეთა აზრი ინვესტორების მხრიდან, რა შემთხვევაში გაიზრდება, ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმება. მათი რეკომენდაციები პრიორიტეტულობის მიხედვით ასე გამოიყურება: შესაბამისი სპეციალობის კადრების მომზადება, კვალიფიკაციის ამაღლება და ანაზღაურების გაზრდა.

ასევე გამოიკვეთა ადგილობრივ შრომის ბაზარზე არსებული პრობლემები სხვადასხვა სახის თუ სპეციალობის კადრებზე, სადაც აბსოლიტური უმრავლესობა მიიჩნევს, რომ დღეს საქართველოში პრობლემურია ტექნიკური პერსონალის, ყველა რგოლის მენეჯერების და მომსახურე პერსონალის. ინვესტორების უმრავლესობა პერიოდულად ახდენს თავის კომპანიაში დასაქმებული ადამიანების კვალიფიკაციის ამაღლებას, გადამზადების გზით.

დასკვნები და რეკომენდაციები

- შეიძლება ვთქვათ, რომ საქართველოში უცხოური ინვესტიციები ნამდვილად დიდ გავლენას ახდენს ეკონომიკურ ზრდაზე, წარმოების განვითარებაზე, ქვეყანაში კონკურენტუნარიანი საექსპორტო პროდუქციის შექმნაზე, თანამედროვე ტექნოლოგიების შემოდინებაზე და რაღათქმაუნდა, დასაქმების ზრდაზე, თუმცა იქედან გამომდინარე, რომ ბოლო წლებში ინვესტიციების დიდი ნაწილი მიმართულ იქნა ძირითადად კაპიტალტევად დარგებში, სადაც დასაქმების მოცულობა მცირეა, შესაბამისად მნიშვნელოვნად ვერ შემცირდა ქვეყანაში უმუშევრობის დონე;
- საქართველოში დღეს ინვესტიციების განხორციელბის უპირატესობებს წარმოადგენს: სტაბილური ეკონომიკური განვითარება, ლიბერალური და თავისუფალი საბაზრო ეკონომიკური პოლიტიკა, მხოლოდ 6 გადასახადი და შემცირებული საგადასახადო განაკვეთები, ლიცენზიებისა და ნებართვების მცირე რაოდენობა, ადმინისტრაციული პროცედურების სიმარტივე, პრეფერენციული სავაჭრო რეჟიმები მსოფლიოს მრავალ ქვეყანასთან, ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA) ამოქმედება, ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა, იაფი შრომითი რესურსი და ა.შ;
- ქვეყანაში უცხოური ინვესტიციების მოზიდვის პოტენციურ ხელშემშლელ ფაქტორებად კი შეიძლება მივიჩნიოთ: არასტაბილურობა, სამუშაო ძალის დაბალი კვალიფიკაცია, მცირე ბაზარი, მაღალი საპროცენტო განაკვეთები და ფინანსურ რესურსზე წვდომის დაბალი შესაძლებლობები, სასამართლოს დამოუკიდებლობის ხარისხი, ეროვნული ვალუტის კურსის არასტაბილურობა, ჯერ კიდე სიღარიბის მაღალი მაჩვენებელი, ფინანსური ბაზრის განუვითრებლობა, ქვეყნის ტერიტორიების ოკუპაცია და კონფლიქტური ზონები;
- უცხოური თუ ადგილობრივი ინვესტიციები იწვევს შრომის ბაზრის ტრანსფორმაციას, რაც გამოწვეულია ახალ პროფესიებზე მოთხოვნის გაჩენით, რის საფუძველზეც საჭირო ხდება უმაღლესი და პროფესიული განათლების არსებული პროგრამების ცვლილებები და შრომის ბაზრზე არსებული მოთხოვნების შესაბამისი პროგრამების შემუშავება. ინვესტიციების დარგობრივი სტრუქტურა გავლენას ახდენს შრომის

ბაზარზე, იცვლება მოთხოვნა სამუშაო ძალის პარამეტრებზე, სპეციალობასა და კვალიფიკაციაზე;

- თუ გავითვალისწინებთ, ერთის მხრივ, ეროვნულ მეურნეობაში სამუშაო ძალაზე არსებული მოთხოვნის მასშტაბებს და მისი ცვლილების თავისებურებებს და მეორეს მხრივ, მომზადებული სპეციალისტების რეალურ კონკურენტუნარიანობას, შეიძლება ითქვას, რომ უმაღლესი სკოლა, ფაქტობრივად, ,,დიპლომიან უმუშევრებს'' ამზადებდა;
- შრომის ბაზრის საინფორმაციო პორტალის (www.worknet.gov.ge) შექმნამ და დანერგვამ არსებით გავლენა ვერ მოახდინა უმუშევრობის დონის შემცირების საკითხში, რაც რეალურად მისი ერთ-ერთი ამოცანა და მიზანი იყო. შესაბამისად მიმაჩნია, რომ შრომის ბაზარზე მისი შექმნით არსებითად არაფერი შეცვლილა;
- სანამ შრომის ბაზარზე არსებული მოთხოვნის შესაბამისად არ მოხდება როგორც უმაღლეს საგანამანათლებლო დაწესებულებებში, ასევე პროფესიულ სასწავლებლებში შესაბამისი სპეციალობისა და კვალიფიკაციის კადრების მომზადება, სახელმწიფოს მიერ გაწეული ხარჯები იქნება არაეფექტური და ხშირ შემთხვევაში არამიზნობრივი;
- მიმაჩნია, რომ ქვეყანას ჭირდება პროფესიული განათლების კიდე უფორ მეტი პოპულარიზაცია და გაძლიერება, რათა მოხდეს შრომის ბაზარზე მოთხოვნა-მიწოდებას შორის არსებული დისბალანსის აღმოფხვრა, პროფესიულ სასწავლებლებში სათანადო სპეციალობისა და კვალიფიკაციის კადრების მომზადებით და შრომის ბაზარზე მიწოდებით, რაც თავისმხრივ ქვეყანაში გაზრდის დასაქმების დონეს;
- საგულისხმოა ის ფაქტი, რომ ბოლო წლებში საქართველოში საშუალო თვიური ხელფასი ზრდადია იმ სექტორებში დასაქმებული ადამიანებისათვის, რომელ დარგებსა თუ სექტორებშიც იზრდება ინვესტიციები, რაც მიუთითებს იმაზე, რომ ინვესტიციების ზრდა გარდა დასაქმების ზრდისა, ასევე ხელს უწყობს დასაქმებული ადამიანებისათვის საშუალო თვიური ხელფასის ზრდასაც;
- იმ დროს როცა ბიუჯეტიდან მილიონობით თანხები იხარჯება პროფესიულ განათლებაზე და კურსდამთავრებულთა 49% აცხადებს, რომ ვერ საქმდება მიღებული ცოდნისა და პროფესიის შესაბამისად, ეს უბრალოდ თანხების არამიზნობრივი და

არაეფექტური ხარჯვაა. ამიტომ ჩვენ ვფიქრობთ, როგორც უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში, ასევე პროფესიულ სასწავლებლებში კადრების მომზადება ყოველთვის უნდა ხდებოდეს შრომის ბაზრზე არსებული მოთხოვნების შესაბამისად, რათა სწავლის დასრულების შედეგ თითოეული მათგანი დასაქმდეს თავისი პროფესიითა და სპეციალობით;

- როგორც დანარჩენ საქართველოში, ასევე აჭარის ა/რ-შიც გამოიკვეთა, რომ მაღალი უმუშევრობის პირობებშიც კი, დამსაქმებლებს უჭირთ მათთვის საჭირო სპეციალობისა და კვალიფიკაციის მქონე კადრების მოძიება და მოზიდვა. კანდიდატების დაბალი პროფესიონალიზმი და ის გარემოება, რომ მთელი რიგი პროფესიის კადრები რეგიონში არ მზადდება, ხშირ შემთხვევაში, სტრუქტურულ უმუშევრობას იწვევს;
- უცხოური ინვესტიციების მოზიდვის შედეგად რეგიონის ეკონომიკის სწრაფ განვითარებასთან და ახალი საწარმოების გაჩენასთან ერთად, ადგილი აქვს სხვადასხვა მიმართულებებით პროფესიულ კადრებზე მოთხოვნის ზრდას;
- გამოიკვეთა, რომ რეგიონში თუ ადრე ტურიზმი და მშენებლობა ინვესტორებისთვის ყველაზე საინტერესო იყო, ბოლო პერიოდში ამ კუთხით ენერგეტიკის სფერო ლიდერობს. შესაბამისად ინვესტიციების ზრდას სახვასხვა სფეროში, მოყვება შრომის ბაზრის ტრანსფორმაცია და იმ სპეციალობებზე მოთხოვნა იზრდება, რომელიც ენერგეტიკის სფეროს ჭირდება, ამიტომ ისევე როგორც მთელს ქვეყანაში, რეგიონშიც უცხოური ინვესტიციების ზრდასთან ერთად უნდა მოხდეს შრომის ბაზარზე არსებული მოთხოვნების შესაბამისად კადრების მომზადება და ინვესტორებისთვის შეთავაზება, რაც თავისთავად რეგიონში გამოიწვევს დასაქმების ზრდასა და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის კიდე უფრო გაუმჯობესებას;
- ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევის შედეგად ძირითადად გამოიკვეთა შემდეგი ძირითადი საკითხები: გამოკითხულთა უმრავლესობისთვის მნიშვნელოვანია ქვეყანაში უცხოური ინვესტიციების მოზიდვა, შესაბამისად მათი მოზიდვის გარეშე ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმების ზრდა და ჩვენი ეკონომიკურად განვითარება შეუძლებელია; საზოგადოების უმრავლესობის აზრით, ძალიან მნიშვნელოვანია ქვეყნისათვის უცხოური ინვესტიციები, ასევე ისიც თუ უცხოური ინვესტიცია რომელი ქვეყნიდან იქნება განხორციელებული; მეტი ინვესტიციის მოზიდვა და განხორციე-

ლება უნდა მოხდეს ისეთ დარგებში, როგორიცაა: განათლება, ჯანდაცვა, მრეწველობა, ვაჭრობა, სოფლის მეურნეობა, ენერგეტიკა, ტურიზმი და ტექნოლოგიები;

- საზოგადეობის აზრით გამოიკვეთა რიგი შეღავათები და ღონისძიებები უცხოური ინვესტიციის მოსაზიდად, კერძოდ: ცვლილებები უნდა შევიდეს შესაბამის კანონმდებლობაში, აგრეთვე გამოიკვეთა გამოკითხული საზოგადოების უმრავლესობის უარყოფითი დამოკიდებულება სახელმწიფო ქონების უცხოელ ინვესტორებზე, სიმბოლურ ფასად, 1 ლარად გადაცემასთან დაკავშირებით; გამოკითხული_საზოგადოების ნახევარზე მეტის აზრით, უცხოური ინვესტიციების მოზიდვა და განხორციელება ცალსახად უწყობს ხელს დასაქმების ზრდას;
- საინვესტიციო გარემოზე საუბრისას გამოკითხული ინვესტორების უმრავლესობა აღნიშნავს, რომ დღეს საქართველოში ნორმალური საინვესტიციო გარემოა; რაც შეეხება იმ ძირითად პრობლემებს რაც ხვდებათ ინვესტორებს, უმრავლესობის აზრით, ეს არის ადმინისტრაციული სახის პრობლემები; ასევე გამოიკვეთა ის სფეროები, სადაც ინვესტირება ყველაზე მიმზიდველია დღეს საქართველოში და პრიორიტეტულობის მიხედვით ეს სფეროებია: მრეწველობა, მშენებლობა, ტურიზმი, განათლება, ენერგეტიკა, სოფლის მეურნეობა, ჯანდაცვა, ვაჭრობა და ბოლოს სატრანსპორტო მომსახურება;
- გამოკითხულ ინვესტორთა უმრავლესობა მიიჩნევს, რომ ინვესტორებს უნდა დაუწესდეთ სხვადასხვა სახის შეღავათები; კვლევის შედეგად ასევე გამოიკვეთა, რომ ინვესტიციების განხორციელების შემდეგ გამოკითხულ ინვესტორთა უმრავლესობას დასაქმებული ყავს ადგილობრივი მოსახლეობა, რომელთა წილი საერთო დასაქმებულთა შორის მაქსიმუმ შეადგენს 82%-ს; ადგილობრივ კადრებთან დაკავშირებით, ასევე გამოიკვეთა ძირითადი პრობლემები: კვალიფიკაციის დაბალი დონე, შესაბამისი სპეციალობის კადრების დეფიციტი, სიზარმაცე და მოტივაციის არ ქონა; მათი რეკომენდაციები პრიორიტეტულობის მიხედვით ასე გამოიყურება: შესაბამისი სპეციალობის კადრების მომზადება, კვალიფიკაციის ამაღლება და ანაზღაურების გაზრდა;

- მთავრობის მხრიდან როგორც ადგილობრივი, ასევე უცხოური ინვესტიციების დამატებითი წახალისება და სტიმულირება უნდა მოხდეს იმ დარგებსა და სფეროში ინვესტირებისას, რომელიც პრიორიტეტულია ქვეყნისათვის;
- ქვეყანაში რეგიონული განვითარების თვალსაზრისით არსებული განსხვავებების გათანაბრებისათვის, უნდა მოხდეს წარმოებისა და დასაქმების შესაძლებლობების გაუმჯობესება კერძო ინვესტიციების მიზანმიმართული ხელშეწყობის გზით;
- ვფიქრობ, ინვესტორებისათვის სხვადასხვა სახის საგადასახადო სტიმულირების უფრო ეფექტური გამოყენებისთვის, სახელმწიფომ მიზანმიმართულად უნდა გაუღვიძოს მეწარმე სუბიექტებს სურვილი, რომ მოახდინონ წარმოების განახლება-მოდერნიზაცია თანამედროვე ტექნოლოგიებით და არა უბრალოდ შექმნას ეკონომიკური პირობები და შესაძლებლობები, მათ მიერ საინვესტიციო საქმიანობის განხორციელებისთვის;
